გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 თებერვალი პარასკევი 2012
№ 033 (13 639) ფასი 80 თეთრი



12

# გულახდილად



## კახის აზრი

ექსკლუზივი

ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანთან

2-3

ვინ შეცვლის კაპელოს?

## ჰარი, როი, მოუ თუ მიაუ?

ინგლისური იუმორი იქით იყოს და... ინგლისის ნაკრების გაწვრთნის სურვილი ჭიდინკამაც გამოთქვა

8




მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად

16

## ქართული ფეხბურთი

U17

# თბილისურ ელიტას ესპანეთით ვიწყებთ


ვასილ მაისურაძე

მარტისბოლო რიცხვებში თბილისში ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის ერთ-ერთი ჯგუფის მატჩები გაიმართება. 2011 წლის მიწურულს გამართულმა წილისყრამ საქართველოს ნაკრები "სიკვდილის ჯგუფში" მოახვედრა, სადაც მეტოქეებად ესპანეთი, ინგლისი და უკრაინა არგუნა.

ჩვენი 17-წლამდელების სამწვრთნელო შტაბი უეფასგან კალენდრის მოლოდინში იყო და შეხვედრების განრიგიც დადგინდა. **ვასილ მაისურაძის** გუნდი ელიტრაუნდს ფავორიტ ესპანეთთან მატჩით დაიწყებს, ინგლისით გააგრძელებს და უკრაინით დაასრულებს.

**ჩვენი ჯგუფის სრული განრიგი კი ასეთია:**

| 26 მარტი | |
|---|---|
| მ. მესხი | საქართველო-ესპანეთი |
| ეროვნული | ინგლისი-უკრაინა |

| 28 მარტი | |
|---|---|
| მ. მესხი | საქართველო-ინგლისი |
| ეროვნული | ესპანეთი-უკრაინა |

| 31 მარტი | |
|---|---|
| მ. მესხი | საქართველო-უკრაინა |
| ეროვნული | ესპანეთი-ინგლისი |

შეგახსენებთ, ფინალურ ეტაპზე, რომელსაც 4-16 მაისს სლოვენია უმასპინძლებს, მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

როგორც კალენდრიდან ხედავთ, საქართველოს ნაკრები ელიტრაუნდის სამივე მატჩს "მიხეილ მესხზე" ჩაატარებს. ეს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილება იყო, რომელმაც მიიჩნია, რომ ჩვენი ფეხბურთელები კომპაქტურ, წმინდა საფეხბურთო არენაზე უფრო თავისუფლად ითამაშებენ.

ელიტრაუნდისთვის მზადება კი დასკვნით ფაზაში შედის. 12 და 15 მარტს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ლუქსემბურგში იქაურ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს და იმ დროისთვის სამწვრთნელო შტაბს, ალბათ, უკვე შერჩეული ექნება ის 18-კაციანი შემადგენლობა, რომელსაც ელიტრაუნდში დაეყრდნობა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# ოვონიკოკო საქართველოს ნაკრებში?

"გაგრას" პრესსამსახურმა გუშინ მნიშვნელოვანი სიახლე გაავრცელა: გუნდის ყოფილი ფეხბურთელი, **აბაიომი სეუნი ოვონიკოკო** საქართველოს მოქალაქე გახდა.

*"იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრში განცხადება საქართველოს პრეზიდენტის სახელზე შარშან დეკემბერში შევიტანეთ და ვთხოვეთ, ოვონიკოკოსთვის საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭებინა.*

*ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იანვარში სპეციალური კომისიის წევრები ჩვენი კლუბის წარმომადგენლებს შეხვდნენ, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ ოვონიკოკოს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა"* – გვითხრა "გაგრას" იურისტმა **მიხეილ აფხაზავამ**.

დიდი ხანია, "გაგრა" პერსპექტიული ნიგერიელის ნატურალიზაციას ცდილობდა, რადგან მოსამზადებელ ეტაპზე თუ სხვა დროს კლუბს ამის გამო პრობლემები ექმნებოდა. ოვონიკოკო არც თურქეთში მოსამზადებლად შეუშვეს და არც საფრანგეთისა და ბელგიის ვიზები მისცეს, სადაც მას "რენი" და "ლოკერენი" იწვევდნენ. ამით კი კლუბი დაზარალდა და ვერ მიიღო საკმაოდ სოლიდური მოგება.


აბაიომი ოვონიკოკო

თუმცა, კლუბის პრეზიდენტს **ბესიკ ჩიხრაძეს** მხოლოდ პრაგმატული ინტერესები არ ამოძრავებდა. "გაგრას" თავკაცი დარწმუნებულია, რომ 19 წლის ოვონიკოკო ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა თავდამსხმელია და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც წაადგება და სამომავლოდ, ეროვნულსაც.

აფრიკელთა ნატურალიზაცია ქართველ გულშემატკივართა წყალგამყოფია - ნაწილი ამ იდეას ემხრობა, ნაწილიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება, მაგრამ ყველას დაწყდა გული, როდესაც ზუგდიდის "ბაიას" თავდამსხმელი და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები **ჩისამბა ლუნგუ** რუსეთში გადავიდა. ახლა კი გებჟალიაზე გაზრდილი თავდამსხმელი ზამბიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია.

ამჟამად, ოვონიკოკო ესპანეთში "ხესტაფონთან" ერთად ემზადება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში საჭირო დოკუმენტებს წარადგენს და ოფიციალურად გადაეცემა საქართველოს პასპორტი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# შეუცვლელი კობიაშვილი

**გუშინ** გაცნობეთ, რომ გერმანიის თასის მეოთხედფინალში მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" წაგებული მატჩისას **ლევან კობიაშვილი** დაშავდა და შეხვედრის მე-80 წუთზე შესაცვლელი გახდა.

როგორც ჩანს, "ჰერტას" ქართველი მცველის მდგომარეობა საგანგაშო არაა – "კიკერში" ბუნდესლიგის მორიგი ტურის წინათქმაა გამოქვეყნებული და კობიაშვილის გვარი ტრავმირებულთა სიაში არ შეუტანიათ. იგი, ჩვეულებისამებრ, "ჰერტას" სავარაუდო ძირითად შემადგენლობაშია შეყვანილი. 11 თებერვალს "ჰერტა", რომელიც პირველ ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის, "შტუტგარტს" ესტუმრება.

ალსანიშნავია, რომ 34 წლის კობიაშვილმა გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის 20-ივე ტურში მიიღო მონაწილეობა და ყველა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. მის ანგარიშზე 1 გოლი და 2 საგოლე გადაცემაა. ამ სეზონში ლევანმა სამი გაფრთხილება მიიღო და თუ ჯანმრთელად იქნა და მეხუთე ყვითელ ბარათამდე არ ავიდა, სავსებით შესაძლებელია, მიმდინარე ბუნდესლიგაში ერთი წუთიც კი არ გაუცდეს.

შორს არც ის დღე უნდა იყოს, როცა პირველ ბუნდესლიგაში მეორე ქართველიც ითამაშებს – **ლევან ყენია** ხომ "შალკეს" შემადგენლობაში უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მის მოედანზე გამოჩენას უახლოეს ტურებში თუ არა, მიმდინარე სეზონში ნამდვილად უნდა ველოდოთ.



**ლევან ჯანეზაშვილი**

ექსკლუზიური ინტერვიუ


ეროვნული ბიბლიოთეკა

## კახა კალაძე

# ეს გამხნევების და მადლობის ტაში იყო...

**საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშებს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი კახა კალაძე. თუ როგორ წავიდა ის ნაკრებიდან, ამაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, „ლელოსთან" კი კალაძეს ნაკრებიდან წასვლის მერე არ უსაუბრია..**

**ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, „ლელოს" კითხვებს კახა კალაძე პასუხობს...**

**- კალაძის ნაკრებიდან წასვლამ, თანაც ასეთი ფორმით, დიდი რეზონანსი გამოიწვია - მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა, რაც ანალიზის უკეთეს საშუალებას იძლევა. ახლა როგორ ფიქრობ, ყველაფერი ეს სწორი გადაწყვეტილება იყო?**

- მოდით, ნუ ვიდავებთ იმაზე, ეს გადაწყვეტილება სწორი იყო თუ არა, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრია. მთავარია, რომ ეს ჩემთვის იყო უმძიმესი გადაწყვეტილება, მან მთელი ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. გულშემატკივრის პოზიცია ჩემთვის გასაგებია, რომ 33 წლის ასაკში, ნაკრების კაპიტანი, რომელიც სტაბილურად თამაშობს სერია A-ში და ამ დროს ტოვებს ნაკრებს, მაგრამ ეს იყო ჩემი გადაწყვეტილება, რომელსაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ეს მიზეზები წლების მანძილზე თავს იყრიდა. ახლა არ ჩამოვთვლი, რამაც მიმიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე.

**- ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, თუ სპორტული? ანუ, ეს ერთგვარი პროტესტი იყო თუ უფრო ის გინდოდა, რომ ნაკრებში ადგილი ახალგაზრდებისთვის დაგეთმო?**

- მსოფლიოში ჩემზე დიდ ფეხბურთელებს გამოუთქვამთ პროტესტი და წასულან ნაკრებიდან. ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, რაც თქვენ ზემოთ ჩამოთვალეთ და მივედით იმ დღემდე, როდესაც გაკეთდა ეს განცხადება.

**- დემეტრაძის ამბავზეც გკითხავ. თითქოს პრეტენზია გამოთქვი, ჩემს გარდა არავინ ხმას არ იღებსო, თუმცა როგორც შევიტყვეთ, არსებობს წერილობით, თხოვნა პრეზიდენტის სახელზე, რომელსაც ფეხბურთში მოსაქმე ბევრი ადამიანი აწერს ხელს...**

- არც ერთ ინტერვიუში არ მითქვამს, მარტო მე მოვაწერე ხელი და ჩემ გარდა არავინ იღებს ხმასო, ეს რაღაც ახალია. ან შესატყობი და გასაიდუმლოებული რა იყო, არსებობს ეგ მიმართვა პრეზიდენტისადმი, რომელსაც როგორც ფეხბურთში დასაქმებულმა ხალხმა, ისე სხვებმაც მოაწერეს ხელი... თუმცა ბევრმა სახელოვანმა და წარმატებულმა სპორტსმენმა აარიდა თავი და ხელი არ მოაწერა ამ წერილს. ასევე იყო ორი ადამიანი, რომლებიც ჩემთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ ამავე საკითხზე პრესკონფერენციაზე, თუმცა ბოლო წამს გადაიფიქრეს და არ მოვიდნენ. მე შეგნებულად არ ვასახელებ მათ ვინაობას და არც არავის განსჯას არ ვაპირებ.

**- კულუარებში ამბობენ, პრეზიდენტს არაოფიციალურადაც თხოვეს დემეტრაძის განთავისუფლება, მაგრამ კალაძის ხისტმა პოზიციამ ამ საკითხზე, პრეზიდენტს გადააფიქრებინა დემეტრაძის განთავისუფლებაო...**

- და რას ამბობენ იმავე კულუარებში - ვინ თხოვა პრეზიდენტსო? და რატომ არაოფიციალურად და რატომ ოფიციალურად არ თხოვა ვინც იყოო? კალაძის ხისტი პოზიცია, რაში მდგომარეობდა - დემეტრაძის საქმის ნორმალურად გამოძიებას რომ ითხოვს, იმაში?

>> მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ექსკლუზიური ინტერვიუ

# ეს გამხნევების და მადლობის ტაში იყო...

« მე-2 გვერდიდან

პრეზიდენტს მოფიქრებული ჰქონდა და კალაძის პოზიციამ გადააფიქრებინაო, ხო? სხვათა შორის, თუ კულუარულ საუბრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მეც დამიკავშირდა თავის დროზე შსს-ს მაღალჩინოსანი და დემეს გამოშვებას დამპირდა, თუ დემე აღიარებდა ქურდულ სამყაროსთან კავშირს, რაზეც დემეს მხრიდან კატეგორიული უარი მიიღეს და ვენაცვალე დემეს ადამიანობას, რომ არ აჰყვა ცდუნებას და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ის კაცი შევიდა ციხეში და კაცად დარჩა ბოლომდე. ზემოთ ნახსენები თხოვნის წერილის შემდეგ მე არანაირი განცხადება არ გამიკეთებია, სანამ დემეს აბსურდული განაჩენი არ გამოუტანეს და აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის კრიმინალია ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა და ისიც, ვინც უდანაშაულო ადამიანს ციხეში სვამს, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უნდა ვილაცას.

**- ნაკრებიდან წასვლაზე განცხადება რომ გააკეთე, მას შემდეგ თემურ ქეცბაიასთან ხომ არ გქონია საუბარი ამ თემაზე? თუ ისაუბრეთ, იქნებ ამაზეც გვითხრა ორიოდ სიტყვით...**

- ქეცბა ჩემთვის მარტო მწვრთნელი არაა, ის ჩემი ძალიან დიდი ხნის მეგობარია. ვსაუბრობთ ხოლმე, ყველა დღესასწაულს ვულოცავთ ერთმანეთს.

**- ნაკრების ფეხბურთელი აღარ ხარ და იქნებ ახლა გულახდილად და ზუსტად გვითხრა, რა ხდებოდა საქართველოს ნაკრებში? რა უშლიდა გუნდს ხელს უკეთესი შედეგის მიღწევაში?**

- როდესაც ნაკრების კაპიტანი ვიყავი, მაშინაც გულახდილად ვსაუბრობდი ამ თემებზე. არასოდეს არ დამიმალავს და არ მოვრიდებივარ იმას, თუ რა ხდებოდა ქართულ ფეხბურთსა თუ ნაკრებში. ძალიან კარგი შეკრული გუნდია, თუმცა ბოლო წლებში მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ დაღი დაასვა, ყველა თავის მოდელს გვთავაზობდა, ძნელია ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლა, ტრავმებიც ხელს გვიშლიდა, რომ მთელ რიგ მოთამაშეებს 100%-ით თუ არა, 70-ით მაინც ეჩვენებინა თავისი თავი. იყო კიდევ მთელი რიგი მიზეზებისა, ზოგი ცნობილია საზოგადოებისათვის, ზოგიც უცნობი. ან რა წარმატებებზე უნდა ვისაუბროთ, როდესაც ამდენი წლების მანძილზე ეროვნულ ნაკრებს საწვრთნელი ბაზა არ ჰქონდა და რაც გაკეთდა, ისიც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით. ძალიან საინტერესოა, რა ხდება პრეზიდენტის მიერ საგურამოში ზარზეიმით გახსნილ ბაზაზე, სადაც ეროვნულ ნაკრებს არასოდეს უვარჯიშია.

**- ზოგადად ქართულ ფეხბურთში არსებულ ვითარებაზე რას იტყოდი? რა არის ნეგატიური და რა არის პოზიტიური?**

- სიტუაცია არის უმძიმესი, კლუბები არიან დოტაციაზე, სახელმწიფოს კი არ სურს ფეხბურთის განვითარებაში თანხები ჩადოს, რეგიონი ერთ გუნდს ვერ ინახავს. ზოგიერთ რეგიონს შეიძლება საშუალება აქვს კიდეც, მაგრამ მათ ხელმძღვანელებს სურვილი არა აქვთ. საფეხბურთო მინდვრების მდგომარეობა კატასტროფულია, რამდენიმე ქალაქში გაკეთებული სტადიონით პრობლემა არ მოგვარდება. საშინლად მძიმე სიტუაციაა ბავშვთა ფეხბურთშიც. პოზიტიურს რაც შეეხება, გამოჩნდნენ სპეციალისტები, რომელთაც უკვე ნათქვამი აქვთ თავიანთი სიტყვა ქართულ ფეხბურთში, ავტორიტეტი, ენერგია, გამოცდილება და პასუხისმგებლობა არ აკლიათ, რაც იძლევა იმედს, რომ სწორი მიმართულება მიეცემა ქართულ ფეხბურთს.

**- თუ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის გუნდი მოვა, რა რჩევას მისცემ ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის?**

- ამას სჭირდება ანალიზი და ანალიზის შედეგად შესრულდება მთელი რიგი სამუშაოები, მათ შორის ბავშვთა ფეხბურთში, არა მარტო დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც. აუცილებლად უნდა მიხედვა და ყურადღება საფეხბურთო ინფრასტრუქტურას, ასამაღლებელია მსაჯობის დონე, მოსამზადებელია სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრები ფეხბურთელთათვის. მთელი რიგი ღონისძიებებია ჩასატარებელი. აუცილებელია, ფეხბურთელთა ანაზღაურება გაიზარდოს და 16-18 წლის ნიჭიერი ახალგაზრდები ხელფასისათვის არასაფეხბურთო ქვეყნების კლუბებში არ მიდიოდნენ სათამაშოდ. ყველაფერ ამას უნდა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და თანადგომა.

**- ფეხბურთელის კარიერის შემდეგ, რას აპირებ? პოლიტიკოსობა, თუ ისევ ფეხბურთში საქმიანობას?**

- ჯერ აქტიურ სპორტში ვარ და კარიერას როდესაც დავამთავრებ, გეგმებსა და მიზნებზე შემდეგ ვისაუბროთ.

**- თემურ ჩხაიძემ გვითხრა, რომ „გაგრას“ დუბლების მწვრთნელობიდან იმიტომ გაუშვეს, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას დაუჭირა მხარი. „გაგრას“ ვთხოვეთ კომენტარი და არ გააკეთა...**

- თემურ ჩხაიძე ლანჩხუთის „გურიას“ თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, თამაშობდა თბილისის „დინამოში,“ იყო საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების კაპიტანი და ასეთ პატივსაცემ ადამიანს როგორ მოექცნენ. ადამიანმა გამოხატა თავისი აზრი და ამისათვის დაისაჯა. ნუთუ თემურ ჩხაიძესნაირ ამაგდარ ადამიანებს თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალებაც კი არ უნდა ჰქონდეთ?!

აქვე თემას გადავუხვევ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა გულშემატკივარს და სრულიად ქუთაისს თანაგრძნობა გამოვუცხადო ცნობილი ფეხბურთელის, მერაბ მეგრელაძის გარდაცვალების გამო. ნამდვილად დიდია მთლიანად ქართული ფეხბურთისათვის ბატონი მერაბის მიერ გაწეული ღვაწლი და ამაგი.

**- კახა კალაძე ინტერვიუებში ყოველთვის გულახდილი იყო? ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა? ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი სენი სწორედ ის არის, რომ ადამიანები არ ლაპარაკობენ იმას, რასაც ფიქრობენ, ასეა ფეხბურთშიც-არ მეთანხმები?**

- სხვის მაგივრად ნამდვილად ვერ გიპასუხებ, მე კი მართლა გულახდილი ვარ ჟურნალისტებთან ურთიერთობისას. იყო რამდენიმე გაუგებრობა, მაგრამ უცბად აღმოიფხვრა და დღეს ამას ღიმილით ვიხსენებთ ორივე მხარე.

**- რა რჩევას მისცემდი საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელებს?**

- რჩევა მწვრთნელის კომპეტენციაა და ასე ვერ გავკადნიერდები, თხოვნით კი უბრალოდ ვთხოვ, რომ როდესაც საქმე ნაკრებს ეხება, პიროვნული მე უკან გადადონ და ძალების მთელი კონცეტრირება მოახდინონ. ახალგაზრდებმა მთელი გულით და სულით უნდა გაიაზრონ, რომ ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავენ.

**- ნაკრებიდან რომ წახვედი, თანაგუნდელებმა არ დაგირეკეს? რა გითხრეს კობიაშვილმა და იაშვილმა? და გუნდის იმ წამყვანმა ფეხბურთელებმა, მანამდე რომ დატოვეს ნაკრები, მაგალითად შოთა არველაძემ, გიორგი ქინქლაძემ, გოჩა ჯამარაულმა... როგორი იყო მათი რეაქცია?**

- მადლობა ბიჭებს, ყველას,— ნაკრებიდან წასულსაც და მოქმედ ფეხბურთელებსაც, ძალიან ბევრმა დამირეკა, ბევრმა თავისი აზრი და დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ღიად და დაუფარავად გამოხატა პრესის ფურცლებიდან.

**- კალაძე თვითონ თუ აპირებს ინვესტიციების ჩადებას ქართულ ფეხბურთში?**

- აუცილებლად, უბრალოდ, ამჟამად ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მთელ რიგ პროექტებს ვერ ვახორციელებ, მაგრამ აუცილებლად ჩავერთვები ქართული ფეხბურთის ინვესტირებაში. მე ყოველთვის გვერდით დავუდგები ქართული სპორტის განვითარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის.

**- მომდევნო შესარჩევში რა შედეგი ექნება ჩვენს ნაკრებს? როგორია კალაძის პროგნოზი?**

- საერთოდ პროგნოზების გაკეთებას ვერიდები, უბრალოდ ვისურვებდი, რომ ბევრად წარმატებული ყოფილიყოს ნაკრების გამოსვლა, საერთოდ ,ნაკრებს მინდა ვუსურვო წინსვლა და რაც შეიძლება მეტი სიხარული მოეტანოს გულშემატკივრებისათვის.

**- ნაკრებიდან წასვლაზე განცხადება რომ გააკეთე, ტაში დაგიკრეს. როგორ ფიქრობ, რის გამო დაგიკრეს ტაში?**

- ამ თემაზე სპეკულაცია დაიწყო ერთდროულად რამდენიმე მართულმა საინფორმაციო საშუალებამ, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ესენი ჩამოყალიბდნენ ეტყობა, ტაშის დამკვრელთა ამოცნობაში. სინამდვილეში კი, ვინც ტაში დამიკრა, რამდენიმე ადამიანმა მითხრა, რომ ეს იყო ჩემი გამხნევებისა და ნაკრებში გატარებული წლებისადმი მადლობის გამომხატველი ტაში...

**დავით თავართქილაძე**



სამზადისი. ზესტაფონი



მეორე გოლი კრილიას კარში



კვასხვაძემ ორი პენალტი მოიგერია

# ნავსი გატყდა, რუსებს ვაჯობეთ

**ზესტაფონი–კრილია 2:2 ,პენ. 4:2**

0:1 ტარანოვი (30), 0:2 აპაევი (36), 1:2 წინამძღვრიშვილი (67), 2:2 გაგოშიძე (90)

*პენალტების სერია: 0:0 ტარანოვი (მეკარე), 1:0 მუჯირი, 1:1 ვორობიოვი 2:1 წინამძღვრიშვილი, 2:1 გრიგორიანი (მეკარე), 3:1 გორგიაშვილი, 3:2 პრიემოვი, 4:2 შარიქაძე*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე – თ. ღონღაძე, კობახიძე, საჯაია (46. გ. ონიანი), ელიავა (72. გაგოშიძე) – რაჟამაშვილი, მენთეშაშვილი (46. მუჯირი), გორგიაშვილი, შ. გრიგალაშვილი (41. შარიქაძე), სამუშია (46. თ. გრიგალაშვილი) – წინამძღვრიშვილი.

*სათადარიგო:* მამალაძე

მწვრთნელი: გ. ჭიაბრიშვილი

კრილია: ვავილინი – მოლოში (60. სტივი), კონცედალოვი (46. ვერხოვცოვი), ტარანოვი, ცალაგოვი (61. ბობროვსკი) – დიკიარა (61. პეტროვი), ვორობიოვი, იაკოვლევი, გრიგორიანი – პრიომოვი, აპაევი.

*სათადარიგოები:* ვერემკო, გოლუბევი, ბობიორი

მწვრთნელი: ა. კობელევი

გაფრთხილება: კობახიძე – დიკიარა, პეტროვი, ბოროვსკი

"ზესტაფონმა" ესპანური შეკრების მიწურულს ნავსი გატეხა და სამი მარცხის შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა – "მარბელას თასზე" მეშვიდე ადგილისთვის მატჩში **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა სამარის "კრილია სოვეტოვი" პენალტების სერიით დაამარცხა და ამ ტურნირზე შარშანდელი შედეგი გაიმეორა. შეგახსენებთ, "დნიპროსთან", "რუბინსა" და "ტიმიშოარასთან" "ზესტაფონი" შესაბამისად, 2:8, 1:5 და 0:3 დამარცხდა და იმის მიუხედავად, რომ ამხანაგური მატჩის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ყოველივე ამის შემდეგ მიღწეულმა პოზიტიურმა შედეგმა ფეროელთა ქომაგებს გული დაუმშვიდა.

პირველი ტაიმი ქართველთათვის გუშინაც უსიამოვნო გამოდგა, თუმცა შესვენების შემდეგ არაოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე ფეროელებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს. 67-ე წუთზე **თორნიკე გორგიაშვილის** შორეული დარტყმა "კრილიას" მეკარემ უხერხულად მოიგერია და დამატებაზე თავი **რატი წინამძღვრიშვილმა** გამოიჩინა, ძირითადი დროის მიწურულს კი შეტევაში ჩასულმა ახალგაზრდა მცველმა **მალხაზ გაგოშიძემ** ანგარიში თავური დარტყმით გაათანაბრა.

თერთმეტმეტრიანების სერიაში "ზესტაფონის" ფეხბურთელები უნაკლოდ გამოიყურებოდნენ, რუსებს კი სიზუსტემ უმტყუნათ და საქმე მეხუთე დარტყმამდეც კი არ მივიდა. ოთხივე ქართველმა გაიტანა, მათ შორის "კრილია სოვეტოვის" ყოფილმა კაპიტანმა **დავით მუჯირმაც, როინ კვასხვაძემ** კი ორი პენალტი მოიგერია.

გუშინდელ მატჩში "ზესტაფონის" განაცხადში მხოლოდ 17 ფეხბურთელი იყო. ტრავმების გამო გუნდს არაერთი მოთამაშე დააკლდა – სხვადასხვა მიზეზის გამო "კრილიას" **ჯაბა დვალი, თორნიკე აფციაური, ალექსი ბენაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, აბაიომი ოვონიკოკო, გიორგი ხიდეშელი, გოგა ბერაია** და **ალექსი ბენაშვილი** ვერ დაუპირისპირდნენ.

ოვონიკოკომ მუხლის ჯვარედინ მყესებზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდი ფაქტობრივად კი დაასრულა, მაგრამ სათამაშოდ ჯერ მზად არაა; ხიდეშელმა ანალოგიური ტრავმა უკვე მოირჩინა და ესპანურ შეკრებაზე რამდენიმე წუთიც ითამაშა, თუმცა ამის შემდეგ ბელგიაში წავიდა მკურნალ ექიმ **მარტენსთან,** რომელმაც ურჩია, რომ კიდევ სამი კვირა დაისვენოს. ბაბუნაშვილს ზურგის პრობლემების გამო დაახლოებით ერთი თვე გაუცდება, დანარჩენები კი ჩემპიონატის განახლების დღეს სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან.

დიდთოვლობის გამო იმის რეალური საშიშროება შეიქმნა, რომ ჩვენი უმაღლესი ლიგის უახლოესი ტური გადაიდოს. ამის გამო "ზესტაფონში" ესპანური შეკრების რამდენიმე დღით გახანგრძლივების ვარიანტსაც განიხილავდნენ, თუმცა რაკი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებას ტურის გადადება ჯერ არ გადაუწყვეტია, საქართველოს ჩემპიონები შინ დაგეგმილ დროს, ანუ დღეს გამოემგზავრებიან. "ზესტაფონის" ესპანურ შეკრებას "ლელოს" უახლოეს ნომრებში გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი ჭიაბრიშვილის ინტერვიუთი შევაჯამებთ.

თუ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მე-19 ტური ჩატარდა, "ზესტაფონი" 15 თებერვალს ზუგდიდის "ბაიას" უმასპინძლებს, მომდევნო შეხვედრა კი იმერლებს 18 თებერვალს თბილისში, "გაგრას" წინააღმდეგ ელით. "ზესტაფონი" ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს და უახლოეს მდევარ "ტორპედოს" 4-ით, მესამეადგილოსან "დინამოს" კი 9 ქულით უსწრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ოქრიაშვილის გოლი



თურქეთში მოსამზადებლად ჩასულ მარიუპოლის "ილიჩივეცს" უამინდობამ ხელი კი შეუშალა, ტროპიკული წვიმა პერიოდულად ძლიერდებოდა და ქარიც ქროდა, მაგრამ გუნდის მწვრთნელს ვარჯიში არ შეუწყვეტია. მიზეზი ისაა, რომ ანთალიაში იდეალური მოედნებია, დრენაჟის სისტემა წყალს იოლად ერევა და მოედანი არ იტბორება.

მოგეხსენებათ, "ილიჩივეცში" "შახტარიდან" იჯარით გაშვებული **თორნიკე ოქრიაშვილი** ვარჯიშობს. მწვრთნელმა ხელქვეითებს უჩვეულო თამაში შესთავაზა: 20/20-მეტრიან მოედანზე სტანდარტულ კარები დადგეს და 5-კაციანი გუნდებით ერთმანეთში გამარჯვებულები გაარკვიეს.

ბოლოს ერთმანეთს "წითლები" (სადაც ოქრიაშვილი თამაშობდა) და "ყვითლები" შეხვდნენ. ოქრიაშვილის გუნდი ბევრს ეცადა, თორნიკემაც გაიტანა და ერთ-ერთი გამორჩეული იყო მოედანზე, მაგრამ მისი გუნდი 13:14 დამარცხდა.

წინა დღეს კი ოქრიაშვილმა "ილიჩივეცის" ძირითად შემადგენლობაში ჩეხური "პრიბრამის" წინააღმდეგ ითამაშა და აქტიურობით გამოირჩეოდა. მატჩი მარიუპოლელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და 5:1 გაიმარჯვეს.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტალურგი

## კობა ჟორჟიკაშვილი

# გავძლიერდით, რადგან შემადგენლობა შევინარჩუნეთ

**კობა ჟორჟიკაშვილი და მისი გაწვრთნილები ანთალიური შეკრებიდან დაბრუნდნენ. რუსთავის "მეტალურგის" მთავარ მწვრთნელს მოსამზადებელი ეტაპის შეჯამება ვთხოვეთ.**

**- შეკრება დასრულდა, სეზონი მალე განახლდება და საინტერესოა, მოსამზადებელ ეტაპს როგორ შეაფასებდით?**

- ძალიან კარგი შეკრება იყო, რადგან ცუდად არ დაგვიგეგმავს, ტრავმებსაც გადავურჩით და საკმაოდ სასარგებლო სამუშაოებიც ჩავატარეთ. შევინარჩუნეთ სტაბილური შემადგენლობა, დავიმატეთ თექთურმანიძე, სიხარულიძე, ოთარიშვილი და ხოხონიშვილი, რომლებმაც თავი ურიგოდ არ წარმოაჩინეს და ვფიქრობ, გუნდში კონკურენციას გაზრდიან.

მომზადების ეტაპები ისე დავგეგმეთ, რომ რუსთავში ფუნქციონალური მდგომარეობა და ფიზიკური კონდიციები გაგვეუმჯობესებინა, თურქეთში კი გუნდი სათამაშო რეჟიმზე გადაერთო და დავხვეწეთ ტაქტიკური და სათამაშო ელემენტები, შეტევითი და დაცვითი ფუნქციები და სხვა.

**- საკონტროლო მატჩებში რა შთაბეჭდილება დაგრჩათ გუნდის მდგომარეობაზე და რა არის გამოსასწორებელი?**



- ყურადღება იმას მივაქციეთ, რომ ბურთის ფლობით ყველა მეტოქეს ვჯობდით, მაგრამ შეტევაში სათანადოდ ეფექტურები არ ვიყავით, დროისა და სივრცის ათვისება გვიჭირდა. განსაკუთრებით ჩინურ კლუბ "ტიანჯინ ტედას" ვაჯობეთ და უნდა მოგვეგო, მაგრამ 0:0 დავასრულეთ. კარგად გამოვიყურებოდით ტირასპოლის "შერიფთანაც", მოგებაც შეგვეძლო, ნასაგები არ იყო "ასტანასთანაც" (0:1). მომენტებს ვქმნიდით, მაგრამ დამამთავრებელ ფაზაში გვიჭირდა და ამ მიმართულებით გვჭირდება მუშაობა.

**- გოლებს შემსრულებლები იტანენ, "მეტალურგს" კი საქართველოს პირობებში საკმაოდ ძლიერი თავდამსხმელები ჰყავს.**

- გეთანხმებით, მაგრამ შეკრებაზე სხვადასხვა სტილისა და ქვეყნის გუნდებს შევხვდით და ნაკლოვანებებიც გამოჩნდა. ანუ, აქედან დასკვნა: "მეტალურგს" პოტენციალი აქვს, მაგრამ მისი ათვისებაა საჭირო და ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ. იმედია, ამას ჩემპიონატის მსვლელობისას მოვახერხებთ.

**- ამბობენ, ანთალიური კომფორტის შემდეგ ფეხბურთელებს საქართველოში ვარჯიში არ ეხალისებათ.**

- ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი უდავოდ არსებობს. მშვენიერ სასტუმროში დავბინავდით, სადაც იყო 10 მოედანი და ყველანაირი მოსამზადებელი გარემო. გასაგებია, რომ საქართველოში ანთალიური პირობები არ არის, მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს პირადი მოტივაცია, სტიმული და აქაურ პირობებშიც ხალისით ივარჯიშებენ. აქაურ მოედნებზე ვარჯიშობდნენ ის ქართველი ბიჭები, რომლებიც ახლა ევროპის, რუსეთისა და უკრაინის ცნობილ კლუბებში თამაშობენ.

სხვათა შორის, ბიჭებს დაველაპარაკეთ და ვუთხარით, რომ გუნდის გაძლიერების გზა თითოეული მათგანის განვითარებაც არის. გარდა საერთო გუნდური ვარჯიშებისა, თავად უნდა იყვნენ დაინტერესებული ზრდითა და უცხოეთში ძლიერ ლიგაში მოხვედრით. მაგალითად, ჩინურ კლუბში საშუალო ხელფასი 20 ათასი დოლარია. უნდათ მაღალ დონეზე თამაში და უზრუნველი ცხოვრება? მოინდომონ და აჯობონ საკუთარ თავს. მოთამაშეთა და გუნდის ინტერესები სწორედ აქ იკვეთება: ითამაშებენ კარგად? ამით გუნდიც გაძლიერდება და თითოეულ მათგანსაც მეტ ყურადღებას მიაქცევენ. სხვაგვარად, არც "მეტალურგი" იქნება ლიდერებში და მათაც არავინ დააფასებს. ვფიქრობ, ბიჭებს ეს ჩემზე არანაკლებად აქვთ გააზრებული. ჩვენი მეტოქეების სხვა გუნდებთან ჩატარებული მატჩების შედეგებიც იცოდნენ და ბიჭები მიხვდნენ, რომ არავიზე ნაკლებნი არ არიან, ეს არის სწორედ მათი სტიმული.

**- მომზადებას რუსთავში აგრძელებთ?**

- ვცდილობთ, მაგრამ დიდთოვლობა სავარჯიშო პროცესს ხელს უშლის. ახლა მთავარია, რამენაირად თურქეთში აღებული ტემპი შევინარჩუნოთ.

**- გეწაძე და მოდებაძე გუნდს ტრავმების მერე დაუბრუნდნენ, მაგრამ ამჟამად რა მდგომარეობაში არიან?**

- საბედნიეროდ, მათ თურქეთში ბოლო სამი დღე ივარჯიშეს. ექიმების პროგნოზიც დამაიმედებელია, რომ მალე სრულად დაიტვირთებიან. ანთალიაშიც იმიტომ წავიყვანეთ, რომ ჩვენი ზედამხედველობით და გუნდთან ერთად უფრო ეფექტურად ივარჯიშებდნენ. თბილისში ინდივიდუალურად მომზადება გაუჭირდებოდათ.

**- ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე თქვენს კონკურენტებში მომხდარ ცვლილებებს თვალს გადაავლებდით. ამის გათვალისწინებით, რა მიზნებისთვის ბრძოლა იქნება "მეტალურგისთვის" რეალური?**

- რა თქმა უნდა, მეტოქეები ერთმანეთის მზადებასა და ცვლილებებს თვალყურს ვადევნებთ და ვაანალიზებთ, ვინ რა დონეზე არის. მაგრამ მიმაჩნია, რომ "მეტალურგი" არავისზე ნაკლებად არ გაძლიერდა.

**- ბევრი მოთამაშე არ დაგიმატებიათ და რას გულისხმობთ?!**

- ჩვენ არ ჩამოგვიყვანია "ცნობილი სახეები", მაგრამ თუნდაც იმით გავძლიერდით, რომ შემადგენლობა შევინარჩუნეთ, სტაბილურობა კი წარმატების საწინდარია. სამწუხაროდ, ამას საქართველოში ყურადღებას არ აქცევენ, არადა, მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მეორე ფაქტორი უკვე ვახსენე, ეს მოთამაშეებში არსებული რეზერვია, რომელიც უკეთ უნდა გამოვიყენოთ. სახელი ფეხბურთში ბევრს ნიშნავს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე საინტერესო სახელის წარმოჩენა.

ასე რომ, იმედი მაქვს, საგაზაფხულო ეტაპიდან "მეტალურგი" უკეთესი გუნდი იქნება, ვიდრე შემოდგომაზე იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>გიორგი ქიაბრიშვილი | დაუშვილი (კარპატი), ძარია (დინამო), ნ. გელაშვილი (ბოხუმი, გერმანია), ალადაშვილი (დილა), კიკნაველიძე, სარდალიშვილი (ორივე - გაგრა, იჯარით), ჭანკოტაძე, ს. ლომია, (ორივე - სიონი, იჯარით), ფიფია (ჩიხურა) | გუგუჩია, სამუშია (ორივე - ბაია), შარიქაძე, ოვონიკოკო (ორივე - გაგრა), რაჟამაშვილი (დილა), დ. მუჯირი (ჰიროშიმა, იაპონია), გ. ბერაია (დინამო) | 8 იანვრიდან - ზესტაფონში<br>**გაგრა 5:2, მერანი 2:1**<br>27 იანვრიდან - ესპანეთში<br>**დნიპრო (უკრაინა) 2:8**<br>**რუბინი (რუსეთი) 1:5**<br>**ტიმიშოარა (რუმინეთი) 0:3**<br>**კრილი სოვეტოვი (რუსეთი) 4:2, პენ.** |
| ტორპედო<br>გია გეგუჩაძე | მეგრელაძე (?), დ. ბოლქვაძე (სიონი), ს. თოდუა (მეტალურგი), ფოფხაძე (კოლხეთი), ჩიკვილაძე (სიონი) | კვახაძე (მეტალურგი), რიგვავა (ბაია), ლემონჯავა (კოლხეთი), ფირცხალავა (დინამო), ქუცურუა, რეხვიაშვილი, ვ. ბოლქვაძე (სამივე - სიონი), კემუხტაშვილი (სიონი - იჯარა დაუმთავრდა) | 4 იანვრიდან - თბილისში<br>9 იანვრიდან - ქუთაისში<br>**მერანი 2:0**<br>21 იანვრიდან - თურქეთში<br>**ბრაშოვი (რუმინეთი) 0:2**<br>**სიმურგი (აზერბაიჯანი) 1:1**<br>**კორონა (პოლონეთი) 0:0**<br>**ბანიკი (ჩეხეთი) 0:0**<br>**ზარია (უკრაინა) 1:3** |
| დინამო<br>გიორგი დევდარიანი | **ალექს გარსია (მთვარაი მწვრთნელი), ნადირაძე (სპარტაკი), ლექვთაძე, შ. კაშია (ორივე სპარტაკი, იჯარით), გ. ბერაია (ზესტაფონი), თექთურმანიძე (მეტალურგი, იჯარით), კახელიშვილი (დილა)** | **გიორგი დევდარიანი (მთავარი მწვრთნელი), მერებაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი), ძარია (ზესტაფონი), კ. სეფიაშვილი (გაგრა), გერაუ (ესპანეთი. ოკლენდი ახ. ზელანდია)**, ჩივაძე (უგუნდოდ), გოგუა (ვოლგა, რუსეთი), პარუნაშვილი, პაპავა, ხოჭოლავა (სამივე დუბლშემადგენლობიდან), მაჭავარიანი (დილა) | 9 იანვრიდან - თბილისში<br>13 იანვრიდან - ესპანეთში<br>**კაზილიე (ალჟირი) 1:0**<br>**ეპანიოლი B (ესპანეთი) 2:0**<br>**ტერასა (ესპანეთი) 5:3**<br>**კრაკოვია (პოლონეთი) 2:3**<br>**სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) 2:1**<br>**იანგ ბოიზი (შვეიცარია) 1:3**<br>**გუან ჯოუ (ჩინეთი) 0:3** |
| მეტალურგი<br>კობა ჟორჟიკაშვილი | კვახაძე (ტორპედო), წენგუაშვილი (?), ჩადუნელი (?), პავლიაშვილი (კოლხეთი) | **თექთურმანიძე (დინამო, იჯარით), ს. თოდუა (ტორპედო)**, სიხარულიძე, ოთარიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ხოხონიშვილი (?), ექვთიმიშვილი (დუბლშემადგენლობა) | 5 იანვრიდან - რუსთავში<br>**სტუ 3:2, სიონი 2:1, დილა 1:1**<br>24 იანვრიდან - თურქეთში<br>**შერიფი (მოლდოვა) 0:0**<br>**ასტანა (ყაზახეთი) 1:2**<br>**სპორტული (რუმინეთი) 2:1**<br>**ტიანჯინი (ჩინეთი) 0:0** |
| მერანი<br>მალხაზ ჟვანია | სამადაშვილი (?), თ. შალიკაშვილი (?), ჭაფოძე (სპარტაკი), მემარნიშვილი (?), იატრო (?) | მეგრელაძე (ტორპედო), ბოხუა (ჩხერიმელა), მამუდოვი (უგუნდოდ), ტორონჯაძე (ფარერები), მჭედლიშვილი (ლოკომოტივი) | 8 იანვრიდან - მარტვილში<br>**ტორპედო 0:2, ზესტაფონი 1:2**<br>**სპარტაკი 2:2, სიონი 2:0, 2:1,**<br>**ულისი (სომხეთი) 1:1** |
| ბაია<br>გოჩა ტყებუჩავა | **ე. ქომეთიანი (მთ. მწვრთნელი) სამუშია, გუგუჩია (ორივე - ზესტაფონი), რიგვავა (ტორპედო), წურწუმია (კოლხეთი, იჯარით)**, მგელაძე (?) | **გ. ტყებუჩავა (მთ. მწვრთნელი)**, კუტალია (ზრინსკი, ბოსნია), აქუბარდია (?), ლ. ტყებუჩავა (?) | 10 იანვრიდან - ზუგდიდში<br>**კოლხეთი (ფ) 0:0, კოლხეთი (ხ) 1:0**<br>**მერცხალი 2:2** |
| ვიტ ჯორჯია<br>ზურაბ ბერიძე | სიხარულიძე, ოთარიშვილი (ორივე მეტალურგი), ხუმარაშვილი (?), მაისაშვილი (?) | **ნ. დაუშვილი (სპარტაკი), ჯავაშვილი, ლობჟანიძე,** | 8 იანვრიდან - თბილისში<br>**სტუ 5:2, ზოოვეტი 3:0**<br>**დილა (დუბლ.) 3:0, აეტი 6:1**<br>25 იანვრიდან - თურქეთში<br>**შიონახე (გერმანია) 1:1**<br>**ზენიტის დუბლები (რუსეთი) 0:0**<br>**ყარაბახი (აზერბაიჯანი) 1:3** |
| გაგრა<br>ზვიად ჯელაძე | **შარიქაძე, ოვონიკოკო (ორივე ზესტაფონი), კ. სეფიაშვილი (დინამო), გაბედავა (?), სიჭინავა (კოლხეთი), ზ. ჩხეტიანი (?), გაბუნია (კოლხეთი), ნაკონეჩნი (უკრაინა), ქართველიშვილი (?)** | კიკნაველიძე, სარდალიშვილი (ორივე - ზესტაფონი - იჯარით), | 8 იანვრიდან - თბილისში<br>**ზესტაფონი 2:5, სპარტაკი 2:1,**<br>**დილა 2:0, სიონი 3:3**<br>24 იანვრიდან - თურქეთში<br>**გურნიკი (პოლონეთი) 1:2**<br>**ირტიში (ყაზახეთი) 1:2**<br>**შახტიორი (ყაზახეთი) 2:3, 0:1**<br>**პოლონია (ბიტომი, პოლონეთი) 1:2** |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **ნ. დაუშვილი (ვიტ ჯორჯია)**, ჯიქია, დეკანოიძე (ორივე დილა) შალამბერიძე (ფლოტი, პოლონეთი), ბოიომო (კოლხეთი), მეტრეველი (სიონი), ციმაკურიძე (?), გ. სეფიაშვილი (?), გ. ალავიძე (?), თიბილაშვილი (?), ქანთარია (?), | **ნადირაძე, ჩაფიძე, გაბაშვილი, მ. ჯიშკარიანი (ოთხივე დინამოს დუბლები), ლ. მელქაძე (?)** გ. გველესიანი (დინამოს დუბლები), ორბელაძე (?), ჭაფოძე (მერანი), გ. მიქაძე (?), ლოლაძე (?), | 4 იანვრიდან - თბილისში<br>**გაგრა 1:2, აეტი 3:0,**<br>**მეტალურგი (დუბლ.) 3:0**<br>**მერანი 2:2** |
| დილა<br>თემურ მახარაძე | **რაჟამაშვილი (ზესტაფონი)**, ო. გველესიანი (სიონი), ბაქრაძე (?), ქითანავა (?), ლ. ჩაგელიშვილი (?), ი. ბერაია (?), გ. თოდუა (?), მაჭავარიანი (დინამო), ნემსაძე (სიონი), შათირიშვილი (?), ცარიელაშვილი (?), სტეფნიაშვილი (?) | **ვაწაძე, არზიანი, სალუქვაძე, ხოჯავა (ოთხივე - ვოლგა, რუსეთი), ილურიძე (ანჟი, რუსეთი), ალადაშვილი (ზესტაფონი) შ. კაშია, ლექვთაძე (ორივე დინამო, იჯარით), ინწკირველი**, მეგრელიშვილი, მდივნიშვილი, (სამივე - კოლხეთი), **ჯიქია**, დეკანოიძე (ორივე სპარტაკი), **გიორგი ხუბუა** (უგუნდოდ), **კახელიშვილი (დინამო)**, ფარცვანია (დინამო კიევი, უკრაინა), რ. ბარაბაძე (უგუნდოდ), თოთაძე (დიორი ეტო. უნგრეთი), სკენდერი (დინამო ხორვატია), ივ. კანდელაკი (სკონტო, ლატვია), **ბეჭვაია** | 9 იანვრიდან - თბილისში<br>**სიონი 2:0**<br>**რ. ძოძუაშვილი აკადემია 4:1**<br>**გაგრა 0:2, მეტალურგი 1:1**<br>24 იანვრიდან - თურქეთში<br>**შტურმი (ავსტრია) 1:1**<br>**გაზ მეთანი (რუმინეთი) 0:0**<br>**MLS-ის კლუბების ნაკრები 0:1**<br>**პეტროლული (რუმინეთი) 0:1**<br>**სიბიუ (რუმინეთი) 0:2**<br>**კაირატი (ყაზახეთი) 2:0** |
| კოლხეთი<br>დავით მახარაძე | **ლემონჯავა (ტორპედო), ბობლიაშვილი (სიონი), ინწკირველი,** მეგრელიშვილი, მდივნიშვილი (სამივე - დილა), შავგულიძე (?), თედიაშვილი (?), გელაჭეიშვილი (?) | **წურწუმია (ბაია, იჯარით), ბოიომო (სპარტაკი), დ. ფოფხაძე (ტორპედო), სიჭინავა, გაბუნია (ორივე - გაგრა), პავლიაშვილი (მეტალურგი)**, ა. მიქაბერიძე (?), ხატიაშვილი (?), დ. ხუბუტია (დინამო მოსკოვი, რუსეთი), ბ. ტულუში (?), ნაბრია (?) | 9 იანვრიდან - ფოთში<br>**ბაია 0:0, ბათუმი 3:1**<br>**მერცხალი 0:0**<br>28 იანვრიდან - თურქეთში<br>**რუსი (რუსეთი) 0:0**<br>**აქტაუ (ყაზახეთი) 6:0**<br>**მინიორი (ბულგარეთი) 3:5**<br>**სლავია (ბულგარეთი) 2:1** |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | ლევან ბაჯელიძე (მთ. მწვრთნელი), ქუცურუა, რეხვიაშვილი, ვ. ბოლქვაძე (სამივე - ტორპედო), კემუხტაშვილი (ტორპედო - იჯარა დაუმთავრდა) | **ხ. ქასრაშვილი (მთ. მწვრთნელი) დ. ბოლქვაძე (ტორპედო), ბობლიაშვილი (კოლხეთი), ჭანკოტაძე, ს. ლომია (ორივე - ზესტაფონი, იჯარით)**, ქემოკლიძე (უგუნდოდ), ო. გველესიანი (დილა), გ.მ. ხიდეშელი (ფინეთი), მეტრეველი (სპარტაკი), ჩიკვილაძე (ტორპედო), ნემსაძე (დილა), მანჩხავა (?), რ. ონიანი | 10 იანვრიდან - თბილისში<br>**დილა 0:2, გაგრა 3:3,**<br>**მერანი 0:2, 1:2** |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ეეჰ, ეს ფილოსოფია...

## თარგამაძე მაინც ილიჩივეცში დააბრუნეს

უკრაინის პრემიერლიგის "ოლექსანდრიაში" დავით თარგამაძის წასვლას დღემდე განიცდიან.

- შეუცვლელი ფეხბურთელი არ არსებობს, მაგრამ დათო ნამდვილი ლიდერი იყო, გუნდის ვარსკვლავი - თქვა ოლექსანდრიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა იური პანკივმა. მაგრამ, რად გინდა, დიდ "შახტარში" პატარა "ოლექსანდრიას" ვარსკვლავობა საკმარისი არ აღმოჩნდა – იქ ფილოსოფიის უკეთ ცოდნასაც ითხოვენ.

რადენიმე დღის წინ ვწერდით, რომ ესპანურ შეკრებაზე "შახტარში" 99-ნომრიანი მაისურის მომრგები თარგამაძის დებიუტი დონეცკელთა რიგებში 1-ელ თებერვალს "კოპა დელ სოლზე" შედგა, მაგრამ შემდგომ ორ მატჩში ("ტრომსოსთან" და "კოპენჰაგენთან") აღარ უთამაშია. 22 წლის ქართველი შემტევი ნახევარმცველი ბოლო ტურში შვედურ "კალმართან" მოედანზე მაინც გამოჩნდა და გოლიც გაიტანა. მაგრამ რად გინდა...

როგორც ჩანს, შემთხვევითი არ ყოფილა ტურნირზე მისი უთამაშებლობა და მარიუპოლის "ილიჩივეცის" მთავარი მწვრთნელის იგორ ლეონოვის მოულოდნელი განცხადება:, იმედია, დათო ცოტა ხნით მაინც დაგვიბრუნდებაო; არც "შახტარის" ფიზმომზადების მწვრთნელის, კარლო ნიკოლინის მინიშნება: დათომ ჯერ კიდევ უნდა გაიგოს ჩვენი სტილი და თამაშის ფილოსოფიაო.

ოთხი დღის წინ გავრცელებული ის ინფორმაციაც მართალი აღმოჩნდა, დათოს მაინც მარიუპოლის "ილიჩივეცში" აბრუნებენო. ეს მირჩა ლუჩესკუს თანაშემწე ალექსანდრე სპირიდონმა უკრაინულ "სპორტ ექსპრესთან" ინტერვიუში დაადასტურა:

**- ესპანურ შეკრებაზე მოულოდნელად გამოცხადდა "ილიჩივეცში" იჯარით გაშვებული თარგამაძე. "შახტარში" პირველი გოლი კი გაიტანა, მაგრამ საერთოდ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- თარგამაძემ დაამტკიცა თავისი გასაოცარი ინდივიდუალური თვისებები, თუმცა ჩვენი თამაშის გასაგებად მოთამაშეს არასრული ორი კვირა არ ჰყოფნის, თუნდაც ის გამორჩეულად ნიჭიერი იყოს. ამიტომ ბოლო შეკრებას დათო "ილიჩივეცში" ჩაატარებს და ზაფხულამდე მარიუპოლის კლუბში დავაკვირდებით.

**- ქართველი იმიტომ ბრუნდება მარიუპოლში, რომ ლუჩესკუს მასზე დაკვირვების საშუალება არ ჰქონდა?**

- ეს არაფერ შუაშია. ლუჩესკუს თარგამაძის ნახვა თურქულ შეკრებაზეც შეეძლო. მაგრამ "შახტარის" თამაშის ჩანვდომაში ესეც ბევრს ვერაფერს შეცვლიდა. საამისოდ არა რამდენიმე კვირა, მრავალი თვეა საჭირო. მეორეს მხრივ, თარგამაძეს "ილიჩივეცშიც" არავინ ჰპირდება იოლ ცხოვრებას. ჩვენთან ერთად თურქეთში რომ წამოსულიყო, მარიუპოლში სეზონის განახლებამდე ათი დღით ადრე დაბრუნდებოდა. ამ დრომდე კი გუნდის მწვრთნელები ძირითად შემადგენლობაში გაერკვეოდნენ და თარგამაძის ძირითადში მოხვედრაც ძნელი იქნებოდა. ამიტომ ფეხბურთელთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე გონივრული იქნებოდა მისი აზოვურ გუნდში წასვლა.

სამწუხაროდ, თარგამაძე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც ესპანური შეკრების შემდეგ გუნდთან ერთად მომზადებას აღარ გააგრძელებს. მაგრამ საინტერესო ესაა - თარგამაძე "შახტარის" ფილოსოფიას მარიუპოლში გადახვეწილი უკეთ გაეცნობა?

**მერაბ მამულაშვილი**

# ლევან გულორდავას უკრაინული შანსი

შესაძლოა, უკრაინის პრემიერლიგაში კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშოს. იანვარში შევიტყვეთ, რომ თურქეთში შეკრებაზე მოსამზადებლად გამგზავრებულ "ოლექსანდრიაში" ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი ლევან გულორდავა ვარჯიშობდა. მან საკონტროლო შეხვედრაში ყაზახური "ჟეტისუს" განადგურებაში (5:0) წვლილი გოლით შეიტანა.

კიევის "არსენალის" გაზრდილი, რომელიც 16 წლიდან ძირითად გუნდში ვარჯიშობდა და "მეთოფეთა" ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელს ეძახდნენ, კარგა ხანი ვერ ახერხებდა კარიერის აწყობას – მოიარა სამარის "კრილია სოვეტოვი", ხარკოვის "მეტალისტის" დუბლები, საქართველოშიც კი ითამაშა, მაგრამ 2010 წელს უკრაინაში დაბრუნდა და ნახევარი სეზონი მეორელიგელ ჩერნიგოვის "დესნაში" გაატარა.

23 წლის თავდამსხმელმა ზაფხულში კრივოი როგის "კრივბასსაც" ტყუილად მიაკითხა და მერე ნახევარი წელი უგუნდოდ დარჩა.

ამდენი წვალების შემდეგ, შესაძლოა, უკრაინულ პასსპორტის მქონე 23 წლის ქართველი თავდამსხმელი ლეონიდ ბურიაკმა თავისთან დატოვოს.

*"ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ წინასწარი ინფორმაციით, ლევანი "ოლექსანდრიასთან" კონტრაქტს გააფორმებს. ლეონიდ ბურიაკი დიდი ფეხბურთელი იყო და მოთამაშის შერჩევაში არ შეცდება. მიმაჩნია, რომ გულორდავა პერსპექტიული ბიჭია და უკრაინის პრემიერლიგაში თავის სიტყვას იტყვის. როგორც მითხრეს, თურქულ შეკრებაზე, გოლის გარდა, საგოლე გადაცემებითაც გამოიჩინა თავი და მწვრთნელებს თავი მოაწონა. ლევანს საქართველოში თითქმის არ იცნობენ. არადა, ნიჭიერი ბიჭია და ცუდი არ იქნება, ყურადღებას თუ მიაქცევენ"* - ამბობს ფეხბურთელის მენეჯერი სერგო ქუთათელაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ხსოვნა



## გარი სორდია – 75

ოჩამჩირელ, სოხუმელ, თბილისელ, ქუთაისელ უფროსი თაობის ფეხბურთის თაყვანისმცემლებს კარგად ახსოვთ გარი სორდიას ტექნიკურად სრულყოფილი თამაში, მოძრაობის მსუბუქი, დახვეწილი, შავიზღვისპირეთში აღზრდილი ფეხბურთელის დამახასიათებელი მანერა, სტილი. ნუ მოგეჩვენებათ გადაჭარბებად, მაგრამ გარი სორდიას — თანამედროვე ფეხბურთელთაგან — რაიან გიგზი მაგონებს, თუმცა ორი მნიშვნელოვანი კორექტივით: გარი უფრო მსუბუქი, ელასტიკური ჩანდა მოედანზე, ხოლო იმ ახალგაზრდულ წლებში მას ბელმონდოს ეძახდნენ თაყვანისმცემელი ქალები, რომელთა ყველა შეტევის მოგერიება არცთუ ისე იოლი საქმე იყო...

მანამდე იყო ოჩამჩირის „ლოკომოტივი", სოხუმის „დინამო", აფხაზეთისა და საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში 1953 წელს 17 წლის გარი სორდიამ საკავშირო ოქროს მედალი მოიპოვა, შემდეგ თბილისის „დინამო", ქუთაისის ტორპედო", უმაღლესი ლიგა — „ა" კლასი, მოულოდნელი ტრავმა 1963 წელს, ორი მძიმე ოპერაცია და შემდეგ ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერა, კვლავ იძულებითი პაუზა აქტიურ საქმიანობაში და ისევ საყვარელი საქმე, ფეხბურთის სამსახური — ვეტერან ფეხბურთელთა კავშირში, ბოლოს კი იმერეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე.

9 თებერვალს გარი სორდიას 75 წელი შეუსრულდებოდა!

ოჯახურ ტრადიციას კი გარი სორდიას ქალიშვილი — საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნინო სორდია აგრძელებს.

**მურთაზ ხურცილავა**

იტალიის თასი. 1/2 ფინალი — პირველი მატჩები




იუვეს ახალწვეულმა მარტინ კასერესმა (მარცხნივ) მილანს დუბლი შეუსრულა. ალექს დელ პიერო ულოცავს

# დიდი ნაბიჯი ფინალისკენ

**მილანი–იუვენტუსი 1:2**

**გოლები:** 0:1 კასერესი (53), 1:1 ელ შაარავი (62), 1:2 კასერესი (83)

მიმდინარე სეზონში, „მილანმა" პრაქტიკულად ვერც ერთი დიდი მატჩი ვერ მოიგო და ეს ტრადიცია „იუვენტუსთან" სათასო შეხვედრაშიც გაგრძელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, **მასიმილიანო ალეგრიმ** ნაცადი ტაქტიკა, 4-3-1-2 აირჩია და შეტევის წინა ხაზზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** ერთად **სტეფან ელ შაარავი** გაამწესა, მათ უკან კი **კლარენს ზეედორფი** მოქმედებდა. რაც შეეხება „იუვენტუსს", **ანტონიო კონტემ** სიტყვა შეასრულა და ძირითად შემადგენლობაში **ალესანდრო დელ პიერო** და **მარკო ბორიელო** გაამწესა. სასტარტოში იყო „იუვეს" ახალწვეული **სიმონე პადოინიც**, რომელმაც მთლიანობაში ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი.

გამომდინარე იქიდან, რომ თასის ნახევარფინალური რაუნდი ორმატჩიანია, გოლის გასატანად საქმე უფრო „მილანს" ჰქონდა - სწორედ ამიტომ, მასპინძლები უფრო აქტიურად უტევდნენ, სტუმრები კი კონტრშეტევებზე ცდილობდნენ მეტოქის კართან ხიფათის შექმნას. დროის სვლასთან ერთად, „მილანი" უფრო დიდი ძალებით მიდიოდა წინ და საბოლოოდ, ამან გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი - მასპინძლებმა ზონები მოაშიშვლეს, კონტრიერიშებისთვის სტუმრებს ძალიან კარგი პლაცდარმი მისცეს და დაისაჯნენ კიდეც.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ტურინელებმა მეტოქის კართან მასირებული იერიში მიიტანეს - მილანელთა კიპერმა **მარკო ამელიამ** შორეული დარტყმა მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას **მარტინ კასერესმა** დაასწრო და ტურინული გუნდი დააწინაურა, 0:1. „მილანის" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და მასპინძლები კიდევ უფრო დიდი ძალებით წავიდნენ წინ - ამან შედეგი 62-ე წუთზე გამოიღო, როდესაც სტუმართა საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი **მასიმო ამბროზინიმ** თავით სტეფან ელ შაარავის დაუგდო და მანაც ერთი შეხებით მოათავსა მარკო სტორარის კარის ჩარჩოში, 1:1. საყაიმო ანგარიში მაინც ტურინელებს აძლევდათ ხელს და ამიტომ, თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა. „მილანი" განაგრძობდა მასირებულ იერიშებს, ტურინელები კი ჩასაფრებულები იყვნენ და კონტრშეტევებით ჰკბენდნენ მეტოქეს - საბოლოოდ, სწორედ პიემონტელებს გაუმართლათ და 83-ე წუთზე შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს: გოლი ისევ მარტინ კასერესმა გაიტანა, საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაარტყა და მარკო ამელია უშანსოდ დატოვა, 1:2.

მატჩის შემდეგ, მასიმილიანო ალეგრი უხასიათოდ იყო, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა და განაცხადა, რომ მის გუნდს ფინალში გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვს: *„მდგომარეობა გავირთულეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თასისთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ. წინ განმეორებითი მატჩია, რომელშიც სასურველი შედეგისთვის ვიბრძოლებთ. როდესაც ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი ძალის გუნდია, იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ბოლო პერიოდში, მართლაც ბევრი მატჩი წავაგეთ, მაგრამ ამას აქვს თავისი ახსნა - მთელ სეზონს სტაბილურად მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებ, სადღაც პატარა ჩავარდნა ყოველთვის გაქვს, მით უმეტეს, როდესაც ნახევარი შემადგენლობა დაშავებულია. სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ და მუშაობა ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელოთ"*.

პრესას არც ანტონიო კონტემ დასწყვიტა გული და ბოლოს სწორედ მას მოვუსმინოთ: *„ფინალისკენ ერთი ნაბიჯი გადავდგით, წინ კი კიდევ უფრო რთული, განმეორებითი პაექრობა გველოდება. ასე რომ, ზეიმი და გადამწყვეტ მატჩზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეა. რაც შეეხება შეხვედრას, მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი, რადგან ნათლად დავინახე, რომ როტაციის გამოყენება მომავალშიც თავისუფლად შემიძლია და თანაც, სრულიად უმტკივნეულოდ. ჩვენ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი სწორედ გადახალისებული შემადგენლობით დავამარცხეთ და თანაც, მისსავე მოედანზე. კარგად წარმოაჩინეს თავი ახალწვეულებმა, სიმონე პადოინმა საოცრად სწრაფად აუღო ალღო „იუვეს" სათამაშო ფილოსოფიას, მარტინ კასერესმა კი, მართალია, დაცვაში რამდენიმე შეცდომა დაუშვა, სამაგიეროდ შეტევაში გაიბრწყინა. მარტინი უნივერსალური თვისებების მქონე ფეხბურთელია, მას დაცვაშიც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც - პრინციპში, ამადაც გადმოვიყვანეთ „იუვენტუსში" და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს"*.

**ლაშა ნიკლაური**

გუშინ...

**იტალიის თასი. 1/2 ფინალი.**

**პირველი მატჩი**

**სიენა–ნაპოლი 2:1**

**სიენა (4-3-1-2):** ფარელი – პეზოლი, კონტინი, ბელმონტე, ანჯელო – დაგოსტინო, გაცი, როსი – რეჯინალდო (69. ჯორჯი) – მანინი (62. ბრიენცა), ბოგდანი (51. ლარონდო).

**ნაპოლი (3-5-2):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა (57. ლავეცი) – მაჯო, ჯემაილი (73. ინლერი), გარგანო, ცუნიგა – ჰამშიკი, პანდევი (71. ვარგასი) - კავანი.

**გოლები:** 1:0 რეჯინალდო (42), 2:0 დაგოსტინო (66), 2:1 პეზოლი (86-საკ. კარში).

**სერია A**

**ლაციო–ჩეზენა 3:2**

**ლაციო (4-2-3-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, ძაური, ლულიჩი – ლედესმა, მათუზალემი – გონსალესი, კანდრევა (46. კოზაკი – 83. სკალონი), ერნანესი - კლოზე.

**ჩეზენა (3-5-2):** ანტონიოლი – კომოტო, როდრიგესი, ლაურო – ჩეკარელი, სანტანა (70. გუანა), კოლუჩი, პაროლო, პუდილი (63. დელ ნერო) – მუტუ, იაკვინტა (58. რენელა).

**გოლები:** 0:1 მუტუ (13), 0:2 იაკვინტა (32-პენ.), 1:2 ერნანესი (52), 2:2 ლულიჩი (60), 3:2 კოზაკი (62).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 21 | 12 | 9 | 0 | 33-13 | 45 |
| 2. მილანი | 22 | 13 | 5 | 4 | 43-19 | 44 |
| 3. ლაციო | 23 | 12 | 6 | 5 | 37-24 | 42 |
| 4. უდინეზე | 22 | 12 | 5 | 5 | 33-20 | 41 |
| 5. ინტერი | 22 | 11 | 3 | 8 | 34-29 | 36 |
| 6. რომა | 22 | 10 | 5 | 7 | 36-26 | 35 |
| 7. ნაპოლი | 22 | 7 | 10 | 5 | 36-24 | 31 |
| 8. პალერმო | 22 | 9 | 4 | 9 | 32-32 | 31 |
| 9. ჯენოა | 21 | 9 | 3 | 9 | 31-40 | 30 |
| 10. ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23-19 | 28 |
| 11. კალიარი | 22 | 6 | 9 | 7 | 20-22 | 27 |
| 12. პარმა | 21 | 7 | 6 | 8 | 27-34 | 27 |
| 13. კიევო | 21 | 6 | 6 | 9 | 17-27 | 27 |
| 14. კატანია | 20 | 5 | 9 | 6 | 23-29 | 24 |
| 15. ატალანტა | 21 | 7 | 8 | 6 | 25-27 | 23 |
| 16. ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| 17. სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 21-22 | 20 |
| 18. ლეჩე | 22 | 4 | 5 | 13 | 22-38 | 17 |
| 19. ჩეზენა | 22 | 4 | 4 | 14 | 15-34 | 16 |
| 20. ნოვარა | 21 | 2 | 7 | 12 | 18-40 | 13 |

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

უცხოური ფეხბურთი

● გერმანიის თასი. 1/4 ფინალის მიმოხილვა

# ბერლინისკენ მიმავალი გზა ექლიანია!

## ბაიერნს შვაინშტაიგერი დაემტვრა, ჰოფენჰაიმში მწვრთნელი გააგდეს, ჰერტა მოგონილი პენალტით დაჟეჟა...

ისე როგორ იქნებოდა, რომ გერმანიის თასის ნახევარფინალში მეორებუნდესლიგელი არ გასულიყო – როგორც წინათქმაში ვივარაუდეთ, „ფიურტმა“ შეძლო და საკმაოდ დიდი სენსაცია მოახდინა. მეოთხედფინალურ მატჩებს სხვაც ბევრი მოჰყვა საინტერესო: „ჰოფენჰაიმის“ შეფებმა „ფიურტთან“ წაგების შემდეგ მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი** დაიფრინეს, „გლადბახმა“ „ჰერტას“ საეჭვო პენალტით მოუგო, ხოლო „ბაიერნს“ კი „შტუტგარტის“ დამარცხება ძვირად დაუჯდა – მძიმედ დაშავდა **ბასტიან შვაინშტაიგერი...**



ბასტიან შვაინშტაიგერი შტუტგარტთან მატჩში ისე დაშავდა, რომ რამდენიმე კვირა დაისვენებს

**ჰოლშტაინ კილი–ბორუსია (დ) 0:4**

**ჰოლშტაინ კილი (4-2-3-1):** იენსენი – ჰერმანი, ბერცელი, იურგენსენი, პოგენბერგი – კაციორი, ს. მიულერი – ჩაჰედი (81. ზახსი), სიკორა, ლინდნერი (85. ვეტერი) – ჰაიდერი (83. ვულფი).

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ლანგერაკი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ლაიტნერი, კელი – ბლაშჩიკოვსკი (69. გროსკროიტცი), კაგავა (82. გიუნდოგანი), პერიშიჩი – ლევანდოვსკი (69. ბარიოსი).

**გოლები:** 0:1 ლევანდოვსკი (11), 0:2 კაგავა (18), 0:3 ბარიოსი (80), 0:4 პერიშიჩი (87)

**მაყურებელი:** 11 522

ეს მატჩი სამშაბათს გაიმართა: როგორც მოსალოდნელი იყოს, გერმანიის ჩემპიონს მეოთხელიგელი „ჰოლშტაინ კილის“ დამარცხება არ გაუჭირდა. ერთი ეგაა, რომ დორტმუნდელები ძალიან უკმაყოფილოები დარჩნენ მოედნის საფარის გამო. „ბორუსიას“ თავკაცი **იურგენ კლოპი** საფინალო სასტვენის შემდეგ ცოფებს ყრიდა – ასეთ მოედანზე თამაში დანაშაულია და მადლობა ღმერთს, რომ არავინ დაგვიშავდაო...

**ჰოფენჰაიმი–ფიურტი 0:1**

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – ბეკი, ვესტერგაარდი, კომპერი, ბრააფჰაიდი – შტრობლი (83. სალიჰოვიჩი), ვილიამსი – მლაპა (64. ბაბელი), რობერტო ფირმინიო, ჯონსონი (79. გიაუ) – ლაკიჩი.

**ფიურტი (4-2-2-2):** გრიუნი – შრიოკი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი – ფიურშტნერი, ცილნერი (55. პეკოვიჩი) – სარარერი, პრიბი – ოკეანი (89. კარასლავოვი), ნიოთე (42. ასამოა).

**გოლი:** 0:1 ოკეანი (44)

**გაძევება:** კომპერი (36. ჰოფენჰაიმი)

**გაფრთხილება:** ლაკიჩი – ცილნერი, შმიდტგალი, ოკეანი, ასამოა

**მაყურებელი:** 14 000

„ფიურტთან“ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩის წინ „ჰოფეს“ მილიარდერმა მფლობელმა **დიტმარ ჰოპმა** თქვა, **სტანისლავსკის** ხელში გუნდს ვერანაირ წინსვლას ვერ ვამჩნევ და სხვათა შორის, არც მწვრთნელის კონცეფცია ჩანსო. ეს არ იყო უბრალო დამთხვევა და აი, თასიდან გავარდნის შემდეგ, ჰოპმა „სტანის“ გაგდება ბრძანა – ეს გერმანიაში ამ სეზონის რიგით მეხუთე გათავისუფლებაა. 42 წლის ჰოლგერი, რომელმაც „ჰოფენჰაიმი“ ზაფხულში ჩაიბარა (მანამდე „ზანკტ პაულის“ წვრთნიდა), უმუშევარი დარჩა. რაც შეეხება ახალ მწვრთნელს: ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ ჰოპი „ჰოფენჰაიმს“ დეკემბერში „ჰერტადან“ სკანდალურად წასულ **მარკუს ბაბელს** ჩააბარებს. „ბილდის“ ცნობით, შაბათს, „ვერდერთან“ კალენდარულ შეხვედრაში „ჰოფეს“ თავკაცი სწორედ 39 წლის ბაბელი იქნება.

ალსანიშნავია, რომ „ჰოფეს“ ფანები სტანისლავსკის ბოლომდე მხარს უჭერდნენ – მიუხედავად იმისა, რომ გუნდი „ფიურტთან“ აგებდა, ქომაგები მაინც მწვრთნელის გვარს სკანდირებდნენ. „ჰოფენჰაიმს“ სერიოზული პრობლემა შეუქმნა იმ ფაქტმა, რომ დაცვის ბურჯი **კომპერი** 36-ე წუთზე გააძევეს და „სოფლელები“ თითქმის ერთი საათი კაცნაკლულები იყვნენ. გამარჯვების გოლი კი კანადელმა **ოლივიე ოკეანმა** პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა. მეორე ნახევარში „ფიურტმა“ ათკაციანი „ჰოფენჰაიმის“ იერიშებს იოლად გაუძლო და ნახევარფინალშია!



ფიურტმა სენსაცია მოახდინა: სარარერი ოკეანს გოლს ულოცავს

**ჰერტა–ბორუსია (მ) 0:0 (დ.დ. 0:2)**

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – მორალესი, ჰუბნიკი, მიატოვიჩი, კობიაშვილი (80. რონი) – ოტლი (106. რამოსი), ნიმაიერი – ებერტი, ლუსტენბერგერი (60. ბასტიანსი), რაფაელი – ლასოგა.

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, ბრუვერსი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი (70. დე კამარგო), არანგო – როისი (116. მარქსი) – ჰანკე (121. ვენდტი).

**გოლები:** 0:1 დემსი (101-პენ), 0:2 ვენდტი (122)

**გაძევება:** ჰუბნიკი (100. ჰერტა)

**გაფრთხილება:** ებერტი – დანტე, დე კამარგო

**მაყურებელი:** 47 465

**ლუსიენ ფავრმა** „ჰერტაზე“ შური იძია, „გლადბახიც“ ნახევარფინალშია – მეტწილად მსახიობობის გამო. შეხვედრის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, დამატებითში კი მიონხენგლადბახელებმა ბერლინელებს ორი გოლი გაუტანეს. აქედან, გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, პირველი გოლი იყო, რომელიც 101-ე წუთზე, პენალტით გავიდა – პენალტით, რომელიც არ უნდა დანიშნულიყო! მსაჯი **ფელიქს ბრიხი** იოლად წამოეგო **იგორ დე კამარგოს** სიმულაციაზე და ამან მატჩის შედეგზე გადამწყვეტი გავლენა იქონია.

დეტალურად: დე კამარგომ ორთაბრძოლის დროს ბერლინელთა მცველ **ჰუბნიკს** ხელი ჰკრა, ეს უკანასკნელი კი გაბრაზებული ეკვეთა „გლადბახის“ ფორვარდს. ჰუბნიკი დე კამარგოს ოდნავ შეეხო ცხვირით შუბლზე, მიონხენგლადბახელი კი ისე წაიქცა, თითქოს მუშტი უთავაზესო... ბრიხი ამაზე წამოეგო: ჰუბიკი გააგდო და „ჰერტას“ კარში პენალტი დანიშნა, რომელიც **დემსმა** გაიტანა.

*„დაუჯერებელია! მთელ გერმანიაში, მარტო ბრიხმა დაინახა იმ მომენტში წესების დარღვევა! მის ადგილზე ნებისმიერი, უკიდურესად დილეტანტი მსაჯიც კი არ დანიშნავდა თერთმეტმეტრიანს,“* - განრისხებული იყო მატჩის შემდეგ „ჰერტას“ თავკაცი **მიხაელ სკიბე**.

122-ე წუთზე **ვენდტის** გოლმა შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა, რაც იმასაც ნიშნავს, რომ გერმანიის თასის ფინალი ბერლინში ისევ ბერლინელების გარეშე ჩაივლის. სკიბემ კი, „ჰერტას“ თავკაცის რანგში მეოთხე თამაშიც წააგო...

**შტუტგარტი–ბაიერნი 0:2**

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი – ბულარუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო – კვისტი, გენტნერი (83. ჰოლცჰაუზერი) – ოკაზაკი (57. ჰარნიკი), შიბერი (70. ჰაინალი) – იბიშევიჩი, კაკაუ.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ბოატენგი, ბადშტუბერი, ლამი – ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი (17. ალაბა) – თ. მიულერი, კროოსი (89. ტიმოშჩუკი), რიბერი (83. ოლიჩი) – გომესი.

**გოლები:** 0:1 რიბერი (30), 0:2 გომესი (46)

**გაფრთხილება:** იბიშევიჩი, შიბერი – ბოატენგი, რიბერი

**მაყურებელი:** 57 500

ახალი წლის ცუდად დაწყების შემდეგ, მიუნხენელები ნელ-ნელა აზრზე მოდიან. „ბაიერნმა“ შტუტგარტში საკმაოდ იოლად მოიგო და თასის ნახევარფინალშია. თუმცა ეს გამარჯვება რეკორდმაისტერს ძვირად დაუჯდა: ნიდერმაიერთან ორთაბრძოლისას შვაინშტაიგერი დაშავდა და უკვე მე-17 წუთზე შესაცვლელი გახდა. მისი მოედნიდან გაყვანის შემდეგ, რამდენიმე წუთში გუნდის ექიმი **პეტერ უებკლაკერი** გასახდელიდან გამოვიდა და „ბაიერნის“ თავკაც **იუპ ჰაინკესს** ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, რასაც „დონ იუპის“ მხრიდან ხელების თავში წაშენა მოჰყვა...

დიაგნოზი მიუნხენური კლუბისთვის მართლაც ძალიან მტკივნეულია: შვაინი „ბაიერნს“ ისევ რამდენიმე კვირის მანძილზე ვერ დაეხმარება! გამოჯანმრთელების პერიოდის ზუსტი დრო არ დაკონკრეტებულა, ის კი ფაქტია, რომ 27 წლის ბასტიანი 2 ან 3 კვირაში ვერ გამოჯანმრთელდება. შესაბამისად, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვაინშტაიგერი რეკორდმაისტერს „ბაზელთან“ მატჩებში აუცილებლად დააკლდება და ვერც „შალკესთან“ (26 თებერვალს) ითამაშებს. შესაძლოა, მას გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური ჯახიც (29 თებერვალს) გაუცდეს.

ალსანიშნავია, რომ ჰაინკესმა **არიენ რობენი** 90 წუთი სკამზე დატოვა, რითაც ბავარიელთა ჰოლანდიელი დრიბლიორი ძალიან უკმაყოფილო დარჩა. სამაგიეროდ, „დონ იუპმა“ **თომას მიულერი** ისევ მარჯვნივ ათამაშა, **ტონი კროოსი** კი ცენტრში, გამთამაშებლად – როგორც ადრე, სანამ რობენი ტრავმირებული იყო – და „ბაიერნმა“ კარგად შეუტია! შედეგიც სახეზეა...

● გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

# ვოლფსბურგში მაგათის ეფექტს ელიან!

## ფრაიბურგი კი გადარჩენისთვის ბრძოლას იწყებს

**დღეს**

**ვოლფსბურგი–ფრაიბურგი 23:30**

**პირველ წრეში:** 0:3

**ტრავმა:** მადლუნგი, ჰიტცლშპერგერი, პოლაკი, ვიერინია – კრმასი, მუიჯა, პუცილა, შუსტერი

გერმანიის ჩემპიონატის 21-ე ტურს დღეს, „ვოლფსბურგისა“ და „ფრაიბურგის“ დაპირისპირება გახსნის. მართალია, სატურნირო ცხრილში „ვოლფსბურგი“ „ფრაიბურგზე“ გაცილებით უკეთეს პოზიციაზეა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეორე წრე ორივე გუნდმა ერთნაირად დაიწყო: „მგლებმაც“ და ბრაისგაუელებმაც სეზონის მეორე ნახევრის განვლილ სამ ტურში 4-4 ქულას მოუყარეს თავი. თუმცა ორი აზრი არ არსებობს: „ვოლფსბურგს“ „ფრაიბურგზე“ მეტი შეუძლია და ვინც **ფელიქს მაგათის** გუნდს დღევანდელ შეხვედრაში ფავორიტად მიიჩნევს, ნამდვილად არ ცდება.

აქვე შეგახსენებთ, რომ წინა ტურში მაგათმა მორიგი რეკორდი დაამყარა, უფრო სწორად, თავისივე რეკორდი გააუმჯობესა, რადგან როცა „გლადბახთან“ მატჩში მოედანზე **სისოკო** შეუშვა, ეს უკანასკნელი 36-ე ფეხბურთელი გახლდათ, რომელიც მან ამ სეზონში გამოიყენა. ბუნდესლიგის ისტორიაში, ერთ სეზონში ამდენი მოთამაშე სხვა არცერთ კლუბს არ დასჭირვებია.

სხვათა შორის, ამ სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე სეზონში მეორე ადგილზე სწორედ „ფრაიბურგია“ - ბრაისგაუელებმა დღემდე 29 ფეხბურთელი ათამაშეს. თუმცა „ფრაის“ ვერცერთმა მათგანმა ვერ უშველა – 20 ტურის შემდეგ გუნდი ბოლო ადგილზეა. ახლა კი, „ფრაიბურგს“ **კრმასი** და **პუცილაც** დააკლდნენ. ალსანიშნავია, რომ წინა ტურში ფრაიბურგელებმა კარგად ითამაშეს: „ვერდერთან“ ორჯერ აგებდნენ და ორივეჯერ გაათანაბრეს!

დღევანდელი მატჩი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია: ფრაიბურგელები გადარჩენაზე ოცნებობენ, ვოლფსბურგელებს კი ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ ევროპა-ლიგის საგზურს მოიპოვებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 20 | 13 | 4 | 3 | 45-14 | 43 |
| 2. ბაიერნი | 20 | 13 | 2 | 5 | 47-14 | 41 |
| 3. შალკე | 20 | 13 | 2 | 5 | 46-25 | 41 |
| 4. ბორუსია (მ) | 20 | 12 | 4 | 4 | 31-12 | 40 |
| 5. ვერდერი | 20 | 9 | 5 | 6 | 33-34 | 32 |
| 6. ლევერკუზენი | 20 | 8 | 7 | 5 | 28-27 | 31 |
| 7. ჰანოვერი | 20 | 7 | 9 | 4 | 22-24 | 30 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-24 | 24 |
| 9. კიოლნი | 20 | 7 | 3 | 10 | 29-40 | 24 |
| 10. ვოლფსბურგი | 20 | 7 | 3 | 10 | 24-36 | 24 |
| 11. შტუტგარტი | 20 | 6 | 5 | 9 | 26-28 | 23 |
| 12. ჰამბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 25-34 | 23 |
| 13. მაინცი | 20 | 5 | 7 | 8 | 28-34 | 22 |
| 14. ნიურნბერგი | 20 | 6 | 3 | 11 | 19-31 | 21 |
| 15. ჰერტა | 20 | 4 | 8 | 8 | 25-31 | 20 |
| 16. კაიზერსლ. | 20 | 3 | 9 | 8 | 15-24 | 18 |
| 17. აუგსბურგი | 20 | 3 | 8 | 9 | 19-33 | 17 |
| 18. ფრაიბურგი | 20 | 4 | 5 | 11 | 25-44 | 17 |

**ბომბარდირები:** 17 – გომესი (ბაიერნი); 16 – ჰუნტელაარი (შალკე), 15 – პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 14 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 12 – როისი (ბორუსია /მ/); 11 – აბდელაუ (ჰანოვერი); 10 – რაული (შალკე).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ფელიქს მაგათი ფრაიბურგთან საშინაო მატჩში სამი ქულის აღებას გეგმავს

● კოპა დელ რეი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი


ჩავიმ სეზონში მე-10 გოლი გაიტანა და საკუთარი რეკორდი გაიმეორა

# ვალენსიას მეკარე მესის ეყო, ბარსას ვერა

## ბასკები ბარსელონაში ჩასვლაზე დათანხმდნენ!

| ბარსელონა-ვალენსია | 2:0 (1:1) |
|---|---|

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - პუიოლი, პიკე, მასკერანო, აბიდალი - ტ. ალკანტარა, ჩავი, ფაბრეგასი (91. ინიესტა) - კვენკა (88. ტელიო), მესი, სანჩესი (85. დანი ალვეში).

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - მიგელი, რამი, რუისი, ალბა - ალბელდა (84. პარეხო), ბანეგა (68. ტ. კოსტა) - ფეგული, ჟონასი (78. პიატი), მატიო - ადურისი.

**გოლები:** 1:0 ფაბრეგასი (16), 2:0 ჩავი (81)

**გაძევება:** ფეგული (75)

**ფინალი**

(დრო და თარიღი უცნობია)

**ბილბაო-ბარსელონა**

ბომბარდირები: **7 - პაბლო ინფანტე (მირანდესი); 5 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 4 - ალვარო ვასკესი (ესპანიოლი), კრისტიან სტუანი (რასინგი), ლასად ნუიუი (დეპორტივო), ნაუსეტ ალემანი (ვალიადოლიდი).**

მაშ ასე, ესპანეთის სამეფო თასის რიგით 108-ე გათამაშების ფინალში, ქვეყნის ყველაზე „სათასო გუნდები", „ბარსელონა" და „ბილბაო" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს

„ბარსელონამ" ორი მატჩის ჯამში 3:1 დაამარცხა „ვალენსია" და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ღამურებს" ბევრი უკლია ესპანური ფეხბურთის ორ გრანდთან. კიდევ ერთხელ იმიტომ, რომ პრიმერას ცხრილი ამის ნათელი დადასტურებაა.

## მესი, დარტყმა... ალვეში, და ასე, უსასრულოდ

საპასუხო მატჩი „ბარსამ" ცოტა ნერვიულად დაიწყო და პირველი საგოლე მომენტი სტუმრებს შეექმნათ - **ჟერემი მატიომ სოფიან ფეგული** მოძებნა, მაგრამ წმინდა ფრანგული კომბინაცია გოლით ვერ დასრულდა, ამ უკანასკნელმა ოდნავ ააცილა **ხოსე პინტოს** კარს. მე-16 წუთზე კი **ლეო მესიმ** მორიგი საოცრება ჩაიდინა, საკუთარი ნახევრიდან დიდებული პასი მისცა **სესკ ფაბრეგასს**, რომელმაც ერთი შეხებით გადაუგდო ბურთი თავზე **დიეგო ალვეშს**. კუთხე მახვილი იყო და დარტყმა რთული შესასრულებელი, სესკმა თამაშის შემდეგ აღიარა, რომ კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა. მესის მალევე შეეძლო ანგარიშში სხვაობის გაორმაგება, მაგრამ არგენტინელმა **ადილ რამის** შეცდომა სათანადოდ ვერ გამოიყენა და მეკარემ იყოჩაღა, დამატებულზე კი **ისააკ კვენკამ** ვერ ივარგა.

რომ არა დიეგო ალვეში, ანგარიში პირველივე ტაიმში შემაშფოთებელი იქნებოდა სტუმართათვის, იმდენად დაბნეულად თამაშობდა ვალენსიელთა დაცვა. ბრაზილიელმა გოლკიპერმა კი არ გაახარა სესკ ფაბრეგასი და გოლი აკმარა.

მეორე ტაიმი „ვალენსიამ" უკეთ დაიწყო. ბოლობოლო, „ლოს ჩეს" ერთი გოლიც ჰყოფნიდა, მატჩის დამატებით დროში და, ვინ იცის, პენალტების სერიაში გადასაყვანად. იქ კი მათ დიეგო ალვეშის რეაქციის ეიმედებოდათ. გოლის გატანის შანსი **ხორდი ალბას** ჰქონდა, თუმცა პინტომ ფეხით მოიგერია დარტყმული.

შემდეგ ისევ მესიმ გამოიჩინა თავი, ერთი მოძრაობით „ვალენსიას" 4 მცველი ჩამოიცილა (!), მაგრამ დიეგო ალვეშმა ფანტასტიკურ ნახტომში მოიგერია ბურთი. მესის და ალვეშის დუელი კიდევ ერთხელ შედგა და ისევ ბრაზილიელი მეკარის გამარჯვებით დასრულდა.

თუმცა არც „ვალენსია" ყოფილა გულხელდაკრეფილი - ერთხელ **კარლეს პუიოლმა** აკრობატულ ნახტომში იხსნა „ბარსა", მეორედ კი **ჟონასის** უძლიერესი გასროლა მეკარე პინტომ მოიგერია. ყველაფერი კი 75-ე წუთზე დასრულდა, როცა ფეგულიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, კაცნაკლული „ვალენსია" თამაშის გადამრჩენი ველარ იყო.

„ბარსელონამ" ლეო მესის წამოწყებულ კონტრიერიშზე :დაიჭირა" „ვალენსია" - რომელიც **ჩავიმ** დაასრულა. ამის შემდეგ დიეგო ალვეშმა ერთხელაც აუღო მესის, ამჯერად, საჯარიმო დარტყმა - 2:0.

მასპინძელთაგან მესის, სესკს და ჩავის გამოვარჩევთ, ხოლო სტუმართა რიგებში ხორდი ალბას, ჟერემი მატიოს და, რა თქმა უნდა, დეიგო ალვეშს.

სესკ ფაბრეგასი: *„ჩვენ ძალიან ბედნიერები და ამაყები ვართ. ბევი ამბობდა, რომ კოპა მეორეხარისხოვანია, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ - ყველა ფინალში თამაში გვსურს. „ბარსას" მიზანი ყოველთვის პირველობაა. „ბილბაო" დიდი გუნდია, ბასკებს რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი ჰყავთ - ბრწყინვალე ფინალი გველის. თუმცა ახლა ლა ლიგასადა ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გადავერთოთ".*

**იცით, თუ არა რომ...**

- „ვალენსიას" დამარცხების შემდეგ „ბარსელონამ" გვარდიოლას ხელმძღვანელობით მოიგო 26-დან 24 საპლეიოფო დაპირისპირება. ორად ორი გუნდი, რომელმაც შეძლო „ბარსას" გაგდება იყო „სევილია" (ესპანეთის თასზე) და „ინტერი" (ჩემპიონთა ლიგაზე).
- **უნაი ემერიმ** „კამპ ნოუზე" ყველა თამაში წააგო, მისმა გუნდმა მხოლოდ 1 გოლი გაიტანა და 13 გაუშვა.
- როდესაც „ბარსელონა" უგებდა „ვალენსიას" თასის ნახევარფინალში, ის ყოველთვის იგებდა ფინალსაც.
- ჯერ სეზონი შუაშია და „ბარსამ" მე-4 ფინალი დაიბევა, ესპანეთის და ევროპის სუპერთასებისა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შემდეგ.
- **ხოსეპ გვარდიოლამ** 4 ცდიდან 3-ჯერ გაიყვანა გუნდი თასის ფინალში.
- ესპანეთის თასის ფინალში „ბარსელონაც" და „ბილბაოც" 36-ედ ითამაშებენ. „ბარსამ" 36-დან 25 ფინალი მოიგო, „ბილბაომ" - 36-დან 23.
- ჩავიმ ამ სეზონში მე-10 გოლი გაიტანა და ეს მისი პირადი რეკორდის გამეორებაა.

## ფინალი ცნობილია, მაგრამ სად?

სად და როდის გაიმართება ფინალი, ჯერ კამათის თემაა. სად გაიმართება „ბილბაო"-"ბარსელონა"? ყველაზე ლოგიკური „სანტიაგო ბერნაბეუ" ჩანს, არენა ყველაზე დიდია ესპანეთში ნეიტრალურ ასპარეზთა შორის. ბილბაოელები მზად იყვნენ ეთამაშათ „სანტიაგო ბერნაბეუზე", არც „ბარსელონას" გამოუდვია თავი უარით. მაგრამ პირველი სწორედ ეს სტადიონი გამოირიცხა. რატომ? უსაფრთხოების ზომების გამო. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს, რომ თამაში მადრიდში არ იქნება. ასე რომ, „სანტიაგო ბერნაბეუსთან" ერთად „ატლეტიკოს" კოხტა სტადიონი, „ვისენტე კალდერონიც" გამოირიცხა. მაშ, სად უნდა ჩატარდეს ფინალი?

ქვეყანაში კიდევ ერთი სტადიონია, რომელიც ორივე პირობას აკმაყოფილებს - სევილიას ოლიმპიური სტადიონი ნეიტრალურიცაა და ბევრ გულშემატკივარსაც (57 ათასი) იტევს. მაგრამ ის ბასკებისა და კატალონიელებისთვის მეტისმეტად შორია და ფანები ამხელა მანძილის გავლას იუკადრისებენ.

რჩება „მესტალია", სადაც 2009 წელსაც გაიმართა ამ ორ კლუბს შორის ფინალური მატჩი. ასევე შარშან „რეალსა" და „ბარსელონას" შორის დაპირისპირებაც მანდ გაიმართა. **ხოსეპ მარია ბარტომეომ** კი ერთი შეხედვით აბსურდული წინადადება წამოაყენა - გაიმართოს ფინალი „კამპ ნოუზე"! კი, მაგრამ გამოდის, რომ „ბარსა" ფინალს შინ ითამაშებს. სამაგიეროდ, კატალონიური კლუბი ორივე გუნდის ფანებს თანაბრად, 40-40 ათას ადგილს შესთავაზებს. გაგიკვირდებათ და, ბილბაოს „ატლეტიკი" თანახმაა. ითამაშოს მეტოქის მოედანზე!

ესპანელმა ჟურნალისტებმა მთლად საოცარი ვერსია გამოთქვეს - თასის ფინალი იქნებ საზღვარგარეთ გაიმართოსო...

## ...და როდის?

ეს საკითხიც გაურკვეველია. თასის ფინალი შეიძლება გაიმართოს 20 ან 25 მაისს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ითამაშებს თუ არა „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომლის თარიღიც დიდი ხანია განსაზღვრულია - 19 მაისს მიუნხენში.

● ამბები

## რეალი და ბარსელონა ისევ ყველაზე მდიდრები

მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა" მსოფლიოს უმდიდრესი კლუბები არიან. ისინი ბევრად უსწრებენ ინგლისის, იტალიისა და გერმანიის მდიდარ კლუბებს. შვიდი წელიწადია ზედიზედ „რეალი" მსოფლიოს უმდიდრესი გუნდია „ფუტბოლ მანი ლიგის" კვლევის მიხედვით. „რეალის" ბიუჯეტი 479 მილიონი ევროა, „ბარსელონასი" - 450 მილიონი. მესამე ადგილზე „მანჩესტერ იუნაიტედია" 367 მილიონით.

## იენაგა კორეაში


იაპონელი ლეგიონერი მალიორკას ვერ შეეწყო

ეს უკვე ოფიციალური ინფორმაციაა - კორეულმა „ულსან ჰიუნდაიმ" გამოაცხადა, რომ იაპონელი **აკიჰირო იენაგა** იჯარის წესით დაიმატა. 25 წლის განაპირა ნახევარმცველი „მალიორკას" ეკუთვნის, მაგრამ **ხოაკინ კაპაროსის** ხელში ბალეარული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ასე რომ, „მალიორკამ" იჯარით გაასხვისა ლა ლიგის პირველი იაპონელი ლეგიონერი. *„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კარიერაში ახალი შანსი მომეცა. შევეცდები, ყველაფერში გამოვადგე ჩემ ახალ გუნდს"*, - განაცხადა იენაგამ. „ულსან ჰიუნდაიმ" კორეის კეი ლიგის 2011 წლის სეზონი მეორე ადგილზე დაასრულა.

## დათარსული ჰამითი

მადრიდის „რეალის" თურქი ნახევარმხცველი **ჰამით ალთინთოპი** კვლავ დაიმტვრა. მას ფეხის ახალი ტრავმა რამდენიმე კვირით დაასვენებს ფეხბურთისგან, ალთინთოპმა მარცხენა ფეხის კუნთი ჩაიხია. ჰამითი „რეალმა" ამ სეზონის წინ დაიმატა და თურქმა სულ 4-ჯერ შეძლო თამაში. რის მიზეზიც გაუთავებელი ტრავმებია. სამაგიეროდ, „რეალის" ოფიციალურმა საიტმა დაადასტურა, რომ **ანხელ დი მარიას** და **სამი ხედირას** კვირას „ლევანტეს" წინააღმდეგ თამაში შეეძლებათ, თუკი ამას გუნდის თავკაცი ჟოზე მოურინიო მოინდომებს.

## ბორხა რეალში?

„მუნდო დეპორტივო" იუწყება, რომ ზაფხულში „რეალი" „ვილიარეალის" ნახევარმცელის, **ბორხა ვალეროს** დამატებას შეეცდება. ეს ტრანსფერი რომც არ შედგეს, ბორხა „წყალქვეშა ნავში" დამრჩენი აღარაა. 27 წლის ვალერო „რეალის" გაზრდილია, მაგრამ მას „ბლანკოსის" პირველ გუნდში თამაშმა არ მოუწია. „მალიორკაში" და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში" გატარებული დროის შემდეგ, 2010 წელს ბორხამ „ვილიარეალთან" გააფორმა ხელშეკრულება. თუმცა ფეხბურთელს ერთობ გაუჭირდება ვალენსიური კლუბიდან თავის დახსნა, მას კონტრაქტი „ელ სუბმარინოსთან" 2015 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, ოფიციალური გამოსასყიდი თანხა კი 40 მილიონი ევროა.

## ჩეხი 2 წლით დასაჯეს

უეფამ ჩემპიონთა ლიგის მატჩზე დოპინგ-ტესტის ჩაგდებისთვის ჩეხური პლზენის „ვიქტორიას" მცველი ორი წლით მოკვეთა. 29 წლის **დავიდ ბისტრონის** სინჯმა ნოემბერში დადებითი შედეგი აჩვენა, ისევე როგორც, განმეორებითმა ტესტმა. დისკვალიფიკაცია ძალაში 3 იანვრიდან შესულად გამოცხადდა, ასე რომ, ბისტრონი ფეხბურთს მხოლოდ 2014 წლის იანვარში თუ დაუბრუნდება, როცა ის 31 წლის იქნება. ჩეხი ფეხბურთელი დოპინგ-ტესტზე ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ჩავარდა, ბატე-სთან მატჩის შემდეგ. ის თამაში „ვიქტორიამ" 1:0 მოიგო და ევროპა ლიგის საგზური მოიპოვა ჯგუფში (სადაც „ბარსელონა" და „მილანი" თამაშობდნენ) მე-3 ადგილის დაკავებით. ჩეხური გუნდი ევროპა ლიგის პლეი ოფში გერმანულ „შალკეს" ხვდება.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ბისტრონი ლეო მესის წინააღმდეგ

ინგლისის ნაკრები







ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი თემის შესახებ

ამბავი, რომ **ფაბიო კაპელო** ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა, გუშინდელ ნომერშივე გაცნობეთ. მოკლედ იმასაც ვწერდით, თუ რა გახდა იტალიელი სპეციალისტის მხრიდან ამ ნაბიჯზე წასვლის მიზეზი. ის საფეხბურთო ასოციაციის მხრიდან **ჯონ ტერისთვის** კაპიტნის სამკლავურის ჩამორთმევას არ დაეთანხმა. პრინციპში მისი პოზიცია გასაგები და მისაღებია. ვინ უნდა იყოს გუნდის კაპიტანი ამას ყველას ეპოქაში მთავარი მწვრთნელი ადგენდა ან თავად ფეხბურთელები აკეთებდნენ არჩევანს. საფეხბურთო ფუნქციონერთა მხრიდან საკუთარ თავზე ინიციატივის აღება კი იშვიათი ხილია და ამ ხილის ნაყოფს ავტორიტეტული და პატივმოყვარე მწვრთნელი არ დააგემოვნებდა. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ დონ ფაბიო **დევიდ ბერნშტაინსა** და კომპანიას თავზე გადახტომას აპატიებდა. ინგლისური ფეხბურთის მმართველებმა ალბათ ვერ გათვალეს, რომ კაპელო წარბშეუხრელად მიიღებდა გადაწყვეტილებას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. მათდა სამწუხაროდ, ვერც ის ლოგიკა "დაიჭირეს", რომ თავიანთ ფორმულირებას თუ დავეყრდნობით, ებრძოდნენ რა რასიზმს ინგლისურ ფეხბურთში, ამით დისკრიმინაციულ უპირატეს მდგომარეობას ანიჭებდნენ ინგლისელ ფეხბურთელს. ალბათ ჩვენი მკითხველი მიხვდა, რისი თქმა გსურს, თუ არადა, განვმარტავთ. ურუგვაელ **ლუის სუარესს** სულ რამდენიმე დღის წინ გაუვიდა 8-თამაშიანი დისკვალიფიკაციის ვადა, რაც მას **პატრის ევრასთვის** რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფის გამო მიესაჯა. სამაგიეროდ, იმავე ბრალდების მიუხედავად, ტერის არც პრემიერლიგაში აუკრძალეს თამაში და ნაკრებშიც მხოლოდ კაპიტნობის პატივი ჩამოართვეს. თუკი ვინმეს მიაჩნია, რომ ეს იმიტომ მოხდა, რომ სუარესის ბრალდება დადასტურდა, ტერისა კი ჯერ ვერ, მაშინ გაგვაგებინოს, რას ნიშნავს ცნება ნახევრად დამნაშავე და განმარტოს როგორ ესმის უდანაშაულობის პრეზუმფცია. მოკლედ, როგორც "დეილი მეილის" მესვეტე **მარტინ სემუელმა** იწინასწარმეტყველა, ინგლისის ნაკრებში დიდი აბრაკადაბრა დაიწყო და ახლა ამ აბურდულ-დაბურდულ საქმეებში გარკვევა კაპელოს მემკვიდრეს მოუწევს.

იტალიელ მწვრთნელს ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებს. მან მოახერხა და წყლიდან მშრალი ამოვიდა. კაპელომ გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ: *"საფეხბურთო კავშირმა შეურაცხყოფა მომაყენა და ჩემს საქმიან რეპუტაციას სერიოზული ზიანი მიაყენა. ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ საყოველთაოდ ცნობილმა ინგლისურმა სამართლიანობამ ვერ იზეიმა. დიახ, ყველაზე მეტად სწორედ ამან დამწყვიტა გული. ინგლისელებს მშვენივრად ესმით, რომ არ შეიძლება ადამიანს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე უწოდო დამნაშავე, მაგრამ ჯონის შემთხვევაში ყველაფერი საწინააღმდეგოდ მოხდა. მათ ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, რომელსაც ნაკრებზე დიდი გავლენა ექნება. არასდროს ჩემი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ჩემი გუნდის საქმეებში მსგავსი ჩარევის უფლება არავისთვის მიმიცია და ამას ვერც ახლა დავუშვებდი. ასე რომ, ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში წამითაც არ მეპარება ეჭვი".*

ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ბოსმა **დევიდ ბერნშტეინმაც**: *"შეხვედრის მიმდინარეობისას, ასევე ნაკრების სათავეში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ფაბიო კაპელომ დაამტკიცა, რომ ის თავისი საქმის დიდი პროფესიონალია. მან თავისი გადაწყვეტილების შესახებ პირდაპირ გვამცნო და ჩვენ დავეთანხმეთ მას, მივიჩნიეთ რა, რომ ორივე მხარისთვის ეს იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი შექმნილი რთული სიტუაციიდან. ჩვენ მადლობას მოვახსენებთ მას გაწეული სამუშაოსთვის და სამომავლოდ წარმატებებს ვუსურვებთ".*

## დონ ფაბიოს მონაგარი

რაკი დონ ფაბიო ინგლისის ნაკრებისთვის უკვე წარსულია, შეიძლება უკვე ვცადოთ მისი საქმიანობის შეფასება, ყოველ შემთხვევაში ციფრების დონეზე მაინც. იტალიელი სპეციალისტის ანგარიშზე სულ 42 თამაში დაგროვდა, აქედან 28 მოგება, 8 ფრე და 6 წაგებაა. საშუალოდ აღებული ქულებით თუ ვიმსჯელებთ, ნაკრების ისტორიაში მას საუკეთესო შედეგი აქვს (66,7%); მე-2 ადგილზე სერ **ალფ რემსია** (113 თ, 69 მ, 27 ფ, 17 წ - 61,1%); 3. **გლენ ჰოდლი** (28 თ, 17 მ, 6 ფ, 5 წ - 60,7%); 4. **რონ გრინვუდი** (55 თ, 33 მ, 12 ფ, 10 წ - 60,0%); 5. **სვენ-გორან ერიკსონი** (67 თ, 40 მ, 17 ფ, 10 წ - 59,7%), 6. **უოლტერ უინტერბოტომი** (139 თ, 78 მ, 33 ფ, 28 წ - 56,1%), 7. **სტივ მაკლარენი** (18 თ, 9 მ, 4 ფ, 5 წ - 50,0%); 8. **ბობი რობსონი** (95 თ, 47 მ, 30 ფ, 18 წ - 49,5%) 9. **დონ რევი** (29 თ, 14 მ, 8 ფ, 7 წ - 48,3%), 10. **ტერი ვენეიბლზი** (23 თ, 11 მ, 11 ფ, 1 წ - 47,8%), 11. **გრემ ტეილორი** (38 თ, 18 მ, 13 ფ, 7 წ - 47,4%); 12. **კევინ კიგანი** (18 თ, 7 მ, 7 ფ, 4 წ - 38,9%).

## ვინ?

ინგლისის ნაკრებს უახლოესი შეხვედრა 29 თებერვალს ჰოლანდიასთან ელის. დიდი ალბათობით, ამ მატჩისთვის გუნდს ინგლისის 21-წლამდელთა თავკაცი **სტიუარტ პირსი** მოამზადებს. ვინ იქნება გუნდის კაპიტანი, ჯერჯერობით უცნობია. მხატვრულად რომ ვთქვათ, კაპელოს სკამი ჯერ გაციებულიც არ იყო, რომ ინგლისურმა ტოტალიზატორმა "უილიამ ჰილმა" ახალი თავკაცზე ფსონების მიღება დაიწყო. უპირველესი კანდიდატი მათი აზრით **ჰარი რედნაპია** (1,4 კოეფიციენტით), შემდეგ **როი ჰოჯსონი** და **ჟოზე მოურინიო** მოდიან (11,0), სიაში არიან **გუუს ჰიდინკი** და **არსენ ვენგერიც** (17,0). ყველაზე მცირე შანსს კი ისინი **ალან შირერსა** და **დევიდ ბექჰემს** (51,0) აძლევენ; თქვენ წარმოიდგინეთ, ფსონები მიიღება "ენფილდის კატაზეც" კი – 5000/1-ზე. გუშინ დილას საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა "სქაი სპორტსმა". ვებგვერდის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც თანამდებობა ვაკანტური გახდა, ინგლისის ნაკრებში მუშაობის სურვილი თავად გამოთქვა ჰოლანდიის, რუსეთისა და თურქეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა**.

რაც შეეხება ბუკმეიკერთა ფავორიტ ჰარი რედნაპს... მართალია "ტოტენჰემი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და მთავარი მწვრთნელის გაშვება თავად კლუბს არ სურს, მაგრამ დირექტორატის პოზიციამ ნაკრების გულშემატკივრებს შეიძლება იმედი ჩაუსახოს. "დეზების" დირექტორის **კიტ მილსის** განცხადებით, თუკი ინგლისის საფეხბურთო კავშირი რედნაპს ეროვნული გუნდის თავკაცობას შესთავაზებს, გადაწყვეტილებას მწვრთნელი ერთპიროვნულად მიიღებს. "ტოტენჰემი" მას ამ მხრივ პრობლემებს არ შეუქმნის. *"დარწმუნებული ვარ, რომ ჰარი ამ პოსტზე ერთადერთი კანდიდატი არ იქნება. ის, რომ მას თანამდებობას შესთავაზებენ, ფაქტი ჯერ კიდევ არ არის. თუკი ასეთი შეთავაზება ექნება, გადაწყვეტა იმისა, თუ რა ურჩევნია, თავად მოუწევს,"* - თქვა მან. რედნაპის დანიშვნის იდეა უკვე მოიწონეს "სანდერლენდის" თავკაცმა **მარტინ ონილმა** და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა **უეინ რუნიმ**.

**P.S.** ჰარი რედნაპის კანდიდატურის დასახელების შემდეგ მას BBC დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა. აი, რა თქვა 65 წლის სპეციალისტმა: *"სიმართლე რომ გითხრათ, კაპელოს გადადგომით გაკვირვებული დავრჩი. ვიცოდი, რომ ის გადადგომას ზაფხულზე აპირებდა. მისგან ამ ნაბიჯს ახლა ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. რაც შეეხება, ახალ კანდიდატურას: ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე არასოდეს მიფიქრია. ამ ეტაპზე ჩემგან არასწორი საქციელი იქნება, თუკი "ტოტენჰემის" საქმეებს ჩამოვცილდები, რადგან გუნდს საქმეები იდეალურად მისდის და ჩემი ყურადღება მთლიანად მისკენ უნდა იყოს მიმართული".*

მანჩესტერ იუნაიტედი-ლივერპულის წინ

# ყველაფერი წესის მიხედვით

პრემიერლიგის მატჩების დაწყებამდე ეს კეთილი ტრადიცია დიდი ხნის წინ დამკვიდრდა - ფეხბურთელები ერთმანეთს ხელს ართმევენ, თითქოს ელემენტარული ჯენტლმენური ადათია. მარტივია, არა? მაგრამ ამ მარტივმა საქმემ ამ ბოლო ხანებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პირველი ამ ისტორიათაგან გასული წლის 15 ოქტომბერს, პრემიერლიგის მე-8 ტურში "ლივერპული"-"მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრაში მოხდა, როცა **ლუის სუარესმა**, ისე, რომ არც კი უფიქრია, **პატრის ევრას** შეურაცხყოფას ვაყენებო, ფრანგს "ნეგრიტოთი" მიმართა, ფრაზით, რომელიც ურუგვაიში სულაც არ ატარებს რასისტულ შინაარსს. ამისთვის ფეხბურთელმა რვათამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომელიც ზუსტად წინა კვირაში მოიხადა. ერთ კვირაში "ქუინზ პარკი"-"ჩელსის" მატჩი შედგა, სადაც **ჯონ ტერიმ ანტონ ფერდინანდს** რანაირად მიმართა, ჯერ არავის დაუდგენია და დაადგენენ თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია. ფეხბურთელი კი ჩივის, რბილად რომ ვთქვათ, ჩემი კანის ფერი არ მოეწონაო. ახლა რაც შეეხება "ხელის ჩამორთმევის პრობლემას": "ქუინზ პარკი" "ჩელსის" ცოტა ხნის წინაც შეხვდა. ანტონ ფერდინანდმა ტერისთვის ხელის გაწვდენა წინასწარ იუარა. თუმცა ერთი კვირის მერე, როცა "ჩელსი" ანტონის ძმის **რიო ფერდინანდის** "მანიუს" უნდა შეჯახებოდა, ასოციაციამ რიო გააფრთხილა, თუკი შენი ძმასავით მოიქცევი, დაგსჯითო. ტერი მოედანზე მუხლის ტრავმის გამო ვერ გამოვიდა. ხელის ჩამორთმევა არ შედგა. თუმცა, ხომ გახსოვთ, ფერდინანდებისა და ტერის გარდა ჩვენ ერთი დაპირისპირებული წყვილიც გვყავს – ევრა-სუარესი. ხვალ, 11 თებერვალს, ამათი გუნდები ერთმანეთს კიდევ ერთხელ ხვდებიან. ასოციაცია წინასწარ აცხადებს, რომ ტრადიციას ვერ გადაუხვევს და ფეხბურთელებმა ერთმანეთს ხელი უნდა ჩამოართვან. წინააღმდეგ შემთხვევაში კი... ისე ასეთი რამ არ თქმულა, მაგრამ რაკი ის ამის გამო ფეხბურთელს ერთხელ უკვე დაემუქრა სასჯელით, ახლა ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ასეც მოიქცევა. რას ფიქრობენ ფეხბურთელები? საჯარო კომენტარებისგან თავს იკავებენ, მაგრამ მათ ნაცვლად სხვები ლაპარაკობენ. აი, რა თქვა **კენი დალგლიშმა**: *"ვიცი, რომ ხალხი ლუის სუარესზე კიდევ ლაპარაკობს, მაგრამ მთავარია, რომ მან დისკვალიფიკაცია პატიოსნად მოიხადა და ორშაბათს "ტოტენჰემთან" შეხვედრაში მოედანს დაუბრუნდა. ვფიქრობ, მოვიდა დრო, რომ ამ საკითხს ხაზი გადავუსვათ და ცხოვრება სუფთა ფურცლიდან გავაგრძელოთ. გულშემატკივარი სპეციალურად ელოდება ხელის ჩამორთმევის ცერემონიალს. მე და ლუისმა უკვე ვილაპარაკეთ ამ თემაზე და ვიცი, რომ ის პატრის ევრასაც და "მანიუს" სხვა ფეხბურთელებსაც ხელს აუცილებლად გაუწვდის".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


კენი დალგლიშის თქმით, სუარესი ევრას ხელს აუცილებლად გაუწვდის

ჩელსი

# მწვრთნელთა საქმე

## ჩაიდენს აბრამოვიჩი მორიგ სისულელეს?

გასულ ზაფხულს **რომან აბრამოვიჩს** გუნდიდან **კარლო ანჩელოტის** გაშვება და **ანდრე ვილაშ ბოაშის** დანიშვნა 28 მილიონი ფუნტი დაუჯდა, - წერს "გარდიანი". აქედან 15 მილიონი ფუნტი იტალიელმა და მისმა ასისტენტებმა მიიღეს კლუბთან ვადამდე კონტრაქტების შეწყვეტის გამო, 13 მილიონი კი "პორტუმ" მოითხოვა დამრიგებლის ხელშეკრულების საკომპენსაციოდ. ასე რომ, რუსი მილიარდერის მიერ მხოლოდ მწვრთნელებში დახარჯულმა საერთო თანხამ 64 მილიონს მიაღწია. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ლონდონურ გრანდში მუშაობა მოასწრეს **ჟოზე მოურინიომ, ავრამ გრანდმა, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, გუს ჰიდინკმა** და **კარლო ანჩელოტიმ**. აქედან მხოლოდ ჰიდინკის მუშაობა დაჯდა ის თანხა, რაც მან ხელფასის სახით დაიმსახურა. სხვა შემთხვევებში კლუბის მფლობელს კონტრაქტის გასაფორმებლად ან მის გასაუქმებლად უხდებოდა კომპენსაციის გადახდა. თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ შარშან კლუბის წაგებამ 67,7 მილიონი ფუნტი შეადგინა და აქედან 28 პრეზიდენტის უშუალო გადაწყვეტილებების შედეგია, გამოდის, რომ "ჩელსის" დირექტორატი არცთუ ცუდად მუშაობს იმისთვის, რომ კლუბი ნელ-ნელა, მაგრამ მომგებიან ორგანიზაციად გადაიქცეს.

ამ ამბების პარალელურად, "დეილი მეილი" წერს, რომ რომან არკადიჩის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუკი "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, ვილაშ ბოაში დაკავებულ თანამდებობას დაემშვიდობება. იმის გათვალისწინებით, რომ "არისტოკრატებს" კონკურენტებთან მიზერული უპირატესობა აქვთ, ამის შანსი ნამდვილად არის. "ნიუკასლს" "ჩელსი" სულ 1 ქულით ჩამორჩება, "არსენალს" - 3-ით, ხოლო "ლივერპულს" – 4-ით.







სუონსი

# როჯერსი: კმაყოფილი ვარ

## უელსური კლუბის თავკაცს კონტრაქტი გაუხანგრძლივეს

პრემიერლიგის დებიუტანტმა "სუონსიმ" 39 წლის ჩრდილოირლანდიელ მწვრთნელ **ბრენდან როჯერსს** მუშაობა მოუწონა და მასთან კონტრაქტი 2015 წლის ივნისის ბოლომდე გააგრძელა. მიუხედავად შეზღუდული ფინანსური რესურსებისა, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის საერთო ვალმა ელიტაში დაწინაურების შემდეგ ერთი ორად მოიმატა, პრეზიდენტი **ჰუ ჯენკინსი** აფასებს იმას, რომ მისი გუნდი სულ უფრო უკეთ თამაშობს. 24 ტურის შემდეგ "სუონსი" 30 ქულით მე-10 ადგილზეა, რასაც სეზონის დაწყების წინ ალბათ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ამ შედეგით, "გედები" პრემიერლიგაში "ჭიპმოჭრილ" ბევრ გუნდს უსწრებენ. ბუნებრივია, ამ ყველაფერს სათანადოდ დაფასება სჭირდებოდა. ბოლო მილწევა, რამაც კლუბის ხელმძღვანელობას ეს ნაბიჯი გადაადგმევინა, როჯერსის იანვრის საუკეთესო მწვრთნელად დასახელება იყო. მისი ხელმძღვანელობით "სუონსიმ" 6-დან 3 თამაში მოიგო, 1 ფრედ ითამაშა და 2 წააგო.

ა, რა თქვა მან ჟურნალისტებთან: *"მოხარული ვარ, რომ გუნდთან ახალი კონტრაქტი გავაფორმე. ვფიქრობ, გულშემატკივრებიც და მთლიანად კლუბშიც ყველა გრძნობს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ. კმაყოფილი ვარ იმ სამუშაოსი, რომელსაც ბოლო 19 თვის განმავლობაში ვეწევი. მხოლოდ ის შემიძლია შეგპირდეთ, რომ უახლოესი 3,5 წლის განმავლობაში მე და ფეხბურთელები მუხლჩაუხრელად ვიშრომებთ კლუბისა და გულშემატკივრების ღირსებისთვის, ასევე უკეთესი შედეგებისთვის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სტაბილურად ვითამაშოთ პრემიერლიგაში ანგარიშგასაწევ ძალად გადავიქცეთ. მადლობელი ვარ იმისთვის, რაც კლუბმა და მთლიანად ქალაქმა მე და ჩემს ოჯახს გაგვიკეთა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ახალ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ჩემთვის ძალიან იოლი გადასაწყვეტი აღმოჩნდა".*



ბრენდან როჯერსი უელსურ კლუბში 3,5 წლით დარჩება

ამბები



ანჯელო ოგბონა

### მორიგი სამიზნე

როგორც ტურინული გამოცემა "ტუტოსპორტი" იუწყება, "მანჩესტერ სიტის" თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ ატილიო ლომბარდოს** "ტორინოსა" და იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველის, 23 წლის **ანჯელო ოგბონას** თამაშის შესწავლა დაავალა. 191 სმ-ის ფეხბურთელს დებიუტი "სკუადრა აძურაში" გასული წლის 11 ნოემბერს პოლონეთთან შეხვედრაში ჰქონდა. გამოცემის მტკიცებით, გუნდი, რომელიც ამჟამად სერია A-ში გადასასვლელად იბრძვის, დაცვის ლიდერს 15 მილიონზე ნაკლებად არ გაყიდის. ფეხბურთელს მოქმედი ხელშეკრულება კლუბთან 2016 წლის ზაფხულში უმთავრდება.

### ბლექბერნს შერიგება უნდა

"ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელის **სტივ კინის** გადაწყვეტილებით, "არსენალთან" მატჩამდე გუნდის კაპიტანი, 27 წლის ცენტრალური მცველი **კრისტოფერ სამბა** დუბლებში გადაიყვანეს. მიზეზი ფეხბურთელის განაწყენება გახდა, როცა კლუბმა მას იანვარში ტრანსფერზე უარი უთხრა. როგორ დამთავრდა ექსპერიმენტი, მოგეხსენებათ: "ვარდები" "მეთოფეებთან" საშვილიშვილოდ შერცხვნენ – 1:7. კინი მიხვდა, რომ თუკი ფეხბურთელს სასწრაფოდ არ დააბრუნებდა, მისთვის განკუთვნილ ჩამოსახრჩობ მარყუჟს თავადვე გამონასკვავდა. კონგოელი უკვე ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ხვალ "ქუინზ პარკთან" შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაშიც იქნება.

### დირექტორატი გადადგა

"აიაქსის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, უახლოეს ხანებში კლუბის დირექტორთა საბჭო გადადგება, რათა ამჟამინდელი შემადგენლობის წევრთა შორის წარმოქმნილ კონფლიქტებს ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი. გაუგებრობები კი დირექტორებს შორის მას მერე დაიწყო, რაც ოთხმა მათგანმა - **მარტინ ოლფესმა, პაულ რემერმა. სტევენ ტენ ჰავემ** და **ედგარ დავიდსმა** კრუიფის უკითხავად ტექნიკურ დირექტორად **ლუის ვან გაალი** დაამტკიცა. "მფრინავმა ჰოლანდიელმა" ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა და ჯერ პირველ ინსტანციაში მოიგო პროცესი, 6 თებერვალს კი სააპელაციო წესითაც. მიუხედავად გამარჯვებისა, კრუიფი დარწმუნებულია, რომ "აიაქსის" მომავლისთვის უკეთესი იქნება, თუკი აქციონერთა კრებაზე ახალ დირექტორატს აირჩევენ.

გვერდი მოამზადა ლევან ბიბილაშვილმა

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია

თბილისი, ფალიაშვილის №15

უროლოგია

- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად.
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტირება და მკურნალობა.

გინეკოლოგია

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.
- საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი.

ექოსკოპია

- სრულფასოვანი, ყოვლისმომცველი, მაღალხარისხიანი ულტრაბგერითი გამოკვლევა ექიმ ლადო კახაძესთან.

პროქტოლოგია

- ბუასილის მკურნალობა უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

დროული და ზუსტი დიაგნოსტიკა ავადობის განვითარების თავიდან აცილების საწინდარია

ანონიმურობა დაცულია



ტელ: 229 00 66; 229 47 47

დარეკეთ და ჩაეწერეთ!

Email: oxford.tbilisi@gmail.com

ტრავმა


ალბერტო ჯილარდინო

# ჯილა მძიმედ დაშავდა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ჯენოას" ერთ-ერთი ვარჯიშისას **ალბერტო ჯილარდინომ** ტრავმა მიიღო და მინიმუმ ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. "ჯენოასთვის" ეს დიდი დანაკლისია, რადგან ჯილას ტრანსფერის შემდეგ, გუნდი გაცილებით უკეთ ათამაშდა და ქულების მოგროვება დაიწყო. მართალია, ალბერტოს გოლი-გოლზე ვერ გაჰქონდა, მაგრამ საგოლე გადაცემებით დაგვამახსოვრა თავი და **როდრიგო პალასიოსთან** შესანიშნავი ტანდემი შექმნა. მოკლედ, ჯილა ერთ თვეს იუქმებს და თავის გუნდს სავარაუდოდ ხუთ შეხვედრაში ვერ დაეხმარება: "კატანიასთან", "ატალანტასთან", "კიევოსთან", "პარმასთან" და "ლეჩესთან". ჯილარდინო იმედს იტოვებს, რომ სარეაბილიტაციო პერიოდი დაგეგმილზე სწრაფად დასრულდება:

"*ძალიან სამწუხაროა, რომ ტრავმა მივიღე, მაგრამ დროს უკან ვერ დავავბრუნებ და არსებულ რეალობას უნდა შევურიგდე. ექიმების ყველა რჩევას გავითვალისწინებ და დიდი იმედი მაქვს, რომ მოედანზე დაგეგმილზე ადრე დავბრუნდები. ოპტიმალურ ფორმაში შევდიოდი და გულდასაწყვეტია, რომ ტრავმა ასეთ დროს მივიღე. თანაგუნდელებმა და გულშემატკივრებმა გამამხნევეს, რისთვისაც უზომოდ მადლობელი ვარ*".

**ლაშა ნიკლაური**

რომა

# ყველა გზა რომში მიდის

## თუ ვულკანმა არ გაიღვიძა

„რომას" მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ენრიკემ** სოციალური ქსელის საშუალებით შემდეგი წინადადება გაავრცელა: „*მოკლედ, რამდენჯერაც კატანიაში ჩამოვედით, იმდენჯერ რაღაც საშინელება მოხდა*". ესპანელი სპეციალისტი არ დაკონკრეტებულა და ბუნებრივია, ამან იტალიელ ჟურნალისტებში ცხოველი ინტერესი გააჩინა. ისინი უმალ გაერკვნენ ვითარებაში და გაცხადდა, რომ თურმე „რომას" მთელი შემადგენლობა დღემდე სიცილიაზეა ჩარჩენილი და მშობლიურ ქალაქში ვერ ბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს "კატანიამ" და "რომამ" შეწყვეტილი მატჩის ბოლო 30 წუთი ითამაშეს და საბოლოოდ, ქულები გაიყვეს. აი, რა უთხრა მონტელამ ჟურნალისტებს: "*დიახ, ასეთი წინადადება მართლაც გავავრცელე სოციალურ ქსელში – რამდენჯერაც კატანიაში ჩამოვედი, იმდენჯერ სტიქიის მსხვერპლი გავხდი. ჯერ იყო და საშინელ წვიმაში მოვყევით, რის გამოც თამაში შეწყდა, დღეს კი ვულკანის გამო სახლში ველარ ვბრუნდები*".

დიახ, "რომა" სწორედ ვულკანის, ცნობილი ეტნას გამო ვერ ბრუნდება იტალიის დედაქალაქში, რომლის გამოც სიცილიაზე ფრენები გარკვეული დროით შეჩერდა. სულ ბოლო ინფორმაციით, ფრენა დღეს უნდა აღდგეს და "ჯალოროსიც" დაუბრუნდება მარადიულ ქალაქს.

**ლაშა ნიკლაური**


ლუის ენრიკე



ძიუდო. ოლიმპიური რეიტინგი

# ძიუდოში სრულ გუნდს ვაყალიბებთ




პარიზის „დიდი მუზარადის" ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ახალი საერთაშორისო რეიტინგი გამოაქვეყნა. თბილისის მსოფლიოს თასის შემდეგ ჩვენი ვაჟთა ნაკრების მეექვსე წევრი - **ნუგზარ ტატალაშვილიც** (73) შევიდა სალიცენზიო 22-კაციან ზონაში. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, თბილისურ-პარიზული ნაგებების მიუხედავად, სადღეისოდ **შალვა ქარდავაც** (66) იღებს საგზურს, ოღონდ - ევროპულ კვოტით, თანაც იმ ფონზე, რომ მას ორი წლის წინათ მოპოვებული ქულები გაუნულდა და საერთო მარაგიც 200-დან 164-მდე შეუმცირდა. საბედნიეროდ, დრო და გარემოებები ჩვენ გვწყალობს.

მოგეხსენებათ, რეგიონული კვოტით ევროპას ყოველ წონაში 2-2 საგზური ეძლევა, თუმცა ცალკეულ ქვეყანას ამ გზით მხოლოდ ერთი ანუ ქვეყნიდან ორი ან მეტი წარმომადგენელი რომც მოხვდეს ამ სიაში, ის ფედერაცია მაინც ერთ ლიცენზიას მიიღებს. თანაც, საერთაშორისო ფედერაცია ქალსა და ვაჟს არ არჩევს - რომელსაც უფრო მეტი ქულა ექნება, საგზურსაც ის მიიღებს, „ძუ იყოს, თუნდა ხვადია". ქარდავასაც ეს შველის! ის საერთაშორისო რეიტინგში 47-ე ადგილზეა, ოლიმპიურ რეიტინგში კი - 27-ე, თუმცა წინმდგომთაგან ევროპული ქვეყანა მხოლოდ ორია - ლატვია და ჰოლანდია ასეთივე თანმიმდევრობით. ლატვიელი **დენის კოზლოვსი** ულაპარაკოდ იღებს საგზურს, რადგან ულიცენზიო თანაგუნდელთაგან საუკეთესო შედეგი აქვს - 242 ქულა. რეიტინგში ჩვენებურს ჰოლანდიელი **იესპერ დე იონგიც** გვარიანად უსწრებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჰოლანდია სხვაგან იღებს ლიცენზიას - ქალთა შორის 48 კილოგრამში, სადაც 380-ქულიანი **ბირგიტ ენტე** მნიშვნელოვნად უსწრებს 224-ქულიან დე იონგს. ამდენად, დე იონგი 66-ში ვარდება ევროპული კვოტიდან და მის ნაცვლად მეორე ადგილზე ქარდავა გადადის. ჩვენებურის წისქვილზე წყალი იმანაც დაასხა, რომ თბილისში ებრაელი **გოლან პოლაცკი** მესამეზე გავიდა - აქ ალებული ქულებით 22-ში შეაღწია. გაგვიმართლა იმაშიც, რომ მან იქიდან არა რომელიმე ევროპელი, არამედ ეგვიპტელი **აჰმედ ავადი** გამოდევნა. ამით გულნაკლული არც „ფარაონი" დარჩება - ის აფრიკის კვოტით მაინც იღებს საგზურს.

სალიცენზიო თვალსაზრისით ჩვენთვის უაღრესად საინტერესო იქნება ამ უქმეებზე გასამართავი ავსტრიული მსოფლიოს თასი, სადაც ქარდავაც იჭიდავებს და თბილისური ტურნირის მომგები **ლაშა შავდათუაშვილიც**. წარმატების შემთხვევაში ქარდავა პოზიციას კიდევ უფრო გაიმყარებს, შავდათუაშვილი კი რეალურად ჩადგება საგზურისთვის მებრძოლთა რიგებში. ჯერჯერობით მის ანგარიშზე 124 ქულაა და თუნდაც მესამეზე გასვლით ქარდავას ამჟამინდელ ნიშნულს გაუთანაბრდება.

ამდენად, ამ წუთისთვის ჩვენს ნაკრებს შვიდივე ლიცენზია აქვს და ოლიმპიადაზე სრული გუნდით წასვლა შეუძლია, თუმცა რამდენად მყარია ეს პოზიცია, სხვა საკითხია. ამ ეტაპზე ვერც იმას იტყვის ვინმე, ამ განლაგებაში რას შეცვლის დარჩენილი ოთხი სალიცენზიო ტურნირი, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რეგიონული კვოტა, პრაქტიკულად, სახელობითია - თამაშებში მონაწილეობას ის მიიღებს, ვინც საგზურს მოიპოვებს. აი, 22 კაცში ერთი ქვეყნიდან რამდენიმე მონაწილე თუ მოხვდება, მაშინ ოლიმპიადაზე წამსვლელს ეროვნული ფედერაცია ასახელებს, რეგიონულ კვოტებში კი ეს საკითხი მკაცრადაა განსაზღვრული.

დანარჩენი წონებიდან სხვებზე უფრო სათუო პოზიცია ისევ 73-ში გვაქვს, სადაც ქულათა განულება-განახევრების, უფრო კი პარიზში თურქი **სეზერ ჰიუზუსის** გამოსვლის შემდეგ ტატალაშვილმა სალიცენზიო რეიტინგში ერთი ადგილით უკან დაიხია და ახლა 21-ეა 344 ქულით. ავსტრიაში წარმატება მასაც ჰაერივით სჭირდება, თუმცა დამატებითი გარემოებები ჯერჯერობით მის მხარესაა - ევროპელ მდევართაგან რუმინეთი და ესტონეთი რეგიონული კვოტით იღებენ საგზურს, ავსტრია და შვეიცარია კი - სხვა წონებში და სადღეისოდ ტატალაშვილის კონკურენტები ვერ არიან, ცხადია, დანარჩენი მდევრები კიდევ უფრო ჩამორჩებიან, თუმცა ამან ჩვენებურს გულდამშვიდების საშუალება არ უნდა მისცეს.

მძიმე წონაში 22-კაციან სიაში მხოლოდ **ზვიად ხანჯალიაშვილია** - 360 ქულა და 17-ე ადგილი, თუმცა თბილისის ტურნირის მომგები **ადამ ოქრუაშვილი** 296-ით 23-ეა. ორივე ფალავანი ავსტრიაში იჭიდავებს და ვნახოთ, რა გაირკვევა იქ სალიცენზიო დავაში. იმის მიუხედავად, რომ ამ წონაში რეიტინგის მეორე ნახევარში ვართ, ულიცენზიოდ დარჩენა მაინც არ გვემუქრება, რადგან გაორებებისა თუ სხვა წონებში ალებული საგზურების გამო ევროპულ კვოტაში პირველ ნომრად საერთაშორისო რეიტინგში 56-ე საფეხურზე მყოფი ისლანდიელი **ტორმოდურ იონსონი** რჩება! მეორე კვოტას კიდევ უფრო დაბლა მყოფი ისრაელი იღებს.

თბილისში გამარჯვებისა და პარიზში მოპოვებული 36 ქულის შემდეგ **ავთანდილ ჭრიკიშვილის** (81) მონაგარი 416 ქულამდე გაიზარდა და სალიცენზიო რეიტინგში XVIII ადგილზე დამკვიდრდა. ძნელი წარმოსადგენია, მან 22-ში ადგილი დაკარგოს, თუმცა ევროპელ მდევართაგან დიდი საფრთხე არც ამ შემთხვევაში ემუქრება - ჯერჯერობით რეგიონული კვოტით ლიცენზიებს უნგრელი **ლასლო ჩოკნიაი** (290 ქულა) და თურქი **აჰმეტ სარი** (207) იღებენ, ოღონდ ისინი, როგორც ხედავთ, ბევრად ჩამორჩებიან ჩვენებურს. თურქს პორტუგალიელი **დიოგო ლიმა** კი უსწრებს, მაგრამ პორტუგალია ქალებში იღებს საგზურს.

დანარჩენ წონებში მყარი, მოწინავე პოზიციები გვაქვს და იქ მთავარი საზრუნავი საუკეთესო ოქტეტში დამკვიდრება და ოლიმპიადაზე განთესილთა შორის მოხვედრაა. ამ მხრივ საუკეთესო მდგომარეობაში **ამირან პაპინაშვილია** (60), რომელიც 810 ქულით მეხუთე ადგილზეა. ამავე წონაში **ბეთქილ შუკვანის** მონაგარი 408 ქულა და XVI პოზიციაა. 746-იანი **ვალერი ლიპარტელიანი** (90) საერთაშორისო რეიტინგში XII-ეა, ოლიმპიურში - VIII, თუმცა იქ მხოლოდ 4 ქულით უსწრებს შვედ **მარკუს ნიმანს**; დანარჩენები კი ამათ ბევრად ჩამორჩებიან. 60-ის გარდა, 22-კაციან სიაში ორი მონაწილე გვყავს 100-შიც, ოღონდ ადრე თუ **ლომერ ჟორჟოლიანი** და **ირაკლი ცირეკიძე** კარგა ხანს თანმიმდევრობით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს XII-XIII პოზიციებზე, ახლა მათ შორის მონღოლი **ტამუულენ ბატულგა** ჩადგა პარიზში მოპოვებული მესამე ადგილითა და ამისთვის მიღებული 120 ქულით. აქ ჩვენებურები XIII ადგილს ინაწილებენ. ქულების განახევრება-განულების შემდეგ მათმა მონაგარმა ცოტათი დაიკლო - ამჟამად ჟორჟოლიანის მონაგარი 644 ქულაა, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ცირეკიძისა კი, რომელიც ნეკნის ტრავმის გამო ისედაც ვერ ჭიდაობს, 538.

დასასრულს გეტყვით, რომ ამ წუთისთვის საოლიმპიადოდ სრული გუნდები იაპონიას, კორეას, ბრაზილიას, საფრანგეთს, რუსეთს, უკრაინას, ყაზახეთს, უზბეკეთს და ჩვენ გვყავს. ცხადია, ბრიტანელებსაც, როგორც მასპინძლებს. ჩამოთვლილთაგან ჩვენ, უკრაინა და უზბეკეთი თითო საგზურს რეგიონული კვოტით ვიღებთ, სხვებმა კი შვიდივე ლიცენზია 22-ში შესვლით მოიპოვეს.

**ირაკლი თავაძე**

წიგნის თარო




მთასა და მთამსვლელობაზე ბევრი წიგნი დაწერილა. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მთათა საუფლოში, სურვილი უჩნდება განცდები სხვასაც გაუზიაროს და თავისებურად აზიაროს მთის სიყვარულს. მაგრამ თუ მთამსვლელს კალამიც უჭრის, მაშინ მისი მცდელობა მკითხველთან საურთიერთოდ ზეამაღლებულია, სულ სხვა შინაარსს იძენს. ამაში დარწმუნდებით, როცა პოეტისა და მთამსვლელის **ლუიზა ნარიმანიშვილის** წიგნს „მთები - ჩემი სიყვარული" წაიკითხავთ. აქ მთების სიყვარულში ერთმანეთს გასჯიბრებია პოეზია და პროზა - პოეტი და მთამსვლელი ქალბატონი.

კითხულობ ლექსებს და თვალწინ წარმოგიდგება მთები, რომელიც რამდენადაც ზვიადია და მიუკარებელი, პოეტური განწყობით იმდენად სათუთია და ნაზი, ოღონდ ეს უნდა შეიგრძნო, როგორც ამას წიგნის ავტორი გრძნობს.

ეცნობი მთამსვლელი ქალბატონის დღიურებს და, გინდა - არ გინდა, იმ განცდების თანაზიარი ხდები, რაც თან ახლავს მთაში სიარულს, გაუთვალისწინებელი თანმხლები მოულოდნელობებით. და, რაც მთავარია, გშურს კიდეც, რომ შენც არ გეძლევა ასეთი განცდებისა თუ თავის გამოცდის შესაძლებლობა.

ჩაიკითხავ ამ წიგნს და მიხვდები, რომ მთები შენი სიყვარულიცაა...

**თენგიზ თომაშვილი**

წყალბურთი

# არენაში სერბული პროგრამით

ბოლო დროს საქართველოში წყალბურთის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ თბილისში, სპორტკომპლექს „არენაში" 5-12 წლის მოზარდებისთვის ევროპული სტანდარტებით უზრუნველყოფილი წყალბურთის აკადემია იფუნქციონირებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით „არენაში" გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა შეკითხვებს სპორტის მინისტრის მოადგილემ **გია გალდავამ**, აკადემიის დამფუძნებელმა **ნოდარ რაფავამ, გიორგი ხვედელიანმა** და საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ** უპასუხეს. შეხვედრისას ითქვა, რომ „აკადემია" მსოფლიო წყალბურთში წამყვანი სერბული სკოლის პროგრამით იმუშავებს.

**ვაჟა დანელია**

## გარდაიცვალა სიმონ მაისურაძე



გუშინ სამწუხარო ამბავი მოვიდა ახმეტიდან - 85 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს 11-გზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს აბსოლუტური ფალავანი (1952), ცნობილი სპორტული მოღვაწე, ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელოს ავტორი (1987), საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი

**სიმონ მაისურაძე**

ლელოელები სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს, საქართველოს მთელ საჭიდაო სამყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი







# ნოდებები მიენიჭათ

ალ-აინეში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (Fide) პრეზიდენტთა საბჭოს სხდომაზე სადლეისო პრობლემებთან ერთად (საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა სტამბოლში 27 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე გაიმართება) ქალებისა და ვაჟებისთვის დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის წოდებების მინიჭების საკითხიც განიხილეს. გრძელ ჩამონათვალში მხოლოდ ორი ქართული გვარი ფიგურირებს: ვაჟებში საერთაშორისო ოსტატობა ხვდათ 2011 წლის საქართველოს ჩემპიონ **დავით ზარქუას** და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრს, მანდილოსნებში დიდოსტატ **ნაზი პაიკიძეს.**

ვულოცავთ!

**ვაჟა დანელია**

# მედლები და საგზურები დღეს განაწილდება

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება 18-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა 25-25 ქალ-ვაჟის მონაწილეობით. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე როგორც მედლების, ისე მსოფლიოს და ევროპის პირველობების საგზურების მფლობელთა ვინაობაც გამოვლინდება.

გოგონებში გუშინდელი მე-8 ტურის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ნატო იმნაძესა და ანა შამათავას, რომლებმაც შავი ფიგურებით თეკლა მაჭარაშვილი და ადა კაკუტია დაამარცხეს და 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს, ოქრო-ვერცხლს ვერავინ შეეცილება.

მაგრამ ამ დუეტში ვინ იქნება პირველი, დღეს ბოლო ტურში გაირკვევა. გუშინ მარიამ ჭოლაძემ გათამაშების ცხრილში მე-6 ქულა უბრძოლველად ჩაიწერა, რადგან საპაექროდ ნათია ჯალაბაძე არ გამოუცხადდა, და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები კი ასე დამთავრდა: მარიამ ვალიშვილი - ნანი უნაფქოშვილი 0:1, მარიამ ჯავახიშვილი - დეა გოგიშვილი 1:0, ანა კუჭავა - ნატა ჯიბუტი 1:0.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ანა შამათავა (7,5) - მარიამ ჯავახიშვილი (5), ნატო იმნაძე (7,5) - ადა კაკუტია (4,5), მარიამ ჭოლაძე (6) - ანა კუჭავა (5), ნანი უნაფქოშვილი (5) - თეკლა მაჭარაშვილი (5), დეა გოგიშვილი (4) - თეა ჭოლაძე (4), თათია კოხრეიძე (4) - მარიამ ვალიშვილი (4).

ვაჟებში სატურნირო მდგომარეობა ერთობ დაძაბულია, რადგან პირველი ადგილისთვის ერთბაშად სამი მოჭადრაკე აცხადებს პრეტენზიას, თანაც ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ორი მონაწილე ჩამორჩება. გუშინ მეწინავეთა პაექრობებში ოთხი პარტია შედეგიანად, ორიც ყაიმით დასრულდა: ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - შალვა ნადირაშვილი 0,5:0,5, ნინო ხომერიკი - ირაკლი ბერაძე 0,5:0,5, გიორგი სიბაშვილი - ალექსანდრე ებრალიძე 1:0, ნოე თუთისანი - კახაბერ წერეთელი 0:1, გიგლა ბენიძე - გუგა ბურდული 0:1.

8 ტურის შემდეგ: ბერაძე, ნადირაშვილი, სიბაშვილი - 6-6, ქუმსიაშვილი, წერეთელი - 5,5-5,5, ხომერიკი, ბურდული - 5-5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ირაკლი ბერაძე - კახაბერ წერეთელი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - გიორგი სიბაშვილი, შალვა ნადირაშვილი - გუგა ბურდული, ნოე თუთისანი - ნინო ხომერიკი, ალექსანდრე ებრალიძე - რევაზ ჭკუასელი.

**ვაჟა დანელია**

# ჯობავა ნელი სვლით

მოსკოვში „აეროფლოტის" საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის A ტურნირში გუშინ **ბაადურ ჯობავა** თეთრი ფიგურებით ჰოლანდიელ ივან სოკოლოვს ეთამაშებოდა. ქართველმა დიდოსტატმა ზედიზედ მეორე პარტიაში მეტოქესთან უპირატესობას ვერ მიაღწია და ყაიმს დასჯერდა. სამი ტურის შემდეგ მას 2 ქულა აქვს. სამწუხაროდ, სტარტის ნახევარქულიან მონაგარს ვერც მესამე ტურში შესძინა ვერაფერი **ნაზი პაიკიძემ** - გუშინ იგი თეთრი ფიგურებით ალოზი იანკოვიჩს (ხორვატია) დანებდა.

მე-3 ტურში ლიდერთა ზოგიერთი ორთაბრძოლა ასე დამთავრდა: ევგენი ალექსეევი (რუსეთი) - მაქსიმ როდშტეინი (ისრაელი) 0,5:0,5, სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი) - დენის ხისმატულინი (რუსეთი) 0,5:0,5, აბჰით გუფთა (ინდოეთი) - ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 0,5:0,5, ფაბიანო კარუანა (იტალია) - ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა) 1:0, მათეუშ ბარტელი (პოლონეთი) - ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი) 0,5:0,5, ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი) - ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა) 0,5:0,5. ასე რომ, სამი ტურის შემდეგ 8 მოჭადრაკეს – კორობოვს, ჟიგალკოს, გუფთას, ხისმატულინს, კარუანას, ალექსეევს, ბალოგსა და როდშტეინს – 2,5-2,5 ქულა აქვთ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით 28 მოჭადრაკე ჩამორჩება, მათ შორისაა ბაადურ ჯობავა, რომელიც დღეს შავი ფიგურებით აზერბაიჯანელ ელთაჯ საფარლის შეხვდება, პაიკიძის მეტოქე ესპანელი დანიელ ალსინა იქნება.

B ტურნირში გუშინ ნახევარი ქულა მოიპოვა **მერი არაბიძემ** – თეთრი ფიგურებით ჩვენებური სომეხ ალასი ინანცს დაუზავდა. ამ ჯგუფში ორქულიანთა პარტიები ასე დამთავრდა: ევგენია ოვოდი-სერგეი გრიშჩენკო 0:1, სიაოვენ ჟანი-ემრე კენი 0:1, ვიტალი სივუკი-მარია ივანა 1:0, ყაიმზე შეთანხმდნენ: ვიქტორ მიხალევსკი-სური ვაიბჰავი, ალექსანდრ კოპილოვი-ალექსეი ილიუშინი, ნიკიტა მატინიანი-ტეას ბაკრა, გრიგორი ოპარინი-ჰოვიკ ჰაირაპეტიანი. სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ რუსი გრიშჩენკო, უკრაინელი სივუკი და თურქი კენი მეწინავეობენ.

დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● მკითხველის ტრიბუნა

# რატომ არა გვაქვს ქართული ფეხბურთის ენციკლოპედია?

1961 წელს, 10-11 წლის ბიჭი ბიძაჩემს ვაკეში, მაშინდელ „ბურივესტნიკის" სტადიონზე ვახლდი. ბიძაჩემს მანამდეც და მერეც ბევრჯერ დავყავდი სტადიონზე, მაგრამ მაშინდელი მატჩი განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში. მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, თბილისელებმა ის მატჩი წააგეს და თამაშის შემდეგ უკმაყოფილო მაყურებელი ხშირ-ხშირად ახსენებდა მსაჯს. მე, ეს პატარა ბიჭი, გინებას ხომ ვერ დავიწყებდი და ავტირდი. ბიძაჩემმა დამამშვიდა, ამეებმა დღეს მოგვიგეს, თორემ უფრო ხშირად ჩვენ ვუგებთ ხოლმეო. სახლში რომ მივედით (ბიძაჩემი პარალელურ ქუჩაზე, ჩვენს სახლთან ახლოს ცხოვრობდა) ერთი წიგნი მომცა, თავისი ნათქვამის დასადასტურებლად. წიგნი ფეხბურთზე იყო, მაგრამ უფრო მათემატიკურს ჰგავდა, იმდენად იყო ციფრებით აჭრელებული. ცოტა ხანში ეს ციფრები ჩემთვისაც დალაგდა და კანონზომიერი სახე მიიღო. სწორედ ამის შემდეგ გავარკვიე, რომ ბიძაჩემი მართალი ყოფილა და რომ კიევლებს უფრო ხშირად ვჯობნიდით ხოლმე.

მერე მომდევნო მეტოქესთან ურთიერთობებმა დამაინტერესა და წავიდა და წავიდა. იმ დღიდან საფეხბურთო ციფრები ჩემთვის უპირველეს გატაცებად იქცა. ერთ დაკმაყოფილებულ ინტერესს მეორე ცვლიდა და მის ძებნაში ჩემი საფეხბურთო წიგნებისა და ცნობარების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

მერე მიწერ-მოწერაც გავაჩაღე ყოფილი სსრ კავშირის კოლექციონერებთან და საბოლოოდ ჩემმა კოლექციამ სოლიდური სახე მიიღო.

მერე და მერე ჩემს კოლექციაში გაჩნდა მსოფლიოს ფეხბურთის ენციკლოპედიები ინგლისურ, გერმანულ, სლოვაკურ, პოლონურ, ბულგარულ, რუსულ და სხვა ენებზე... ერთ დღეს აღმოვაჩინე , რომ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანას აქვს თავისი ფეხბურთის ენციკლოპედია ან ენციკლოპედიური ცნობარი მაინც. ასეთი რამ მხოლოდ ქართულ ენაზე არ არსებობდა.

90-ანი წლების დასაწყისში გადავწყვიტე ეს ნაკლი როგორმე გამომესწორებინა და 1996 წელს გამოვეცი მსოფლიო ფეხბურთის ენციკლოპედია (მის ავკარგიანობას მე ვერ შევაფასებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ უკეთესიც ნამდვილად შეიძლებოდა, მეტი გამოცდილება რომ მქონოდა).

ჩემი კოლექცია ისევ მდიდრდებოდა და როცა მასში ალბანეთის, რუმინეთის, ნორვეგიის, კვიპროსის, ფინეთის ფეხბურთის ენციკლოპედიური ცნობარებიც მოხვდნენ, დავიწყე ფიქრი ქართული ფეხბურთის ენციკლოპედიის შექმნაზე.

ჩავატარე წინასწარი სამუშაოები, მოვინიშნე კრიტერიუმები და საქმესაც შევუდექი. ძალიან მალე აღმოვაჩინე , რომ ბევრად ადვილია ინფორმაციის მოძიება დანიურ „ორხუსზე" და კვიპროსულ „ომონიაზე", ბულგარელ ლეცკოვზე და მექსიკელ სანჩესზე, ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის ტურნირზე და ჩრდილოეთის თასზე, ვიდრე სამტრედიის „ლოკომოტივზე" და თელავის „ნადიკვარზე', ვასილ ტროიანზე და იური ვარდიმიადზე, შოთა შავგულიძის სახელობის პრიზის და კონსტიტუციის თასის გათამაშებებზე.

როდესაც ამ პრობლემების წინაშე აღმოვჩნდი, დასახმარებლად დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელ ფეხბურთის ფედერაციაში მივედი. წინა პრეზიდენტმა იმდენჯერ მითხრა, ჯერ ამისთვის არა მცალიაო, რომ ხელი ჩავიქნიე და კიდევ ერთი „ჯერ არა მცალიას" მოსასმენად აღარც მივსულვარ, არადა საქმის 60-70% გაკეთებული მაქვს.

მერე ახალი პრეზიდენტი მოვიდა და მეც იმედი მომეცა. კიდევ ერთხელ ვცდი ბედს-მეთქი და ჩემი უკვე გაკეთებული 60-პროცენტიანი მასალით და ჩემ მიერვე უკვე გამოცემული მსოფლიო ფეხბურთის ენციკლოპედიით ხელში (რომ დაენახათ, რისი გამკეთებელი ვარ) ახალ პრეზიდენტს მივადექი. მანაც გადახედა, გადმოხედა და ეს საქმე მე არ მეხებაო, ჩემი გადასამისამართება რეზო შენგელიასთან მოინდომა. რეზო ჩემი მეგობარია, მაგრამ იმაში, რასაც მე ვითხოვდი, მეგობრობის მიუხედავად ის მაინც ვერ დამეხმარებოდა.

გულდაწყვეტილი წამოვედი. რა თქმა უნდა, კარგია სტადიონები, გამართული ინფრასტრუქტურა და სხვა მისთანები, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, საფეხბურთო ლიტერატურაც (წიგნები, ცნობარები, პროგრამები) ისევე სჭირდება ფეხბურთის განვითარებას, როგორც ყველაფერი დანარჩენი.

წიგნით და ბროშურით, რა თქმა უნდა, ვერ გამდიდრდები, შეიძლება ჯამში იზარალო კიდეც, მაგრამ ყველაფერი ეს იმ საქმეს ხომ წაადგება, რასაც ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია ჰქვია.

1997 წელს რუსებმა რუსული ფეხბურთის 100 წლისთავი იზეიმეს და სხვა მრავალრიცხოვან ღონისძიებასთან ერთად ორი მშვენიერი წიგნიც გამოუშვეს: სასაჩუქრე „რუსული ფეხბურთი ასი წლისაა" და სტატისტიკით უხვად გაჯერებული ენცკლოპედია „რუსული ფეხბურთი ასი წლის მანძილზე". ორივე



წიგნი ფედერაციის ეგიდით გამოვიდა და მასზე სამუშაოდ ჩვენი რეზო შენგელიაც ჰყავდათ მიწვეული.

მერე ჩემს კოლექციაში „ფეხბურთი მოლდოვაში" და „ფეხბურთი ბელორუსში" გაჩნდა. ერევანში გამოვიდა წიგნი, რომელიც სომხური ფეხბურთის ისტორიას შეეხება და „ბოსფორიდან კასპიამდე „(?!) ჰქვია.

ყველაფრის გვირგვინი კი ალბათ ის იყო, როცა მეგობრებმა ალმა-ათიდან ყაზახური ფეხბურთის ენციკლოპედია გამომიგზავნეს სამ ტომად.

ახლა უბრალოდ შევადაროთ:

ყაზახური ფეხბურთი თავისი სამტომიანი ისტორიით და ქართული ფეხბურთი თავის ჯერაც დაუწერელი ისტორიით.

P.S. საქართველოში არიან ფეხბურთზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმეში სიამოვნებით შეიტანდნენ საკუთარ წვლილს, ზოგიერთ მათგანს აქვს კიდეც ნაშრომები თავიანთი ქალაქისა თუ კუთხის ფეხბურთის ისტორიაზე. დასავლეთ საქართველოში ვიმოგზაურე და რამდენიმე მათგანს შევხვდი კიდეც, სანამ სფფ-ს პრეზიდენტთან შევიდოდი. ისინი მზად არიან თანამშრომლობისათვის. ვფიქრობ, სხვებიც მოიძებნებიან და იქნებ მართლაც იხილოს მზის სინათლე ქართული ფეხბურთის ისტორიამ.




## კითხვა-პასუხის სვეტი

**შეკითხვა:** გთხოვთ მიპასუხოთ, რომელი წლიდან დაწესდა „თბილისის საპატიო მოქალაქის" წოდება, ვის ენიჭება და რამდენია მათ შორის სპორტსმენი, ვინც საპატიო მოქალაქედ დასახელდა?

**ნუგზარ საგინაძე**
თბილისი

**პასუხი:** „თბილისის საპატიო მოქალაქის" წოდება 1979 წლიდან ყოველწლიურად ენიჭება ხელოვნების, სპორტისა თუ სხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებს. ეს ტრადიცია სათავეს იღებს თბილისობის პირველი დღესასწაულიდან (1979 წ.) წოდება არავისთვის მიუნიჭებიათ 1989-1994 წლებში.

სპორტსმნებიდან „თბილისის საპატიო მოქალაქის" წოდება მიენიჭათ: **ბორის პაიჭაძეს** (1988 წ.) - ფეხბურთელი; **ჯანო ბაგრატიონს** (1998) - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; **ვახტაგ ბალავაძეს** (1999) - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **ნონა გაფრინდაშვილს** (2000) - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში; **მზია ჯუღელს** (2002) - ოლიმპიურ ჩემპიონი და პრიზიორს ტანვარჯიშში; **რაფაელ ჩიმიშკიანს** (2003) - ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში; **გურამ სალარაძეს** (2003) - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **ლევან თედიაშვილს** (2003) - ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **დავით ციმაკურიძეს** (2003) - ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **ვიქტორ სანეევს** (2005) - ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი მძლეოსნობაში; **ჯუმბერ ლეჟავას** (2009) - ველომოგზაური; **ნანა ალექსანდრიას** (2009 წ.) - მოჭადრაკე; **მაია ჩიბურდანიძეს** (2011 წ.) - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში.

დღემდე თბილისს სულ 201 საპატიო მოქალაქე ჰყავს.

■ ■ ■

**შეკითხვა:** ბოლო ხანებში ძალიან დაიძაბა ფიფასთან ამ სამყაროს ცნობილ სპეციალისტთა და მასმედიის ურთიერთობა. ფიფას ბრალს სდებენ კორუფციაში; ამბობენ, რომ რაღაც შეიცვლება. ხომ არ გვეტყვით, რა ცვლილებები იგეგმება?

**ვასიკო დარბაისელი**
თბილისი

**პასუხი:** ცნობილია, რომ ფიფაში შეიქმნა კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება, თუმცა მისი ფუნქციები თურმე 2013 წლისთვის ჩამოყალიბდება საბოლოოდ და კონგრესი დაამტკიცებს; მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძელ ქვეყანას კი მომავალში არა ფიფას აღმასკომი, არამედ ამ ორგანიზაციის კონგრესი აირჩევს.

■ ■ ■

**შეკითხვა:** ამბობენ, რომ ფეხბურთში დასაქმებული მსაჯები პროფესიონალებად უნდა აღიარონ. მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ხომ კანონმდებლობითაა დარეგულირებული, თუ ვინ სარგებლობს პროფესიონალების სტატუსით...

**გიო კალმახელიძე**
ქარელი

**პასუხი:** 2014 წლიდან ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ პროფესიონალად აღიარებული არბიტრები იმსაჯებენ. თუ რომელიმე ქვეყანას სურს მისმა წარმომადგენელმა იმსაჯოს, მაშინ კანონმდებლობაშიც უნდა შეიტანოს შესაბამისი ცვლილება. პროფესიონალის სტატუსის მსაჯებთან გაფორმდება კონტრაქტები, ისევე როგორც ეს ხდება ფეხბურთელების, მწვრთნელების, მენეჯერების, სკაუტების და ა.შ. შემთხვევაში.

*შეკითხვები მოგვაწოდეთ „ლელოს" მეორე გვერდზე გამოქვეყნებული საცნობარო ბლოკში მითითებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

# ეს ყველაფერი ზაზამ გააკეთა



**ზაზა ფაჩულიამ** „ინდიანასთან" 38:18 წუთი ითამაშა. მწვრთნელს ორი წამით მეტი რომ დაეტოვებინა, სეზონის რეკორდს გააუმჯობესებდა („მილუოკისთან" მოედანზე 38:19 წუთი გაატარა). ასეა თუ ისე, ამ სეზონში, როცა 27 წლის ქართველმა 31 და მეტი წუთი ითამაშა, მისი გუნდი ოთხივე შემთხვევაში მოედნიდან გამარჯვებული გამოვიდა.

„ატლანტა ჰოქსს" „ინდიანასთან" მოგება ჰაერივით სჭირდებოდა, რადგან შინ ზედიზედ სამი მატჩი ჰქონდა წაგებული და სპეციალისტებს პირზე უკვე ჯორჯიული კრიზისი ეკერათ. რაც მთავარია, „ქორებმა" აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერი „ინდიანა პეისერსი" დამაჯერებლად დაამარცხეს. NBA-ს ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებულ მიმოხილვებში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცევა მატჩების საკვანძო ეპიზოდებს. გასაკვირია, მაგრამ ასეთად პირველი მეოთხედის ბოლო წუთები მიიჩნიეს: „სტუმრებმა მატჩი ცუდად დაიწყეს, განსაკუთრებით სუსტად შეტევაში გამოიყურებოდნენ. ერთ ეპიზოდში **როი ჰიბერტის** ნატყორცნი ზაზა ფაჩულიამ დაბლოკა, სწრაფი საპასუხო იერიშისას **ჯო ჯონსონმა** სამქულიანი ისროლა, რომელიც მიზანს ასცდა და ფაჩულიას ჩაუვარდა ხელში. ქართველმა ცენტრმა ზურგსუკნიდან ეფექტური გადაცემით (რომელიც დღის პასად დაასახელეს) **მერვინ უილიამსი** მოძებნა და შეტევა ეფექტური ზემოდან გდებით დასრულდა (24:12, პირველი პერიოდის დასრულებამდე 4:24 წუთით ადრე). ამის შემდეგ თავი გამოიდო **ჯოშ სმიტმა** და „ინდიანას" თამაშის გადარჩენის მცირე შანსიც არ მისცემია. აღსანიშნავია, რომ სწორედ სმიტისა და ფაჩულიას ენერგიული თამაშის წყალობით „ატლანტამ" მეტოქე მოხსნებში 45:33 დაჩაგრა."

NBA-ს ოფიციალურ საიტზე ცალკე ვიდეო ფაჩულიას მოქმედებას მიეძღვნა სახელწოდებით „ეს ყველაფერი ზაზამ გააკეთა". იქ შესულია ზემოთ ნახსენები 13-წამიანი მონაკვეთი ფაჩულიას დაფარებიდან ლამაზ პასამდე. მას ორმაგ დუბლამდე ცოტა რომ დააკლდა, ქვემოთ ნახავთ.

*- წინა სამი მატჩისგან განსხვავებით საოცარი ენერგიით ვითამაშეთ. მოედანზე სულ სხვა „ატლანტა" იყო. ჯოშ სმიტმა კი სუპერ-თამაში ჩაატარა,* - განაცხადა ნამატჩევს „ჰოქსის" მწვრთნელმა **ლარი დრიუმ**. სმიტმა 28 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა.

„ატლანტას" 17 მოგება მოუგროვდა (9 მარცხი) და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეხუთე ადგილზე აინაცვლა. მეოთხეა „ინდიანა", რომელსაც ერთით ნაკლები მატჩი და ამდენივეთი ნაკლები წაგება აქვს. 16 თებერვალს ზაზას გუნდს საპასუხისმგებლო მატჩი ელის - **დუაით ჰოვარდის** „ორლანდოსთან" ფლორიდის ნახევარკუნძულზე ითამაშებს.

**ატლანტა-ინდიანა 97:87**

**ზაზა ფაჩულია:** 38 წუთი, 9 ქულა (6-დან 2 ორქულიანი, 8-დან 5 საჯარიმო), 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება, 1 შეცდომა, 4 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 11:22 | 0-0 | ჩაჭრა: 1 (კოლისონს ჩაუჭრა) |
| 10:15 | 1-5 | საჯარიმოები 2/2 (2ქ) |
| 6:24 | 10-15 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 4:37 | 12-22 | დაფარება: 1 (ჰიბერტს დაუფარა) |
| 4:26 | 12-22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 4:24 | 12-24 | პასი: 1 (უილიამსი 2ქ) |
| 0:43 | 19-32 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 8:52 | 25-35 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა |
| 8:08 | 26-35 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:48 | 30-39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 6:26 | 30-41 | ფოლი: 1 |
| 6:16 | 30-41 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 4:09 | 32-46 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 3:20 | 34-49 | საჯარიმოები: 2/1 (3ქ) |
| 2:47 | 34-51 | ორქულიანი: 5ქ |
| 2:29 | 34-51 | ჩაჭრა: 2 (ჰიბერტს ჩაუჭრა) |
| 2:23 | 34-53 | ორქულიანი: 7ქ |
| **III პერიოდი** | | |
| 11:41 | 41-59 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 11:23 | 41-59 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 7:39 | 50-63 | ფოლი: 2 |
| 6:39 | 54-63 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 4:43 | 60-70 | პასი: 2 (სმიტი 2ქ) |
| 3:12 | 62-75 | ფოლი: 3 |
| 3:12 | 63-75 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:21 | 77-87 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა |
| 8:59 | 78-87 | ფოლი: 4 |
| 4:43 | 82-94 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 2:36 | 84-96 | საჯარიმოები: 2/1 (8ქ) |
| 2:16 | 84-96 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 2:16 | 84-96 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 |
| 2:16 | 84-97 | საჯარიმოები: 2/1 (9ქ) |
| 1:59 | 84-97 | შეცდომა: 2 |

ლეგიონერები

# შერმადინის რეკორდები

„კანტუ" ევროლიგის მორიგი მატჩის სათამაშოდ ისრაელში ჩავიდა. „მაქაბის" ძლევის შემთხვევაში **მანუჩარ მარკოიშვილისა და გიორგი შერმადინის** გუნდი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 2 ტურით ადრე გაინაღდებდა მეოთხედფინალის საგზურს. წინასწარ გეტყვით, **დევიდ ბლატის** გაწვრთნილმა მაქაბელებმა მესამე პერიოდში იტალიელებს შანსი არ დაუტოვეს (23:5), საბოლოოდ კი 75:60 იმარჯვეს.

აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბლატის კლასი: პირველი ტაიმის შემდეგ მან სწორი დასკვნები გამოიტანა და იმ სხვაობით გაიმარჯვა, როგორითაც აწყობდა. აშკარაა, „მაქაბის" მწვრთნელმა უმთავრესად შერმადინისა და **ბაზილეს** შეჩერება დაისახა მიზნად, რომლებმაც პირველ ნახევარში დიდი თავსატეხი გაუჩინეს. მეორე ტაიმში შერმადინი ფარქვეშ ბურთს რომ მიიღებდა, ორი მეტოქე ხელზე აჯდა, ჯარიმის გარეშე კი ვერ აჩერებდნენ.

შესაბამისად გიორგიმ 11-დან 11 თავისუფალი ტყორცნა გამოიყენა და ევროლიგაზე პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა: 15 ქულა, 10 მოხსნა. გარდა ამისა 22 წლის ცენტრის ანგარიშზე 4 პასი და 1 ჩაჭრაა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით კი ყველას საგრძნობი უპირატესობით აჯობა - 31, რაც ევროლიგაზე შერმადინის სარეკორდო მაჩვენებელია, ისევე როგორც 10 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა და 29 წუთი.

მანუჩარ მარკოიშვილმა 20 წუთში 3 ქულა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. „კანტუს" ბომბარდირი კი გამოცდილი ჯანლუკა ბაზილე გახდა - 20 ქულა.

სადღეისოდ „მაქაბისა" და „კანტუს" 2-2 მოგება აქვთ, თუმცა ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგის ხარჯზე მეორე ადგილზე ებრაული გუნდია. მეოთხედფინალში გასასვლელად დარჩენილ ორ ტურში „კანტუმ" „მაქაბიზე" ერთით მეტი მატჩი უნდა მოიგოს.

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# შემოტრიალებაც ამას ჰქვია



**მაქაბი-კარდინალი 62:63**

20:9, 12:10, 12:19, 18:25

**მაქაბი:** ბერუაშვილი, სამნიაშვილი (16ქ, 11მ), ძამიაშვილი (6ქ, 16მ, 3პ), ხეთაგური (6ქ, 8მ, 8პ, 4ჩ), მჭედლიშვილი, მ. რევაზაშვილი (2ქ, 12მ), ლ. რევაზაშვილი (32ქ, 19მ).

**კარდინალი:** როგავა (4ქ, 5მ, 3ჩ), ფეიქრიშვილი (12ქ, 4ჩ), კენჭიაშვილი, კევლიშვილი, ლუდუშაური (30ქ, 5მ, 4პ, 4ჩ), ჭყონია (2ქ, 6ჩ), ხალიბეგაშვილი, ხარაძე (8ქ, 23მ, 2დ), კალანდაძე (5ქ, 3პ), მეგენეიშვილი (2ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი.

**კომისარი:** რ. ხომერიკი.

**დინამო-ოლიმპი 78:86**

21:11, 12:15, 19:17, 12:21, 14:22

**დინამო:** გაბისონია (8ქ, 3პ, 3ჩ), ლომიძე, სანაძე (27ქ, 5მ, 3პ, 3ჩ), ალხანაიძე (18ქ, 22მ), მეხრიშვილი (12ქ, 13მ, 4პ), ორმოცაძე (7ქ, 8მ), დოლიძე (2ქ), ჩოჩია (4ქ, 3პ).

**ოლიმპი:** ნადირაძე (11ქ, 8მ), მინაშვილი (32ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), ესებუა, მუმლაძე (14ქ, 10მ), ვახანია (12ქ, 11მ, 7პ, 3ჩ), ტყაბლაძე (2ქ), შიოლაშვილი (6ქ, 6მ), ჩერქეზიშვილი (9ქ, 6მ, 10პ, 3ჩ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

**სოხუმი-ქუთაისი 77:81**

18:21, 28:10, 9:26, 22:24

**სოხუმი:** გოლეთიანი, როგავა (20ქ, 6მ, 6პ, 4ჩ), გაფრინდაშვილი (2ქ), ძიძიგური (9ქ), ზედელაშვილი (3ქ), ჯინჭარაძე (21ქ, 8მ, 4პ, 3ჩ), დვალიშვილი (8ქ, 9მ), მესხი (2ქ, 5მ), ანანიაშვილი, ბულიავა (12ქ).

**ქუთაისი:** ცაგარეიშვილი (5ქ), გრძელიძე (15ქ, 6პ), ნ. მესხი (10ქ, 8მ, 3ჩ), გოგოძე (3ქ), ლილუაშვილი (8ქ, 6პ), ცირეკიძე (17ქ, 18მ), ლომინაშვილი (21ქ, 9მ, 5პ, 2დ), ფხაკაძე (2ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 10 | 9 | 1 | 798/656 | 19 |
| 2. დინამო | 10 | 8 | 2 | 888/742 | 18 |
| 3. ოლიმპი | 11 | 6 | 5 | 792/843 | 17 |
| 4. სოხუმი | 10 | 6 | 4 | 805/737 | 16 |
| 5. სტუ | 10 | 6 | 4 | 796/771 | 16 |
| 6. ქუთაისი | 10 | 5 | 5 | 884/794 | 15 |
| 7. კარდინალი | 10 | 3 | 7 | 661/757 | 13 |
| 8. მაკაბი | 11 | 0 | 11 | 762/1001 | 11 |
| 9. რუსთავი | 8 | 2 | 6 | 567/652 | 10 |

როგორც წესი, ნებისმიერი თამაში განსაკუთრებით საინტერესო მაშინაა, როცა ყველაფერი მეოთხე პერიოდში წყდება. საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მორიგ ტურში საოცარი შემოტრიალებები ვიხილეთ: სამიდან ორ შემთხვევაში დამარცხდა ის, ვინც მესამე პერიოდის შემდეგ იგებდა.

„მაქაბიმ" „კარდინალთან" პირველი ტაიმი 32:19 იმარჯვა, თუმცა მეორე ტაიმში მეტოქემ იმდენი მოახერხა, რომ საფინალო სირენას მინიმალური სხვაობით შეხვდა - 63:62 „კარდინალების" სასარგებლოდ. 30 ქულას გამარჯვებულთა მხრიდან **ბექა ლუდუშაურმა** უწია, ხოლო მაქაბელმა **ლევან რევაზაშვილმა** 32 ქულა და 19 მოხსნა მოაგროვა.

განსაკუთრებით დრამატული გამოდგა მეორე-მესამეადგილოსნების დაპირისპირება. ცხრილში „ოლიმპზე" ზემოთ მდგომმა „დინამომ" მესამე პერიოდის ბოლოს 9-ქულიან უპირატესობას მიაღწია, თუმცა ოლიმპელებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს და მატჩიც ოვერტაიმში გადავიდა. დამატებით დროში „ოლიმპმა" 22:14 იმარჯვა და ცხრილში „დინამოსთან" ჩამორჩენა 2 მოგებამდე შეამცირა. რევაზაშვილის დარად 32 ქულა მოაგროვა არმიელი **ვახტანგ მინაშვილის** უმცროსმა ძმამ ლუკამ („ოლიმპი").

მესამე მატჩის მეორე პერიოდში „სოხუმმა" „ქუთაისს" აშკარად აჯობა (28:10), თუმცა მიღწეულის შენარჩუნება ვერ მოახერხა და მესამე ათწუთეული 9:26 წააგო. მეოთხე პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვება ქუთათურებს დარჩათ.

ლეგიონერი



# სკიტა იორდანიაში ცამეტიანია

ირანის „მაჰრამმა", რომელშიც **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** თამაშობს, აღმოსავლეთ აზიის საკლუბო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე რომ დაასრულა, ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება. ჯგუფის მატჩებს ლიბანის დედაქალაქმა, ბეირუთმა უმასპინძლა, რის შემდეგაც შეჯიბრება მიმოსვლითი სისტემით გაგრძელდა.

მეოთხედფინალში „მაჰრამის" მეტოქე იორდანიის „ალ რიადია". სერია ორ მოგებამდეა. პირველი შეხვედრა იორდანიის სატახტო ქალაქ ამანში გაიმართა, მეორეს - ირანის დედაქალაქი თეირანი უმასპინძლებს, ხოლო თუ მესამე მატჩის ჩატარება გახდა საჭირო, „მაჰრამი" მასაც შინ გამართავს.

წარსულსა და მომავალ დროებზე დაკვირვებით მიხვდებოდით, რომ მეოთხედფინალის ერთი მატჩი უკვე გაიმართა: ამანში „მაჰრამი" თავიდანვე 14:0 გაიქცა და მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა - 91:52.

შეხვედრის სრული სტატისტიკის მოძიება ვერ მოვახერხეთ, მიმოხილვაში ამოკითხულით უნდა დავკმაყოფილდეთ: „მაჰრამელთაგან **ამირ სედიგი** და ქართველი ნიკოლოზ ცქიტიშვილი გამოირჩნენ, რომლებმაც 13-13 ქულა მოაგროვეს და მატჩის ბომბარდირობაც გაიყვეს."

როგორც გითხარით, სერიის მეორე შეხვედრა ირანში გაიმართება (21 თებერვალს). ლოგიკურად, გამარჯვება ნიკას გუნდს უნდა დარჩეს და მესამე მატჩი საჭირო აღარ იქნება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ექვსი ერი

# ენდი რობინსონმა ორი შეცვალა

შოტლანდიის ეროვნული ნაკრები ექვსი ერის გათამაშების მორიგი, მეორე ტურის მატჩში სტუმრად ითამაშებს უელსის ნაკრებთან. „სკოტების" ინგლისელმა თავკაცმა **ენდი რობინსონმა**, იმ შემადგენლობაში, რომელმაც გასულ უქმეებზე შინ ინგლისის ნაკრებთან წააგო, ორი ცვლილება განახორციელა.

„ნარშავების" თავკაცი იძულებული გახდა, მგეზავის, **დენ პარქსის** ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში **გრეგ ლაიდლოუ** დაეყენებინა. პარქსმა რამდენიმე დღის წინ ეროვნულ ნაკრებში კარიერის დასრულების შესახებ განაცხდა.

მეორე ცვლილება შერკინებას შეეხო. რობინსონი აქაც იძულებული გახდა, **ევან მურეის** ნაცვლად გუნდში **ჯეფ გროსი** ეხმო. შერკინების ბურჯი ევან მურეი კვირაობით რელიგიური მოსაზრებების გამო არ თამაშობს.

რაც შეეხება ლაიდლოუს, მას აქამდე ეროვნულ გუნდში ორი კეპი აქვს მოხვეჭილი და ორივეჯერ თამაშში სათადარიგოთა საკამიდან ჩაერთო. ინგლისთან მატჩისას მას მცირე ტრავმა აწუხებდა და ამიტომ თამაში ვერ შეძლო. ის წარსულში ცნობილი შოტლანდიელი ცხრა ნომრის როი ლაიდლოუს ძმისშვილია.

*„მინდა მივულოცო გრეგს დებიუტი ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში. ის ნიჭიერი მორაგბეა და მალე ახერხებს ნაკრებთან ადაპტაციას. გასულ უქმეებზე განცდილი მარცხი უნდა დავივიწყოთ და წინსვლა განვაგრძოთ. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი მოთამაშე ვნახოთ საქმეში.*

*ყველაზე გამორჩეულები მაინც დანკან ვეირი და სტიუარტ ჰოგი არიან, რომლებმაც შოტლანდიის A ნაკრების შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშეს, როცა ინგლისის A ნაკრები 35:0 გაანადგურეს. ვეირმა იმ შეხვედრაში გუნდს 20 ქულა მოუტანა. ამ მორაგბეებს რომ ვუყურებ, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ შოტლანდიურ რაგბის კარგი მომავალი აქვს"* - თქვა ენდი რობინსონმა.

ალსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრებთან შინ განცდილი მარცხის შემდეგ, შოტლანდიის ეროვნული გუნდი მსოფლიოს კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით დაქვეითდა. მას სამოას ნაკრებმა გაასწრო და ახლა მე-11 ადგილზეა. ამასთან ერთად, „სკოტებზე" უკეთესი მაჩვენებელი აქვს ტონგას ნაკრებსაც. საგულისხმოა, რომ მსოფლიოს მონინავე ათეული შოტლანდიელებმა 2003 წლის შემდეგ პირველად დატოვეს.

**შოტლანდია: 15. რორი ლამონტი, 14. ლი ჯოუნზი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. შონ ლამონტი, 11. მაქს ევანსი, 10. გრეგ ლაიდლოუ, 9. კრის კაზიტერი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ჯეფ გროსი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. ალასდაირ სტროკოში, 7. როს რენი, 8. დევიდ დენტონი.**

**16. სკოტ ლაუსონი, 17. ედ კალმენი, 18. ალისტერ კელოკი, 19. ჯონ ბარკლი, 20. მაიკ ბლერი, 21. დანკან ვეიერი, 22. სტუარტ ჰოგი.**



გრეგ ლაიდლოუ და ბენ იანგზი

# ირლზი ირლანდიის ნაკრებს დაუბრუნდა

ირლანდიის ნაკრებს, რომელმაც გასულ უქმეებზე დრამატულ ორთაბრძოლაში წააგო შინ უელსის ეროვნულ გუნდთან - 21:23, წინ კიდევ ერთი უმძიმესი გამოცდა ელის. „სამყურები" ამჯერად სტუმრად ეთამაშებიან ექვსი ერის გათამაშების უმთავრეს ფავორიტს, საფრანგეთის ნაკრებს.

ირლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა **დეკლან კიდნიმ** გუნდში დააბრუნა შუამარბი **ქის ირლზი**. მას „წითელ ურჩხულებთან" არ უთამაშია, რადგან სწორედ გასულ უქმეებზე შვილი შეეძინა. 24 წლის მორაგბემ ამჯერად ფერგიუს მაკფადენის ადგილი დაიკავა, ამ უკანასკნელმა კი სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა.

„სამყურების" მთავარმა მწვრთნელმა ისევ ძირითად შემადგენლობაში დატოვა მგეზავი **ჯონათან სექსტონი**, მაშინ, როცა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მგეზავი **რონან ოგარა** თადარიგში უზის. თუმცა კიდნის პოზიცია გასაგებია. ოგარა უკვე საკმაოდ ასაკოვანია და 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის, გამორიცხული არ არის, რაგბიში აღარც იყოს. ამიტომ, სამომავლოდ სექსტონს ამზადებს.

ირლანდიის ნაკრებს პარიზში 1972 წლის მერე აღარ მოუგია. ამჯერად, ამ მატჩს ირლანდიელებისთვის ბევრად დიდი მნიშვნელობა აქვს. წაგების შემთხვევაში „სამყურები" ტიტულის მოპოვების შანსს დაკარგავენ და მათ მწვრთნელს უამრავ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

*„უელსის ნაკრებთან მატჩში დაშვებული შეცდომები გავითვალისწინეთ და ახლა ბევრად უკეთ ვართ მზად სათამაშოდ. ამჯერად, სტუმრად, სახლიდან შორს უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს. ყველაფერი უნდა ვილონოთ გამარჯვების მისაღწევად. ძალიან მალიზიანებს ის ფაქტი, რომ საფრანგეთის ნაკრებისთვის პარიზში დიდი ხანია არ მოგვიგია. ასე რომ, მიზანი ყველასთვის ცნობილია და მჯერა, რომ მისი მიღწევა ჩვენს გუნდს ნამდვილად შეუძლია."* - თქვა ირლანდიის ნაკრების კაპიტანმა პაულ ოკონელმა.

**ირლანდია: 15. რობ კირნი, 14. ტომ ბოვი, 13. ქის ირლზი, 12. გორდონ დარსი, 11. ანდრიუ ტრიმბლი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. კონორ მურეი. 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. პაულ ოკონელი, 6. სტივენ ფერისი, 7. შონ ობრაიანი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

**16. შონ კრონინი, 17. ტომ კარტი, 18. დონჩა რაიანი, 19. პიტერ ომაჰონი, 20. ევან რედანი, 21. რონან ოგარა, 22. ფერგიუს მაკფადენი.**



მესამე სართულზე მორის ბოთა

# ლანკასტერს სჯერა და იმედიანადაა

ინგლისის ნაკრები სტუმრად ედინბურგში, შოტლანდიის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ, ექვსი ერის გათამაშებაში კიდევ ერთ მატჩს გამართავს სტუმრად. „პომები" ამჯერად რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" იტალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან. ინგლისელთა დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა **სტიუარტ ლანკასტერმა** შემადგენლობა უცვლელი დატოვა.

შოტლანდიური ბატალიების შემდეგ, მიკროტრავმები აწუხებდათ **ჩარლი ჰოჯსონს, ლი დიქსონს** და **ოუენ ფარელს**. თუმცა ახლა სამივე გამოჯანმრთელდა და „სკუადრა აძურასთან" საბრძოლველად ემზადება.

„პომების" შემადენლობაში არ არიან მგეზავი **ტობი ფლუდი** და შუამარბი **მანუ ტუილაგი**, რომლებმაც პირველი შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვეს, თუმცა ამჯერად სრულიად გამოჯანმრთელებულნი არიან და შაბათს „ლესტერის" შემადგენლობაში ითამაშებენ. დაშავებულნი არიან და ისევ განაგრძობენ მკურნალობას **კორტნი ლავი** და **ტომ ვუდი**.

*„ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი ხელს არ გვიწყობდა, ვფიქრობ, კარგად მოვემზადეთ და ეს გარემოება თამაშის ხარისხზე აისახება.*

*შემადგენლობა უცვლელი დავტოვე, რადგან ის ახალი მოთამაშეები, რომლებსაც ნაკრებში დებიუტი ჰქონდათ, გუნდს უფრო მეტად უნდა შეეწყონ. იმედი მაქვს, რომ ჩვენი სათადარიგოები, ისევე როგორც „სკოტებთან" მატჩში, ამჯერადაც შესანიშნავად ჩაერთვებიან თამაშში და გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან.*

*იტალიის ნაკრები, ვფიქრობ, საკუთარ მოედანზე სერიოზულ წინააღმდეგობას გაგვიწევს. ეს ძალიან გამოცდილი გუნდია. თავად განსაჯეთ, „სკუადრა აძურას" ძირითადის მოთამაშეებს ჯამში 700 კეპი აქვთ მოხვეჭილი. დარწმუნებული ვარ, „სტადიო ოლიმპიკოზე" ურთულესი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს"* - თქვა სტიუარტ ლანკასტერმა.

**ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. ბრედ ბარიტი, 12. ოუენ ფარელი, 11. დავიდ სტრიტლი, 10. ჩარლი ჰოჯსონი, 9. ბენ იანგზი. 1. ალექს კორბისერო. 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. მორის ბოთა, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ კროფტი, 7. კრის რობშო, 8. ფილ დოუსონი.**

**16. რობ ვებერი, 17. მეთ სტივენსი, 18. ჯეფ პერლინგი, 19. ბენ მორგანი, 20. ლი დიქსონი, 21. ჯორდან ტერნერ-ჰალი, 22. მაიკ ბრაუნი.**

**ექვსი ერი**

**11 თებერვალი**

იტალია-ინგლისი

საფრანგეთი-ირლანდია

**12 თებერვალი**

უელსი-შოტლანდია

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საფრანგეთი - 2 ქულა, 2. ინგლისი - 2, 3. უელსი - 2, 4. ირლანდია - 0, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.

ამბები

## იაშვილი დაშავდა და [illegible]

საფრანგეთის ნაკრების ქართველი წარმოშობის ცხრა ნომერი დიმიტრი იაშვილი ხუთშაბათის ვარჯიშზე არ გამოჩენილა. როგორც „ლე ბლოს" მთავარმა მწვრთნელმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** განაცხადა, მან ზურგი დაიშავა და ირლანდიის ნაკრებთან ვერ ითამაშებს.

მის ნაცვალდ სენტ-ანდრემ **ჟულიენ დიუპიუი** იხმო, რომელიც სათადარიგოთა შორის დაიკავებს ადგილს. ძირითად შემადგენლობაში კი ცხრა ნომრის პოზიციაზე **მორგან პარა** ითამაშებს. მგეზავი მონპელიელი **ფრანსუა ტრინდუკი** იქნება.

რამდენად სერიოზულია იაშვილის ტრავმა და როდის შეძლებს ის თამაშს, ჯერჯერობით უცნობია.

## დევისი შვიდი კვირა ვერ ითამაშებს

ექვსი ერის გათამაშების სადისციპლინო კომიტეტმა, რომელიც გუშინ ლონდონში შეიკრიბა, უელსის ნაკრების მეორეხაზელი **ბრედლი დევისი** შვიდკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„კარდიფ ბლუზის" ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ გასულ უქმეებზე ირლანდიის ნაკრებთან მატჩში **დონჩა რაიანის** წინააღმდეგ განზრახ ბინძურად ითამაშა, ისე, რომ ირლანდიელი შესაძლოა მძიმედ დაშავებულიყო.

დებულების თანახმად, ასეთი საქციელისთვის სასჯელი ათკვირიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებდა, პლუს ორი კვირა არაკეთილსინდისიერი თამაშისათვის. თუმცა სადისციპლინო კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ დევისი კარგი დისციპლინით გამოირჩევა და ამასთან ერთად, კომიტეტის სხდომაზე დანაშაული აღიარა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სადისციპლინო კომიტეტმა მას ხუთი კვირა აპატია.

შესაბამისად, ბრედლი დევისი მოედანს მხოლოდ 26 მარტს დაუბრუნდება. ექვსი ერის გათამაშების ბოლო მატჩი კი უელსის ნაკრებს 17 მარტს აქვს.

მისი არყოფნა უელსის ნაკრებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მეორე ხაზში. რადგან მისი კოლეგები **ალან-ვინ ჯოუნზი** და **ლუკ ჩარტერისი** დაშავებულნი არიან.

## ოლ ბლექსმა ყველა პრიზი მოხვეტა

რიჩი მაქოა



ახალ ზელანდიაში ახლახან გამართულ წლის ნომინანტების დაჯილდოების ცერემონიალზე ყველაზე მეტი პრიზი მორაგბეებს ერგოთ. ამ ქვეყნის 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად „ოლ ბლექსის" კაპიტანი **რიჩი მაქოა** დაასახელეს. საუკეთესო მწვრთნელი კი ამავე გუნდის თავკაცი **გრემ ჰენრი** გახდა. ცხადია, საუკეთესოს ტიტულს ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრებს ვერავინ შეეცილა. წლის საუკეთესო სპორტული მიღწევაც „ოლ ბლექსის" მიერ მსოფლიოს თასის მოპოვება გახდა.

**გრემ ჰენრიმ**, რომელიც მუდამ ემოციურობით გამოირჩეოდა, საკუთარ თავს არც ამჯერად უღალატა. დარბაზში იმყოფებოდნენ მსოფლიოს თასის მფლობელები **რიჩი მაქოა, რიჩარდ კაჰუი, ალი ვილიამსი და კირან რიდი**. ჰენრიმ მათ ასე მიმართა:'

*„მე თქვენ ყველანი მიყვარხართ. თქვენ განსაკუთრებული ადამიანები ხართ. მიხარია, რომ ჩვენი ერთობლივი, მუხლჩაუხრელი შრომა ასეთი ტრიუმფით დასრულდა."*

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. ევროლიგა. TOP16



მილანმა პირველად გაიხარა

# შერცხვენილი რეალი და ტრილერი სტამბოლში

დაკვნით ფაზაში შედის ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი და პრაქტიკულად ყოველი მატჩი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

დაიწყო მეოთხე ტური და სატურნირო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა E ჯგუფში „ეფესისა" და „ოლიმპიაკოსის" შეხვედრას. წაგებული, პრაქტიკულად ემშვიდობებოდა მეოთხედფინალში გასვლის შანსს.

გასულ კვირას, ბერძნებმა პირველ ორ ტურში წაგების შემდეგ, შინ მოუგეს თურქულ კლუბს და ახლა "ეფესი" რევანშის ასაღებად იყო განწყობილი. მაგრამ მასპინძლებმა ცუდად დაიწყეს შეხვედრა. პირველ მეოთხედში მხოლოდ 9 ქულა ჩააგდეს და შვიდი ქულით ჩამორჩნენ მეტოქეს.

თუმცა მეორე მეოთხედში „ეფესმა" დაალაგა თამაში და დიდი შესვენებისთვის სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა.

თანაბარი თამაში მესამე მეოთხედში გაგრძელდა და „ოლიმპიაკოსი" **პრინტეზისისა** და **პაპანიკოლაუს** შედეგიანი თამაშით ინარჩუნებდა სასურველ ჰანდიკაპს. ორივემ ამ მატჩში 16-16 ქულა დააგროვა.

მაგრამ სტუმრებმა თამაშის მშვიდად დასრულება ვერ შეძლეს. შეხვედრამ კულმინაციას საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე მიაღწია, როცა **საშა ვუიაჩიჩმა** ანგარიში გაათანაბრა (ამ სროლით დასრულდა „ეფესის" 11:0 გაქცევა). ამის შემდეგ თურქებმა **კოსტას სლუკასზე** ჯარიმა აილეს და ამ უკანასკნელმა ორი საჯარიმოთი ისევ დააწინაურა "ოლიმპიაკოსი". „ეფესის" გადარჩენა **ტერენს კინსიმ** იკისრა, მაგრამ მისი ბოლო ტყორცნა არაზუსტი აღმოჩნდა და ბერძნებმა უმნიშვნელოვანესი მატჩი 67:65 მოიგეს.

**E ჯგუფი**

**ეფესი–ოლიმპიაკოსი 65:67**

**9:16, 23:21, 10:11, 23:19**

ე: ლაფაიეტი (22), ბარაცი (16+7 მოხსნა+3 დაფარება).

ო: პაპანიკოლაუ (16+6 მოხსნა), პრინტეზისი (16).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 3 | 0 | 51 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 11 |
| 3. გალათასარაი | 1 | 2 | -20 |
| 4. ეფესი | 1 | 3 | -42 |

■ ■ ■

მეოთხე მატჩი მოიგო F ჯგუფში იტალიის „მონტეპასკიმ", რომელმაც უკვე გაინაღდა მეოთხედფინალში თამაში, ხოლო მისმა გუშინდელმა მეტოქემ „უნიკახამ" კი შემდეგ ეტაპზე გასვლის ყველა შანსი დაკარგა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „მონტეპასკი" საშინაო შეხვედრაში მთელი 40 წუთი დომინირებდა და მეთოდურად ზრდიდა ანგარიშში უპირატესობას. სიენელებმა ოთხივე მეოთხედი მოიგეს და საბოლოოდ, 15 ქულის სხვაობით – 84:69 მოიგეს.

წინა ტურში მოკრძალებული თამაშის შემდეგ, "მონტეპასკის" ლიდერობა კვლავ მაკედონიის ნაკრების მცველმა **ბო მაკალებმა** იკისრა, რომელმაც თამაში 18 ქულით დაასრულა. იტალიელთა რიგებში კიდევ ოთხმა კალათბურთელმა მიაღწია 10-ქულიან ზღვარს.

ამავე ჯგუფში გაირთულა საქმე ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა „რეალმა", რომელიც მოულოდნელად განადგურდა სტუმრად ესპანურ დერბიში „ბილბაოს" წინააღმდეგ.

სამეფო კლუბი თავის თავს არ ჰგავდა და პრაქტიკულად პირველივე მეოთხედში წააგო შეხვედრა – საწყის 10 წუთში „ბილბაომ" 20 ქულა მოიგო – 34:14. მადრიდელებმა ვერაფერი მოუხერხეს ბასკების ბერძენ ლეგიონერს **ვასილიადისს**, რომელიც 19 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა.

რეალი კარგა ხანს ვერ გამოვიდა შოკიდან და მეორე მეოთხედიც წააგო ექვსი ქულით. მესამე მეოთხედში მადრიდელთა გამოცოცხლება უკვე დაგვიანებული იყო. ბოლო 10 წუთში 21-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება შეუძლებელი ჩანდა. პირიქით, „ბილბაომ" დასკვნით მეოთხედშიც მიაღწია მცირე უპირატესობას და დააფიქსირა საბოლოო ანგარიში – 93:69.

F ჯგუფში „მონტეპასკი" უკონკურენციოდაა, „ბილბაოსა" და „რეალს" კი 2-2 მოგება აქვთ და მათ შორის მეორე ადგილისთვის დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

**F ჯგუფი**

**მონტეპასკი–უნიკახა 84:69**

**23:19, 29:27, 15:14, 17:9**

მ: მაკალები (18), ლავრინოვიჩი (13), რაკოჩევიჩი (11), მოსი (11), ანდერსენი (10).

უ: ფიტჩი (15), ზორიჩი (14).

**ბილბაო–რეალი 93:69**

**34:14, 18:12, 20:25, 21:18**

ბ: ვასილიადისი (19), მუმბრუ (16), ჯექსონი (15+10 პასი), ფიშერი (11+9 მოხსნა), ერველი (10).

რ: მიროტიჩი (18), ველიჩკოვიჩი (17), სინგლერი (8+11 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 4 | 0 | 71 |
| 2. ბილბაო | 2 | 2 | 9 |
| 3. რეალი | 2 | 2 | -26 |
| 4. უნიკახა | 0 | 4 | -54 |

■ ■ ■

მონტეპასკის ვერ მიჰბაძა რუსეთის უნიქს-მა, რომელმაც პირველი მატჩი წააგო მეორე ჯგუფურ ეტაპზე.

ერთი კვირის წინ, რუსებმა იოლად მოუგეს შინ „მილანს", მაგრამ ამჯერად ჩააგდეს შეხვედრის სტარტი – შვიდი ქულა დათმეს და ეს მათ ძვირად დაუჯდათ. უნიქსი ბევრს ეცადა მეტოქის დაწევას, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო. თუმცა სტუმრები შორსაც არ უშვებდნენ მილანს, ამიტომაც მოედანზე მთელი მატჩის განმავლობაში დაძაბული სიტუაცია შენარჩუნებული იყო.

უნიქს-ს შეეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ ეს შანსი მას **მანჩინელიმ** მოუსპო, რომელმაც ბოლოსკენ ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და „მილანს" ჯგუფში პირველი გამარჯვება მოაპოვებინა.

იტალიურ გუნდს მეოთხედფინალში გასვლის მცირე შანსი აქვს, რაც შეეხება უნიქსს, მას პირველი ადგილისთვის მოუწევს ბრძოლა „პანათინაიკოსთან". ამ გუნდების მატჩი მომდევნო ტურში რუსების მოედანზე გაიმართება.

**G ჯგუფი**

**მილანი–უნიქსი 63:58**

**20:13, 12:15, 17:15, 14:15**

მ: ფოცისი (16+6 მოხსნა), ბრემერი (13), რადოშევიჩი (11).

უ: ჯავაი (11), ვერემეენკო (11+6 მოხსნა), ლაიდეი (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. უნიქსი | 3 | 1 | 21 |
| 2. პანათინაიკოსი | 2 | 1 | 36 |
| 3. ფენერბაჰჩე | 1 | 2 | -24 |
| 4. მილანი | 1 | 3 | -33 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვარსკვლავური ამბები

2012 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩის" წინ, NBA-მ მომავალი „ვარსკვლავური უქმეების" ჩატარების ადგილი გამოაცხადა. როგორც იტყობინებიან, 2013 წელს ასოციაციის ვარსკვლავები ჰიუსტონში შეიკრიბებიან.

აქამდე ამ ქალაქს ორჯერ ერგო მსგავსი პატივი - 1989 და 2006 წლებში და მაშინ „ყველა ვარსკვლავის მატჩის" საუკეთესო მოთამაშეები გახდნენ - **კარლ მელოუნი** („იუტა") და **ლებრონ ჯეიმსი** („კლივლენდი"). შეგახსენებთ, რომ წელს „ოლ სტარი" 26 თებერვალს ორლანდოში გაიმართება.

■ ■ ■

ამასობაში, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა დებიუტანტებისა და „მეორეწლიანების" ოფიციალური შემადგენლობები. ეს კალათბურთელები „ოლ სტარის" წლევანდელ უქმეებზე გამოვლენ.

**„მეორეწლიანები"**: დემარკუს კაზინსი („საკრამენტო"), ლენდრი ფილდსი („ნიუ იორკი"), ბლეიკ გრიფინი („კლიპერსი"), გორდონ ჰეივორდი („იუტა"), გრეგ მონრო („დეტროიტი"), ტიაგო სპლიტერი („სან ანტონიო"), ევან ტერნერი („ფილადელფია"), პოლ ჯორჯი („ინდიანა"), ჯონ უოლი („ვაშინგტონი").

**ახალბედები**: კაირი ირვინგი („კლივლენდი"), რიკი რუბიო („მინესოტა"), ბრენდონ ნაითი („დეტროიტი"), კავი ლეონარდი („სან ანტონიო"), მარკიფ მორისი („ფინიქსი"), მარშონ ბრუქსი („ნიუ ჯერსი"), ტრისტან ტომპსონი („კლივლენდი"), კემბა უოკერი („შარლოტი"), დერიკ უილიამსი („მინესოტა").

# რონდო გასოლში იცვლება?

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობა დაინტერესებულია „ბოსტონის" ძირითადი გამთამაშებლის **რაჟონ რონდოს** შეძენით. როგორც ამერიკული პრესა წერს, კალიფორნიული კლუბი მზად არის აღმოსავლეთში თავის პრინციპულ მეტოქეს ესპანელი **პაუ გასოლი** დაუთმოს.

*„ყველა ვარსკვლავის დონის" გამთამაშებლის დამატების მცირე შანსიც რომ გაჩნდეს, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული. ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს გაცვლა თებერვალში არ შედგება. ყველა ვარიანტს ვსწავლობთ და ყველაფერს გავაკეთებთ კონტრაქტის გასაფორმებლად"*, - განაცხადა „ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა**.

■ ■ ■

„ორლანდო მეჯიქის" მფლობელი **რიჩარდ დევოსი** აცხადებს, რომ არ სურს თავისი გუნდის ცენტრთან **დუაიტ ჰოვარდთან** განშორება. „მეჯიქთან" „სუპერმენის" კონტრაქტს ამ სეზონის ბოლოს ეწურება ვადა. თუ ამ დროის განმავლობაში ახალი კონტრაქტი არ გაფორმდება, ჰოვარდი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

*„არ მინდა ჰოვარდის გაცვლა, - ამბობს 85 წლის დევოსი. - იმედი მაქვს, რომ შევძლებთ შეთანხმებას, მაგრამ ჩვენი მოლაპარაკებების შედეგები მხოლოდ სეზონის ბოლოს გახდება ცნობილი. არ შემიძლია იმის თქმა, რამდენად შესაძლებელია დუაიტის ჩვენს გუნდში დარჩენა. ასეთი პროგნოზებით არ ვარ დაკავებული"*.

**ორლანდო–მაიამი 102:89**

**26:18, 27:32, 24:11, 25:28**

ო: ანდერსონი (27+11 მოხსნა), ჰოვარდი (25+24 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნელსონი (12), რედიკი (11).

მ: უეიდი (33), ჯეიმსი (17+10 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბოში (12+9 მოხსნა).

**კლივლენდი–კლიპერსი 99:92**

**19:24, 21:16, 30:24, 29:28**

კლივ: ჯეიმისონი (27+8 მოხსნა), სეშენსი (24+13 პასი), გიბსონი (17), ვარეჟაო (15+11 მოხსნა).

კლიპ: გრიფინი (25+15 მოხსნა), ბატლერი (21), პოლი (16+12 პასი+3 ჩაჭრა), ფოიე (15).

**ფილადელ.–სან ანტონიო 90:100**

**24:26, 21:22, 22:27, 23:25**

ფ: უილიამსი (22), იგუოდალა (17+7 მოხსნა), იანგი (16+7 მოხსნა), ჰოლიდეი (15+7 პასი), ბრენდი (11+13 მოხსნა+3 დაფარება).

ს-ა: პარკერი (37+8 პასი), ნილი (18+6 პასი), დანკანი (16+11 მოხსნა), სპლიტერი (15).

**ვაშინგტონი–ნიუ იორკი 93:107**

**23:17, 23:35, 22:25, 25:30**

ვ: უოლი (29+6 პასი), ბუკერი (17+7 მოხსნა).

ნ-ი: ჩენდლერი (25+11 მოხსნა), ლინი (23+10 პასი), ნოვაკი (19+5 მოხსნა), შუმპერტი (17+3 ჩაჭრა), ფილდზი (16+8 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი–დეტროიტი 92:99**

**20:20, 19:31, 28:23, 25:25**

ნ-ჯ: დ. უილიამსი (34+7 პასი), ფარმარი (22), შელ. უილიამსი (11+6 მოხსნა), ჰემფრიზი (9+16 მოხსნა).

დ: მონრო (20+12 მოხსნა), ჟერებკო (16+7 მოხსნა), პრინსი (15+5 პასი), გორდონი (14+5 მოხსნა), ნაითი (13), სტაკი (12+6 პასი).

**მემფისი–მინესოტა 85:80**

**26:21, 18:13, 22:20, 19:26**

მემ: გეი (19+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), პონდექსტერი (17+6 მოხსნა), მ. გასოლი (12+8 მოხსნა+3 დაფარება), კანინგემი (12+7 მოხსნა).

მინ: ბარეა (17+6 პასი ), უილიამსი (13+9 მოხსნა), ბიზლი (13+6 მოხსნა), პეკოვიჩი (10+9 მოხსნა).

**პორტლენდი–ჰიუსტონი 96:103**

**28:30, 18:30, 24:17, 26:26**

პ: კროუფორდი (21+6 პასი), უოლასი (20+9 მოხსნა+5 პასი), მეტიუზი (17), ოლდრიჯი (13+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატუმი (10).

ჰ: ბადინგერი (22), ლი (16), სკოლა (12), ლოური (12+5 პასი+3 ჩაჭრა), პატერსონი (11+7 მოხსნა), დრაგიჩი (10+4 ჩაჭრა).

**ტორონტო–მილუოკი 99:105**

**29:28, 22:30, 22:18, 26:29**

ტ: დეროზანი (25), ჯ. ჯონსონი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), კლეიზა (12+8 მოხსნა), ბარბოზა (11), კალდერონი (9+15 პასი).

მ: დელფინო (25+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), გუდენი (20+14 მოხსნა), დანლივი (18+7 მოხსნა), ჯექსონი (17), ჯენინგსი (11).

**ატლანტა–ინდიანა 97:87**

**32:21, 27:20, 21:31, 17:15**

ა: სმიტი (28+12 მოხსნა+5 ჩაჭრა+3 დაფარება), ჯონსონი (20+8 პასი+6 მოხსნა), ჰაინრიხი (17), მაკგრეიდი (13).

ი: გრეინჯერი (21+5 მოხსნა), უესტი (15+6 მოხსნა), ჰენსბრო (15), ჰიბერტი (10+13 მოხსნა), კალდერონი (9+9 პასი).

**ნიუ ორლეანი–ჩიკაგო 67:90**

**14:23, 17:21, 15:26, 21:20**

ნ-ო: კამანი (17+9 მოხსნა+3 დაფარება), ბელინელი (13), ოკაფორი (13+9 მოხსნა).

ჩ: ბუზერი (18+6 მოხსნა), გიბსონი (14+6 მოხსნა), ნოა (13+10 მოხსნა), კორვერი (12).

**დენვერი–დალასი 95:105**

**25:33, 28:31, 25:23, 17:18**

დენ: ფერნანდესი (17), ჰარინგტონი (17+5 მოხსნა), ლოუსონი (16+10 პასი+3 ჩაჭრა), ნენე (16+10 მოხსნა), აფლალო (12), მილერი (11+7 მოხსნა+6 პასი).

დალ: ნოვიცკი (25+9 მოხსნა), კარტერი (17+8 პასი+5 მოხსნა), მერიონი (13+6 მოხსნა+5 პასი), ბობუა (13), რაიტი (10).



რაჟონ რონდო

## ამბები

**ოლიმპიზმი**

### ახალი სპონსორი რიოსთვის

რიო-დე-ჟანეირომ 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის კიდევ ერთი მსხვილი სპონსორი იპოვა. ბრაზილიური თამაშების პარტნიორი გახდა ავტოგიგანტი „ნისანი".

გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ ცნობილია, რომ იაპონურმა კონცერნმა შეძლო ორგანიზატორების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება. გარდა ამისა, იაპონელები სპორტსმენებისთვის, ოფიციალური პირებისა და ჟურნალისტებისთვის 4500 ავტომობილსა თუ მიკროავტობუსს გამოყოფენ. ასევე კომპანია თავის თავზე იღებს მძღოლების მომზადებას, რათა თამაშების დროს ლოგისტიკის პრობლემები არ შეიქმნას.

**ფეხბურთი**

### თურმე ფეხბურთიც იყიდება

სამხრეთ კორეაში ოთხი ფეხბურთელი დააპატიმრეს ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებისთვის.

ქვეყნის პროფესიული ლიგის ორი ყოფილი და ერთი მოქმედი მოთამაშე ერთ-ერთ იატაკქვეშა ტოტალიზატორთან კავშირსა და ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებისთვის დააკავეს. ამის შესახებ გამოაცხადა ქალაქ ტეგუს პროკურატურამ, რომელმაც აგრეთვე გააკავა ბუკმეიკერი, ვინც ამ სამ მოთამაშეს გაწეულ სამსახურში ფულს უხდიდა.

ამ დანაშაულებრივ სქემაში ერთ-ერთი მთავარი როლი ჰქონდა ლიბეროს, რომლის გვარია **იუმი**, რომელიც ჩაწყობილ თამაშებში მოედანზე შეგნებულად უშვებდა შეცდომებს. იუმის დაკითხვის შემდეგ, პროკურატურამ გადაწყვიტა გააგრძელოს გამოძიება და გამოავლინოს სხვა ფეხბურთელები, რომლებიც მატჩების შედეგების გაყალბებაში არიან ეჭვმიტანილი.

ფეხბურთის პროფესიულ ლიგაში მონაწილეობს ექვსი პროფესიული კლუბი და ქვეყნის შეიარაღებული ძალების ერთი გუნდი. ეს სამხრეთ კორეის ფეხბურთელთა ლიგაში პირველი შემთხვევაა, თუმცა ჩაწყობილი თამაშების შემთხვევა მრავლად იყო ქვეყნის საფეხბურთო ლიგაში.

**ფორმულა 1**

### HRT მექსიკაში მიდის

ფორმულა 1-ის აუტსაიდერმა გუნდმა HRT-მ უახლოეს ხანში, შესაძლოა, მფლობელი შეიცვალოს. ერთი წლის წინ, ეს საჯინიბო მადრიდულმა საინვესტიციო კომპანია Thesan Capital-მა შეიძინა, მაგრამ ახლა მზად არის გაასხვისოს თავისი აქციები.

როგორც გაზეთი Die Welt ამტკიცებს, პოტენციურ მყიდველებს შორის არის მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი - **კარლოს სლიმი**. ცნობისთვის, მექსიკელი მილიარდერი უკვე თანამშრომლობს ფორმულა 1-ის წრეებთან. მაგალითად, ფინანსურად მხარს უჭერს თავის თანამემამულეს **სერხიო პერესს**, რომელიც „ზაუბერში" გამოდის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სამი მოგება რეკორდამდე


ბაფალო ზეიმობს

„დეტროიტ რედ უინგზმა“ ზედიზედ მე-18 საშინაო გამარჯვება ჩაიწერა აქტივში და სამი მოგება სჭირდება ყველა დროის რეკორდის დასამყარებლად.

წაგების მიუხედავად, მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა „ედმონტონის“ ფორვარდი **სემ განიე**, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში შეუჩერებელია.

22 წლის კანადელი აგრძელებს ბრწყინვალე სერიას და ბოლო ოთხ მატჩში უკვე რვა შაიბა დაუგროვდა. სწორედ განიემ კინაღამ შემოატრიალა მატჩის ბედი, როცა მესამე პერიოდის შუაში გააბათილა ორშაიბიანი ჩამორჩენა. ასე რომ, „დეტროიტს“ დიდი ძალისხმევა დასჭირდა ორი ქულის ასაღებად. ახლა, „რედ უინგზს“ შინ სამი მოგება სჭირდება „ანაჰაიმის“, „ფილადელფიასა“ და „დალასის“ წინააღმდეგ და ლიგის ისტორიაში საკუთარ მოედანზე მოგებათა ყველაზე გრძელი სერია ექნება.

სენსაციური შედეგით დასრულდა მატჩი „ბაფალოსა“ და „ბოსტონს“ შორის. სტენლის თასის მოქმედმა ჩემპიონმა ექვსი უპასუხო შაიბა მიიღო საკუთარ კარში.

რა თქმა უნდა, ბოლო დროს „ბრუინზი“ არასტაბილურია, მაგრამ ასეთ განადგურებას არავინ ელოდა. „ბაფალომ“, რომელიც პრაქტიკულად გამოეთხოვა პლეი ოფში გასვლის შანსს, სასტიკი დღე აყარა **ტუუკა რასკისა და ტიმ ტომასს**, რომლებსაც სამ-სამი შაიბა გაუტანა. თავის მხრივ, **რაიან მილერმა** „შათაუტი“ შეასრულა და საფინალო სირენასთან ერთად დაფიქსირდა ანგარიში - 6:0. დუბლი გაიფორმა **ჯეისონ პომინვილმა**, მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი მილერი გახდა, რომელმაც 36 დარტყმა მოიგერია. „ბოსტონმა“ სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი იწვნია.

**ბაფალო-ბოსტონი 6:0**

2:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ერჰოფი-4 (მიერსი-8), 2:0 პომინვილი-18 (ლეინო-10, მ. უებერი-2), 3:0 ენისი-4 (სეკერა-7), 4:0 კალეტა-5 (გოსტადი-9), 5:0 პომინვილი-19 (ლეინო-11, სეკერა-8), 6:0 სტეფორდი-9 (ენისი-3, გერბე-14).

**დეტროიტი-ედმონტონი 4:2**

1:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ფრანცენი-21 (ი. უაიტი-20, დაციუკი-41), 2:0 ემერტონი-6 (აბდელკადერი-9, ქლირი-16), 2:1 სემ განიე-12 (რ. ჯონსი-11, პეტრი-12), 2:2 სემ განიე-13 (პააიარვი-5), 3:2 დ. მილერი-11 (აბდელკადერი-10), 4:2 ზეტერბერგი-10 (ბ. სტიუარტი-8, კრონვალი-12).

**ანაჰაიმი-კაროლინა 3:2 (ო)**

0:1, 1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ტ. რუუტუ-17 (ტლუსტი-10, ფოლკი-8), 1:1 ბონინო-4 (ვიშნოვსკი-16, კოლიანო-10), 1:2 ე. სტაალი-13, 2:2 ს. კოივუ-10 (ბელესკი-8, სბისა-15), 3:2 პერი-23 (ბრუკბანკი-7).

**სან ხოსე-კალგარი 3:4**

0:1, 2:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ო. იოკინენი-14 (კ. ბატლერი-11, იგინლა-23), 0:2 ო. იოკინენი-15 (ტანგეი-21, კამალერი-14), 1:2 კუტური-23 (ქლოუ-21, ჯ. ტორნტონი-34), 2:2 პაველსკი-20 (ჯ. ტორნტონი-35, პ. მარლო-22), 2:3 იგინლა-21 (ო. იოკინენი-29), 3:3 ჰანძუში-6 (ბერნსი-15), 3:4 ო. იოკინენი-16 (ტანგეი-22).

ველოსპორტი

# კიდევ ერთი დასჯილი

## ლეგენდარული ფრანგის ქმარი საფრანგეთის პოლიციამ დააკავა

სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა გერმანელი **იან ულრიხი**, რომელმაც 1997 წელს ტურ დე ფრანსი მოიგო. ულრიხი დასჯილია იმის მიუხედავად, რომ 2007 წლის თებერვალში სპორტული კარიერა დაასრულა.

ულრიხი სხვა რამდენიმე ცნობილ ველომრბოლთან ერთად გადიოდა გახმაურებულ დოპინგ-სკანდალში, რომელმაც „ოპერაცია პუერტოს“ სახელწოდება მიიღო. 2006 წელს ესპანეთის პოლიციამ გრანდიოზული გამოძიება ჩაატარა და ულრიხს დოპინგის მიღება დაუმტკიცა. ამის შემდეგ გერმანელმა კარიერა დაასრულა.

სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ თავის ვერდიქტში მიუთითა, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა გერმანელის მიერ სისხლის დოპინგის გამოყენების უტყუარი ფაქტები წარმოადგინა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2005 წლის მაისიდან მოყოლებული გაუქმებულია ულრიხის ყველა შედეგი. კერძოდ, მას წაართმევენ 2005 წლის ტურ დე ფრანსზე მოპოვებულ მესამე ადგილს.


იან ულრიხი

■ ■ ■

საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა ლეგენდარული ქალი ველომრბოლის **ჟანი ლონგოს** მეუღლე.

სამართალდამცავებმა ჩხრეკა ჩაატარეს ლონგოს სახლში, მისი მეუღლე **პატრის სიპრელი** კი დოპინგ EPO-ს შეძენისთვის დააკავეს.

თავად 53 წლის ველომრბოლი უახლოეს პერიოდში მოწმის სახით დაიკითხება. ეს დაპატიმრება მოხდა სამი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციამ გაამართლა ლონგო ანტისადოპინგო წესების დარღვევაში.

ლონგო ოლიმპიური და მსოფლიოს 13-გზის ჩემპიონია. ის ერთადერთი ველომრბოლია მამაკაცებსა და ქალებს შორის, რომელსაც ზედიზედ მიუღია მონაწილეობა შვიდ ოლიმპიადაზე (1984, 1988, 1992, 1996, 2000, 2004 და 2008). ლონგო ლონდონის თამაშებზეც აპირებს გამოსვლას.

ბიატლონი

# მანიაკი ნოიერის წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, თანამედროვეობის საუკეთესო ქალი ბიატლონისტი, გერმანელი **მაგდალენა ნოიერი** ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს. გაზეთმა „ბილდმა“ გაარკვია ამ უცნაური გადაწყვეტილების მიზეზი.


მაგდალენა ნოიერი

თურმე ნოიერს შეშლილი თაყვანისმცემელი დევნიდა - 44 წლის მამაკაცი სახელად **ლოთარ-დიტრიხი**. ის 2010 წლის 31 აგვისტოს, ღამით სპორტსმენის აივანზე ავიდა და ფანჯარაზე დააკაკუნა. პოლიციამ დააპატიმრა მამაკაცი, მაგრამ მალე გაათავისუფლა. როგორც ირკვევა, მაგდალენას მომაბეზრებელ გულშემატკივარს ფსიქიკური აშლილობა აქვს, ამიტომაც არ შეიძლება მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ლოთარ-დიტრიხს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ იმ შემთხვევაში, თუ ის სამი წლის განმავლობაში შეეცდება ნოიერთან ურთიერთობას. „ბილდი“ ვარაუდობს, რომ სწორედ ამ შემთხვევამ აიძულა მაგდალენა სპორტიდან წასულიყო, მით უმეტეს, რომ სახლში შეჭრის მცდელობის შემდეგ, ნოიერს უძილობა დასჩემდა.

სხვათა შორის ეს არ არის პირველი შემთხვევა. მაგდალენა მოჰყვა, რომ 2009 წელს მან უკვე გადაიტანა მსგავსი ინციდენტი: *„ორჯერ ჩემს კართან უცნობი მამაკაცები იდგნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ ცოლობას დავთანხმდებოდი“.*

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კიოგე-ვოინტა | 1:1 |
| ვიბორგი-სილკებორგი | 0:5 |
| სტრიომსგოდ.-ოდ გრენლანდი | 2:4 |
| ცსკა-ტიმიშოარა | 2:0 |
| ჩერნო მორე-გომელი | 2:2 |
| მინიორი-გაზ მეთანი | 0:0 შეწყდა |
| იუვიასკიულა-ფლორა | 3:0 |
| ბრონდბიუ-აკადემისკი | 0:1 |
| რანდაბერგი-სანდნესი | 0:6 |
| ლეხი-გუანგჟოუ | 0:0 პენ. 5:3 |
| სტ. პატსი-ლონგფორდი | 2:0 |
| უნივერსიტატეა-კოშიცე | 3:1 |
| აგფ ორჰუსი-ჰიორინგი | 2:0 |
| ბოდო გლიმტი-ტრომსიო | 1:2 |
| დინამო (კ)-რუბინი | 1:2 |
| ჰიკ-ერებრო | 2:1 |
| რაპიდი (ბ)-რადნიჩკი | 1:1 |
| **იტალია** | |
| ლაციო-ჩეზენა | 3:2 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| სიენა-ნაპოლი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრეამუნდე-მორეირენსე | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| ბუიუქშეჰირი-ქარაბუქი | 2:2 |
| შივასი-ბეშიქთაში | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| [illegible]-ბარსელონა | 58:67 |
| გალათასარაი-ცსკა | 68:64 |
| მაკაბი-კანტუ | 75:60 |
| პანათინაიკოსი-ფენერბაჰჩე | 72:62 |
| **ხელბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| კილი-სეგედი | 34:24 |
| კონსტანცა-ვისლა | 19:34 |
| შაფჰაუზენი-ბოსნა | 43:18 |
| **ჰოკეი** | |
| **ევროტური** | |
| ფინეთი-რუსეთი | 0:2 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 1:2 (ბ) |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. პატაია** | |
| კინგი-კუდრიავცევა | 6:1, 6:3 |
| მირზა-კეოტავონგი | 6:4, 7:5 |
| ჰსიე-დატე | 7:5, 6:0 |
| უ. რადვანსკა-ჰანტუხოვა | 3:6, 2:6 |
| **WTA. პარიზი** | |
| ვინჩი-მატეკი | 6:3, 1:6, 6:3 |
| ზაკოპალოვა-პირონკოვა | 6:0, 6:3 |
| ბარტელი-პარმენტიე | 6:3, 6:0 |
| ნიკულესკუ-კერბერი | 3:6, 6:4, 3:6 |
| ბარტოლი-მარტიჩი | 7:5, 6:1 |
| ვიკმაიერი-მაკჰეილი | 6:2, 7:5 |

TV პროგრამა

**10 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. ფიორენტინა-უდინეზე.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. მანჩესტერ სიტი-ფულემი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰამბურგი-ბაიერნი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 იტალიის ჩემპიონატი. XXIII ტურის წინ.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ვოლფსბურგი-ფრაიბურგი (LIVE).
01:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIII ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ლეიკერსი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-უტრეხტი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ვერდერი.
22:00 NBA Action.
22:30 სუპერკოლაჟი.
23:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჰერაკლესი (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
11:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. პანათინაიკოსი-ფენერბახჩე.
15:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. ირლანდია-უელსი.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
21:30 NBA Action.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
23:45 დოკუმენტური ფილმი - როჯერ ფედერერი. I და II ნაწილი.

ჩოგბურთი

# ნადალს ფრანგებმა დასცინეს

საფრანგეთის ტელეარხ Canal Plus-ზე გადის სატირული პროგრამა - Les Guignols („თოჯინები“), რომლის მორიგ გამოშვებაში აჩვენეს სიუჟეტი, სადაც ირიბი მინიშნებაა ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელების მხრიდან დოპინგის გამოყენებაზე. მაგალითად, **რაფაელ ნადალის** თოჯინა მიდის ბენზინგასამართ სადგურთან, შედის მაღაზიაში, სვამს ერთ ბოთლ წყალს, შემდეგ საწვავის ავზში ბანაობს და დიდი სისწრაფით ტოვებს ტერიტორიას.

ამ სიუჟეტმა ესპანურ საჩოგბურთო წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაცია Canal Plus-ს სასამართლოში უჩივლებს.

*„ამჯერად მათ ზედმეტი მოუვიდათ. ჩვენ ვერ მოვითმენთ ამ სიცრუეს და ჩვენი სპორტსმენების შეურაცხყოფას“*, - ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი **ხოსე-ლუის ესკანუელი**.

სკანდალს გამოეხმაურა რაფაელ ნადალის ბიძა და მწვრთნელი **ტონი ნადალი**. მისი თქმით, მსოფლიოს მეორე ჩოგანი არ აპირებს სასამართლოში ჩივილს.

*„არ მგონია, რაფამ სასამართლოში უჩივლოს ფრანგულ არხს, რომელმაც ეს სიუჟეტი გაუშვა. ეს მხოლოდ პაროდიაა და მისი მეშვეობით რაიმეს დამტკიცება შეუძლებელია. თუ ფრანგებს ეს სასაცილოდ მიაჩნიათ, დაე, იცინონ“*, - ამბობს ტონი ნადალი.


რაფა ნადალი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი

# წილი ნაყარია

დღეს იწყება დევისის თასის გათამაშება. ტრადიციულად, ხუთშაბათს იმართება წილისყრა, რომლის მიხედვით დგება მერვედფინალური მატჩების განრიგი. ახლა სწორედ გუშინდელი წილისყრის შედეგებს გთავაზობთ. ერთი მერვედფინალის განრიგი ჯერჯერობით უცნობია - კანადისა და საფრანგეთის მატჩის წილისყრა გვიან დასრულდა.

**ესპანეთი-ყაზახეთი**
**(ოვიედო, გრუნტი)**
ფერერო-კუკუშკინი
ალმაგრო-გოლუბევი
გრანოლერსი/მ. ლოპესი-კოროლიოვი/შჩუკინი
ალმაგრო-კუკუშკინი
ფერერო-გოლუბევი

**ავსტრია-რუსეთი**
**(ნოიშტადტი, პარკეტი)**
მელცერი-კუნიცინი
ჰაიდერ მაურერი-ბოგომოლოვი
მარახი/პეია-დავიდენკო/იუჟნი
მელცერი-ბოგომოლოვი
ჰაიდერ მაურერი-კუნიცინი

**შვეიცარია-აშშ**
**(ფრიბურგი, გრუნტი)**
ვავრინკა-ფიში
ფედერერი-ისნერი
ფედერერი/ვავრინკა-მ. ბრაიანი/ჰარისონი
ფედერერი-ფიში
ვავრინკა-ისნერი

**ჩეხეთი-იტალია**
**(ოსტრავა, პარკეტი)**
შტეპანეკი-სეპი
ბერდიხი-ბოლელი
ჩერმაკი/როსოლი-ბრაჩიალი/სტარაჩე
ბერდიხი-სეპი
შტეპანეკი-ბოლელი

**სერბეთი-შვედეთი**
**(ნიში, პარკეტი)**
ტიპსარევიჩი-პრპიჩი
ტროიცკი-რიდერსტედტი
ტიპსარევიჩი/ციმონჯიჩი-ბრუნსტრიომი/ლინდსტენდტი
ტიპსარევიჩი-რიდერსტედტი
ტროიცკი-პრპიჩი

**იაპონია-ხორვატია**
**(კიოტო, პარკეტი)**
სოედა-დოდიგი
ნიშიკორი-კარლოვიჩი
იტო/სუგიტა-კარლოვიჩი/ზოვკო
ნიშიკორი-დოდიგი
სოედა-კარლოვიჩი

**გერმანია-არგენტინა**
**(ბამბერგი, გრუნტი)**
პეტცშნერი-მონაკო
ფ. მაიერი-ნალბანდიანი
ჰაასი/პეტცშნერი-ჩელა/შვანკი
ფ. მაიერი-მონაკო
პეტცშნერი-ნალბანდიანი

# ფერნანდო მარტში წავა

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ყოფილი მეხუთე ნომერი, ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** დიდი სპორტიდან წასვლას აპირებს. ჩოგბურთელმა გამოაცხადა, რომ კარიერის დასრულება ფლორიდაში გასამართავი მასტერსის შემდეგ აქვს დაგეგმილი. ეს ტურნირი მარტში გაიმართება.

31 წლის ჩილელის თქმით, მრავალრიცხოვანი ტრავმის შემდეგ, ის თავის თავში ვერ პოულობს უმაღლეს დონეზე თამაშის გაგრძელების ძალებსა და შესაძლებლობებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში გონსალესი ერთბაშად შეაწუხა ზურგის, მუხლისა და ბარძაყის დაზიანებამ.

კარიერის განმავლობაში ფერნანდომ ATP-ის 11 ტურნირის მოგება შეძლო. გარდა ამისა, მას მოპოვებული აქვს სამი ოლიმპიური მედალი - ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი.

ფორმულა 1. ტესტები


ნიკო როსბერგი

# ძველი მერსედესი ყველას სჯობს

ხუთშაბათს, ხერესის ტესტების მონაწილეების რიცხვი ერთი გუნდით შემცირდა - HRT ორდღიანი მუშაობით შემოიფარგლა და გუშინ დატოვა ავტოდრომი.

გუნდების უმეტეს ნაწილში ცვლილებები მოხდა. „რედ ბულში" **უებერი ფეტელმა** შეცვალა, „მაკლარენში" **ჰემილტონმა ალონსო**, „ფერარიში" **ალონსომ მასა**, „ლოტუსში" **რაიკონენი გროსჟანმა**, „უილიამსში" **მალდონადო სენამ**. „ფორს ინდიაში" ისევ ორი პილოტი მუშაობდა, „კატერჰემის" ახალი მანქანის საჭესთან დაჯდა **გიდო ვან დერ გარდე**. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ „მერსედესი" ძველი მანქანით გამოდის - გუშინ, ბოლიდს ნიკო **როსბერგი** მართავდა. დანარჩენი საჯინიბოები ახალ მანქანებზე მუშაობდნენ.

ამინდი კიდევ უფრო ცივი იყო, ვიდრე წინადღეს - პრესცენტრში ნული გრადუსი დაფიქსირდა, მაგრამ ტრიბუნებზე მრავლად იყვნენ ესპანელი გულშემატკივრები, რადგან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს **ფერნანდო ალონსოს** უნდა გაევლო პირველი წრეები ახალი Ferrari F2012-ით. ესპანელის ფანებისთვის სამწუხაროდ, ნანდომ დილის სესიის დიდი ნაწილი ბოქსებში გაატარა - მექანიკოსები ცდილობდნენ ჰიდრავლიკასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას.

ტესტების დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ, **ჟიულ ბიანკის** ავარიის გამო წითელი დროშები ააფრიალეს. „ფორს ინდიას" სარეზერვო პილოტმა პირველივე სწრაფი წრის გავლისას ვერ დაიმორჩილა მანქანა Sito Pons-ზე, ტრასიდან გადავარდა და დამცავ ბარიერს შეეჯახა. პილოტი არ დაზარალებულა. 20-წუთიანი პაუზის შემდეგ ტესტები გაგრძელდა, მაგრამ „ფორს ინდია" ტრასაზე აღარ დაბრუნებულა.

*„სულ მცირედი შეცდომა დავუშვი, საბურავები გახურებული არ იყო და მოვსრიალდი. მანქანა ტრასის მიღმა აღმოჩნდა, შემდეგ კი უკანა ნაწილით კედელს დავეჯახე. გუნდს ბოდიშს ვუხდი, რადგან ჩემი შეცდომის გამო ჩვენს ბიჭებს წინ დიდი სამუშაო ელის",* - განაცხადა ბიანკიმ

საღამოსკენ სესია მეორე სარეზერვო პილოტის - გიდე ვან დერ გარდეს ავარიით შეწყდა. ჰოლანდიელმაც ვერ დაიმორჩილა მანქანა და მეცხრე მოსახვევიდან გამოსვლისას ტრასიდან გადავარდა - ახლა უკვე „კატერჰემის" მექანიკოსებს მოუწიათ მძიმე მუშაობამ. სესიის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კიდევ ერთხელ გამოფინეს წითელი დროშები - რომან გროსჟანმა გააჩერა მანქანა მესამე და მეოთხე მოსახვევებს შორის.

ისევე როგორც წინა დღეს, ოქმს სათავეში ჩაუდგა „მერსედესის" პილოტი შარშანდელი W02-ით - **ნიკო როსბერგმა** თავისი საუკეთესო წრე წუთსა და 17,618 წამში გაიარა. ახალი მანქანებისთვის კი საუკეთესო დრო აჩვენა გროსჟანმა, რომელმაც ლიდერთან რვა მეათედი წააგო. ყველაზე გრძელი დისტანცია ბრუნო სენამ გაიარა.

| III დღე | |
|---|---|
| 1. ნ. როსბერგი (Mercedes) | 1.17,613 (118 წრე) |
| 2. რ. გროსჟანი (Lotus) | +0,806 (117) |
| 3. ს. ფეტელი (Red Bull) | +1,684 (96) |
| 4. ლ. ჰემილტონი (McLaren) | +1,851 (80) |
| 5. ჟ. ვერნი (Toro Rosso) | +2,121 (79) |
| 6. ს. პერესი (Sauber) | +2,157 (46) |
| 7. ფ. ალონსო (Ferrari) | +2,799 (67) |
| 8. ბ. სენა (Williams) | +3,680 (125) |
| 9. გ. ვან დერ გარდე (Caterham) | +5,711 (74) |
| 10. ჟ. ბიანკი (Force India) | 2 წრე |

ამბები

**კალათბურთი**

## უმცროსი რივერსის ბენეფისი

დიუკის უნივერსიტეტის პირველკურსელმა, „ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელის **დოკ რივერსის** ვაჟმა **ოსტინ რივერსმა** თავისი უნივერსიტეტის გუნდს ბოლო წამზე ზუსტი ტყორცნით გამარჯვება მოაპოვებინა პრინციპულ მეტოქესთან - „ჩრდილოეთ კაროლინასთან" მატჩში (85:84).

ოსტინმა ბურთი საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე მიიღო, მეტოქის მოედანზე გადავიდა, პარტნიორები არ შეიმჩნია და მეტოქე კალათბურთელის წინააღმდეგობის მიუხედავად, შორიდან ტყორცნა გადაწყვიტა. მატჩის შემდეგ „დიუკის" გუნდის მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ** (ის ამერიკის ოლიმპიური ნაკრებს დამრიგებელიცაა) შეაქო უმცროსი რივერსი და განაცხადა, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

**ჰოკეი**

## კლასიკა მიჩიგანში

ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2013 წლის „ზამთრის კლასიკა" (მატჩი ღია ცის ქვეშ) მიჩიგანის შტატში, ამერიკულ ფეხბურთში იქაური გუნდის ღია არენაზე გაიმართება. ამ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „დეტროიტი" და „ტორონტო". ამასთან, „ტორონტო" პირველი კანადური გუნდი იქნება, რომელიც „ზამთრის კლასიკაში" მიიღებს მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის მატჩში, შესაძლოა, NHL-ის მატჩებზე დასწრების ახალი რეკორდი დამყარდეს. მიჩიგანის სტადიონზე მაყურებელთა რაოდენობა 110 ათასს ცდება, ჰოკეის მატჩებისთვის რეკორდი კი 71 217 მაყურებელს უდრის.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# მკითხველის ვერსიით

საქართველოს 2011 წლის რჩეული სპორტსმენი და ათეული

**წლეულს** პირველად „ლელო" ატარებს მკითხველთა გამოკითხვას 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.

**მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით**

**მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.**

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

*ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე:* ***2 19 60 53****, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით* ***11****-დან* ***18*** *საათამდე).*

**გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება**

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ/რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II; მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში); ქართ/ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: მსოფლიოს ჩემპიონატი III; ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ/რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ/ჭიდაობა: ევროპა-II; ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

*საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს" სპეციალური პრიზი გადაეცემა.*